საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge №08 (573)
10 - 16 მარტი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



24 ვიქტორ რცხილაძე 80 წლისაა

# ამერიკელებმა საქართველოს თავი კუნძზე დაადებინეს 6-7

ივანიშვილსა და «ქართულ ოცნებას» აშშ უპირისპირდება და არა სხვა ვინმე, მაგრამ «ქართულ ოცნებაში» ისტიბარს არ იტეხენ და კენჭებს, ამერიკის ნაცვლად, რუსეთის ბოსტანში ისვრიან, რითაც ქართველი ხალხისთვის თავგზის აბნევას ცდილობენ






გამოცხადებული მონობის ქრონიკა 2

ნანა კაკაბაძე:



საქართველოსნაირი უუფლებო ქვეყანა მეორე არ მეგულება, ჩვენი «კრემლია» ყველგან, დაწყებული ბრიუსელით... 3

ვისაც არ ეზარება, ჩვენს ქვეყანას თავში ურტყამს

გურამ ნიკოლაიშვილი:



ჩვენი ფულით ვყიდულობთ იარაღს ამერიკელებისგან და ვიყენებთ მათ მიერ წარმოებულ ომში, რომელიც ჩვენთან დაკავშირებული არ არის 4

ვაჟა ოთარაშვილი:



ასე გაიქცევიან სხვებიც და წაიღებენ მილიონებს, ჩვენ კი დაგვრჩება თურქებზე გაყიდული, დაკაბალებული საქართველო 5



დასავლური «ღირებულებების» მიმზიდველობა თუ ევრაზიული ცივილიზაცია? 8




10

«სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატება საფრთხეა. უნდა შევამციროთ მოსახლეობა»

# კლიმატგეიტი




კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმება საუკუნის აფერაა 14




რუსული ვაქცინა ევროპის კიდევ ერთხელ გადასარჩენად 11

დასავლეთის დამონებულნი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**16 მარტი მალე მოვა, საქართველოდან არაერთი პოლიტიკოსი გაემართება ბრიუსელში ოთხზე სახოხად და უსიტყვო მორჩილების დასადასტურებლად. შემდეგ ევროპელი სოვდაგრების ნათქვამს სხვადასხვაგვარად გადათარგმნიან, საკუთარ თავს (და არა ქვეყანას) მოარგებენ და შეეცდებიან, დაგვაჯერონ, რომ ევროპელები სწორედ მათ მხარეს არიან და არა ოპონენტის. ჩვენ კი უპუროდ მხოლოდ სანახაობა შეგვრჩება: ხან ფარულ ჩანაწერებს მოვუსმენთ და მერე მის ავთენტურობაზე მსჯელობის მოწმენი გავხდებით, ხან გზას გადაკეტავენ, ხან პარლამენტის წინ გაშლილ კარვებში მოხარშული ღომის ფოტოებს დავათვალიერებთ და ეს წელიც ზუსტად ისე გავა, როგორც შარშანდელი, შარშანწინდელი და იმის წინანდელი გავიდა — ოფიციალურ მონობაში!**

# გამოცხადებული მონობის ქრონიკა

**ვერ გეტყვით, სისხლის სამართლის რამდენი მუხლით არის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული, რამდენი აქვს დაუსწრებლად მისჯილი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი დღეს არათუ თავისუფალია, არამედ საქართველოს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ უკრაინაში მაღალ თანამდებობაზეც მუშაობს. ისევე, როგორც, მაგალითად, ზურაბ ადეიშვილი, თუმცა ამჯერად კონკრეტულად უმაღლეს ხელისუფალზე, პრეზიდენტზე ვაკეთებთ აქცენტს.**

საქართველოს უკრაინისთვის სააკაშვილის ექსტრადიციის მოთხოვნა გაგზავნილი აქვს თუ არა, ესეც არ ვიცით. სასაცილოც იქნებოდა ამის გაკეთება, რადგან უკრაინელებმა გადასარევად იციან, რომ ჩვენთვის ის სისხლის სამართლის დამნაშავეა, მაგრამ დასავლეთისგან მწვანე შუქი აქვთ ანთებული და ამიტომ მიშას ცივ ნიავს არ აკარებენ. აი, **როცა ქვეყანა სისხლის სამართლის დამნაშავის ექსტრადაციაზე მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოს მოთხოვნასაც ვერ უგზავნის, რადგან იცის, აზრი არ აქვს, სხვა რამეზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.** არ უნდა უნდოდეს ევროკავშირში შესვლა, ნატოში გაწევრება. რატომ? **ევროკავშირისა და ნატოს წევრმა საფრანგეთმა რომ იკითხოს, სისხლის სამართლის დამნაშავეს რატომ ვერ იჭერთ, ხომ არც იმალება და არც ჩაკეტილ ქვეყანაშიაო, რას ვუპასუხებთ?** საფრანგეთს კი პასუხი ექნება — გასულ კვირას სამწლიანი პატიმრობა **ნიკოლა სარკოზის** მიუსაჯეს. მართალია, ამ სამი წლიდან სარკოზი ციხეში ერთ წელს გაატარებს, დანარჩენი ორი პირობითია. სარკოზი პირველი პრეზიდენტია საფრანგეთის ისტორიაში, რომელიც დააპატიმრეს, თუმცა მისი დასჯის მიზეზი მხოლოდ მოსამართლეთათვის კარიერის გაკეთებაში ხელის შეწყობა არ უნდა იყოს. მესიე ნიკოლამ პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ არაერთ საიდუმლოს ახადა ფარდა და მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ისიც თქვა, რომ **საქართველოსა და უკრაინას ნატოში არასდროს მიიღებენ.** სარკოზის დაპატიმრება ცივილიზებულ დასავლეთს არ გაუპროტესტებია, პირიქით — ამაყად განაცხადეს, ხელშეუხებელი არავინ არისო, მაგრამ, ორმაგ სტანდარტთან რომ გვაქვს საქმე, ადვილი მისახვედრია. **თუ სარკოზი არ არის ხელშეუხებელი, რატომ არის სააკაშვილი?!** მიზეზი ერთადერთია — ხომ ამბობდნენ, „ქართული ოცნება“ სააკაშვილს „ბუად“ იყენებსო და სააკაშვილი დასავლეთს სჭირდება იმისთვის, რომ მუდმივი დაძაბულობა იყოს ცალკე საქართველოში და... ცალკე უკრაინაში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მიშა უკრაინელებისთვის არ არის თავისტკივილი, ძალიან ცდება. ჯერ **პოროშენკო** ცდილობდა მის მოცილებას, მაგრამ საბოლოოდ თვითონ მოიცილეს, ახლა კი **ზელენსკის** აქვს ამის სურვილი, მაგრამ არაფერი გამოსდის.

ყველაფერი ერთად აღებული, პირდაპირი მნიშვნელობით, ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევაა და სხვა არაფერი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპა და ამერიკა ჯიუტად ცდილობდნენ, კონტროლი დაემყარებინათ 14 რესპუბლიკაზე. ბალტიისპირეთის ქვეყნები გამოირიცხა, ბელარუსმა და აზერბაიჯანმა თავს უშველეს, შუა აზიის რესპუბლიკები საინტერესო არ იყო და დარჩა სომხეთი, უკრაინა, საქართველო და მოლდოვა. თუ დააკვირდებით, **ამ ოთხივე ქვეყანაში, როგორც კი საფრთხე შეექმნა დასავლეთის გავლენის შემცირებას, მაშინვე ხელისუფლება შეიცვალა. რევოლუცია მოხდა ოთხივე რესპუბლიკაში და კიდევ მოხდება, თუ მმართველები დასავლეთს არ დაუჯერებენ და უპირველეს მტრად რუსეთს არ გამოაცხადებენ.**

ბოლო ნათელი მაგალითი იმისა, რომ ევროპა და ამერიკა უხეშად ერევიან საშინაო საქმეებში, გასულ კვირას გვქონდა. ამის კლასიკური ნიმუში იყო ევროსაბჭოს პრეზიდენტ **შარლ მიშელის** საქართველოში ვიზიტი. **კაცი ევროპიდან ხელისუფლების უმაღლესი პირებისთვის ყურის ასაწევად ჩამოვიდა და, საბოლოოდ, კი არ აუწია, ყურები აახია ჩვენს ხელისუფლებას, სახე გააძრო** (ახლა არ დამიწყოთ, რა ტერმინებს იყენებო, ტერმინები ისეთი უნდა, ჩვენი პოლიტიკოსები რომ საუბრობენ).

**მიშელის ვიზიტამდე ხელისუფლების უმაღლესი პირები დაბეჯითებით საუბრობდნენ, რომ ოპოზიციასთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, რადგან ისინი ულტიმატუმებით საუბრობდნენ, მაგრამ, როგორც კი წვერიანი კაცი დაინახეს, მაშინვე მოლბნენ და მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან კი არ დასხდნენ, არამედ პირობაც დადეს, თქვენ რომ აღარ შეწუხდეთ, მთელი პოლიტიკური სპექტრი 16 მარტს ბრიუსელში გეახლებით და დავალებას იქ ჩაგაბარებთო. ჰო, სწორედ დავალება მისცა მიშელმა ქართველ პოლიტიკოსებს თავისი საზეპიროებით და ისინიც გამალებით ემზადებიან.**

მხოლოდ მიშელზე არ გვაქვს საუბარი. საკმარისია, ევროპული ქვეყნის ნებისმიერმა ელჩმა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს საკუთარ რეზიდენციაში დაუძახოს, თავპირისმტვრევით გარბიან, წამითაც არ აგვიანებენ და ხბოს აღტყინებით თვალებში შესციცინებენ. **რამდენიმე საუკუნის წინათ სტამბოლში მონათა ბაზარი რომ იყო, სოვდაგრები დადიოდნენ და მონებს კბილებს უსინჯავდნენ, დაახლოებით იმავე სიტუაციაშია ქართული პოლიტიკური სპექტრი. დასავლელი სოვდაგრები ჩამოდიან და სწორედ რომ კბილს უსინჯავენ აქაურ პოლიტიკოსებს და ისინი წყვეტენ, ვინ მამლუქი იქნება, ვინ — საჭურისი, ვინ კიდევ ჰარამხანას დაამშვენებს.** გამოცხადებული მონობის ქრონიკა სხვაგვარად როგორია, არ ვიცით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ ჩანს საქართველოში პოლიტიკოსი, რომელსაც მონობის ასეთი მდგომარეობა ხელს არ აძლევს. **ყველა თანხმაა, პირველი ეამბოროს ხელზე თუ მუხლზე ნებისმიერს, ვინც ძალაუფლების მოპოვებაში ან შენარჩუნებაში დაეხმარება. საერთო ჯამში კი ვიღებთ ერთ დიდ დაკომპლექსებულ ჯგუფს, რომელიც შინაგანად, ქვეცნობიერად ვერ ეგუება მონობას და შემდეგ ჯავრს სხვაზე იყრის. ის „სხვა“ კი საქართველოს მოსახლეობაა, რომელსაც, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, 30 წელიწადია, სულს ხდიან და ჯერ ვერ ამოხადეს, ძალიან სიცოცხლისუნარიანები აღმოვჩნდით — ვერც შიმშილმა გაგვწყვიტა, ვერც ომმა...** ჰოდა, ტყვედ აგვიყვანეს, დაგვიმონეს და ამით იკმაყოფილებენ გაწყვეტის სურვილს. ისე, ტყვეს რაღაც უფლებები მაინც აქვს, მონას — არანაირი და სწორედ რომ უუფლებოა დღეს ქართული პოლიტიკური სპექტრი. ჩვენს პოლიტიკოსებს არჩევანს არავინ სთავაზობს, დაწერილ ფურცელს აძლევენ და ეუბნებიან, სწორედ იმ დღის წესრიგით უნდა იცხოვრონ და იმუშაონ, რომელიც დასავლეთს სურს.

მოდი, ეს ყველაფერი შევაბრუნოთ და დავუშვათ, რომ საქართველოს ელჩმა გერმანიაში საკუთარ რეზიდენციაში დაიბაროს **ანგელა მერკელი** ან საფრანგეთში საქართველოს ელჩმა დაიბაროს ემანუელ მაკრონი და, მაგალითად, გაუპროტესტოს ნიკოლა სარკოზის დაკავება, ეგ კაცი ჩვენი მეგობარი იყოო. თქვენი აზრით, რა მოხდება? საუკეთესო შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას აიძულებენ, ელჩი გაიწვიოს და უარეს შემთხვევაში, მისთვის პოლიტიკური კარიერა კი არა, შესაძლოა, თავისუფლად ყოფნაც დასრულდეს და, როგორც შეურაცხადი, ისე დააკავონ. ამის უფლებას საქართველოს ელჩებს უახლოესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არავინ მისცემს და, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, სწორედ ეს პერიოდია იმისთვის გაწერილი, ნატოს კარი რომ გაგვიღოს. ისე, წეღან საფრანგეთი შემთხვევით არ გვიხსენებია, სწორედ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** თქვა: დროა, ევროკავშირმა თავდაცვის ახალ შესაძლებლობებზე იფიქროს და ნატოს დაემშვიდობოსო. მანამდე, 2019 წლის ნოემბერში, მაკრონმა ისიც თქვა: ჩვენ ნატოს ტვინის სიკვდილის მოწმეები ვხდებით, ეს ორგანიზაცია კვდებაო. ჰოდა, ჩვენ სწორედ მომაკვდავ თუ უკვე მკვდარ ორგანიზაციაში რომ მიგვიღონ, ჩვენს ბიჭებს აფრიკასა და ავღანეთში სასაკლაოზე ვუშვებთ.

**ძალიან მარტივია, მართო ქვეყანა, რომელშიც ხან გავრილოვს დაიძახებენ, ხან — ნატოსა და ევროკავშირს, ხან ნარკოტიკების ლეგალიზების მოთხოვნით რამდენიმე ათასი ახალგაზრდა გამოვა ქუჩაში. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი, რომელსაც ქვეყნის მომავალი მართლა სტკივა და აინტერესებს, საშოვარზეა გადაგებული, რადგან შიმშილით შვილები და მშობლები ეხოცებათ, აქციებში მონაწილეობის სანაცვლოდ, ფულის აღებას არ კადრულობენ და, თუ ქუჩაში გამოვლენ, გამოვლენ იმიტომ, რომ მართლა სტკივათ, მართლა წუხან და სხვა არაფერრი აინტერესებთ. აი, ასეთი ხალხი მოიშორეს თავიდან დასავლელმა პარტნიორებმა და ამ ყველაფერს ადგილობრივმა პოლიტიკოსებმაც შეუწყვეს ხელი,** რადგან საღად მოაზროვნე ნაწილი არავის სჭირდება. მათ დაზომბებული, ნარკოტიკებით გაბრუებული თაობა უნდათ, რომელსაც ადვილად მართავენ.

16 მარტი მალე მოვა, საქართველოდან არაერთი პოლიტიკოსი გაემართება ბრიუსელში ოთხზე სახოხად და უსიტყვო მორჩილების დასადასტურებლად. შემდეგ ევროპელი სოვდაგრების ნათქვამს სხვადასხვაგვარად გადათარგმნიან, საკუთარ თავს (და არა ქვეყანას) მოარგებენ და შეეცდებიან, დაგვაჯერონ, რომ ევროპელები სწორედ მათ მხარეს არიან და არა ოპონენტის. ჩვენ კი უპუროდ მხოლოდ სანახაობა შეგვრჩება: ხან ფარულ ჩანაწერებს მოვუსმენთ და მერე მის ავთენტურობაზე მსჯელობის მოწმენი გავხდებით, ხან გზას გადაკეტავენ, ხან პარლამენტის წინ გაშლილ კარვებში მოხარშული ღომის ფოტოებს დავათვალიერებთ და ეს წელიც ზუსტად ისე გავა, როგორც შარშანდელი, შარშანწინდელი და იმის წინდელი გავიდა — ოფიციალურ მონობაში!

**ბესო ბარბაქაძე**



**მიშელის ვიზიტამდე ხელისუფლების უმაღლესი პირები დაბეჯითებით საუბრობდნენ, რომ ოპოზიციასთან სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, რადგან ისინი ულტიმატუმებით საუბრობდნენ, მაგრამ, როგორც კი წვერიანი კაცი დაინახეს, მაშინვე მოლბნენ და მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან კი არ დასხდნენ, არამედ პირობაც დადეს: თქვენ რომ აღარ შეწუხდეთ, მთელი პოლიტიკური სპექტრი 16 მარტს ბრიუსელში გეახლებით და დავალებას იქ ჩაგაბარებთო. ჰო, სწორედ დავალება მისცა მიშელმა ქართველ პოლიტიკოსებს თავისი საზეპიროებით და ისინიც გამალებით ემზადებიან**

**ყველა თანახმაა, პირველი ეამბოროს ხელზე თუ მუხლზე ნებისმიერს, ვინც ძალაუფლების მოპოვებაში ან შენარჩუნებაში დაეხმარება. საერთო ჯამში კი ვიღებთ ერთ დიდ დაკომპლექსებულ ჯგუფს, რომელიც შინაგანად, ქვეცნობიერად ვერ ეგუება მონობას და შემდეგ ჯავრს სხვაზე იყრის. ის «სხვა» კი საქართველოს მოსახლეობაა, რომელსაც, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, 30 წელიწადია, სულს ხდიან და ჯერ ვერ ამოხადეს, ძალიან სიცოცხლისუნარიანები აღმოვჩნდით — ვერც შიმშილმა გაგვწყვიტა, ვერც ომმა**

„თენგიზ ცერცვაძემ რუსულ ვაქცინაზე ცუდი განცხადება გააკეთა და მისი ახსნა-განმარტება საზოგადოებისთვის მიუღებელია. მან ვერ ახსნა, რის გამო არ უნდა მივიღოთ რუსული ვაქცინა. ქვეყანაში საშინელი პოლიტიკაა ძალმომრეობის, ეს ფაშიზმის ტოლფასია. ვუსმენდი ცერცვაძეს და ვხვდებოდი, როგორ წნეხში იყო მოქცეული, რომ პოლიტიკურმა დღის წესრიგმა კარგ ექიმს მსგავსი განცხადება გააკეთებინა“.

რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# საქართველოსნაირი უუფლებო ქვეყანა მეორე არ მეგულება, ჩვენი «კრემლია» ყველგან, დაწყებული ბრიუსელით... ვისაც არ ეზარება, ჩვენს ქვეყანას თავში ურტყამს

**რამდენიმე დღეა, საზოგადოება ისმენს ერთ-ერთი პარტიული ტელევიზიის მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს, რომლებშიც ქვეყნის პრემიერი ღარიბაშვილი, ფაქტობრივად, კრიმინალად არის გამოყვანილი; უფრო მეტიც, ყოფილი პრემიერისა და „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარის — ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერას, დაკვეთის შემსრულებლად. საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სჯერა ჩანაწერების ავთენტურობის და არც იმის, რომ ღარიბაშვილსა და ბერა ივანიშვილს მსგავსი კრიმინალის ჩადენა შეუძლიათ.
რატომ დასჭირდა დღეს ე.წ. ოპოზიციას პრემიერ ღარიბაშვილის დისკრედიტაცია; როგორ და რა გზებით ახერხებენ ესა თუ ის ტელევიზიები საიდუმლო ინფორმაციისა და ფარული ჩანაწერების ხელში ჩაგდებას — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე გვესაუბრება.**

**«ღარიბაშვილი უკან დაიხევს. მას ოროსანი ბავშვივით საშემოდგომო გამოაყოლეს და ახლა დაბარებული ჰყავთ ბრიუსელში საშემოდგომო გამოცდის ჩასაბარებლად. წარმოდგენა არ მაქვს, ამაზე მეტად როგორ უნდა დაამცირონ ქვეყანა, მეტად როგორ უნდა ჩაარტყან თავში, რომ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. ჩვენს ქვეყანაში არსებული კრიმინალური ოპოზიციის ზურგს უკან დგანან ადამიანები უცხო ქვეყნიდან, რომლებიც ჩვენს ხელისუფლებაზე ზეგავლენას ახდენენ. ე.წ. ქართული ოპოზიცია აგენტებითა და ქვეყნის მტრებით არის სავსე»**

— ე.წ. ოპოზიციაში მყოფმა კრიმინალებმა დაიკავეს გარკვეული ნიშა ქვეყანაში და ამ საშინელი ფაქტის მიმართ ხელისუფლების პოზიცია ჩემთვის გაუგებარია. მთავრობის წევრები აკრიტიკებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კრიმინალ ოპოზიციონერებს, მათ ერთობლივ ძალად მოიხსენიებენ, რაც მართალია, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები ითვალისწინებენ კრიმინალებისა და მათთან შეკრული ე.წ. ოპოზიციის აზრს, ისინი ჩართული ჰყავთ კომისიების მუშაობაში. ხელისუფლების წარმომადგენლები შეფასებებისას უკან არ იხევენ და საშინლად დანძღავენ ე.წ. ოპოზიციის ტელევიზიების წარმომადგენლებსაც, მაგრამ მათთანაც თანამშრომლობენ. **ხელისუფლება თანამშრომლობს ელისო კილაძისნაირებთანაც და მერე საზოგადეობას უკვირს, საიდან ჩაუვარდათ ხელში ჩანაწერები, როგორ ახერხებენ მოსმენას და ა.შ. ხელისუფლების მაღალჩინოსნები არიან ამ კრიმინალების „ჩიტები“, სწორედ ისინი აძლევენ მათ ყველა ინფორმაციას.**

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მიუღებელია ყველა, ვინც მათ აკრიტიკებს, მაგრამ ხელისუფლებასაც თუ აკრიტიკებ, ე.ი., მტერი ხარ და მიუღებელი. ხელისუფლება არ თვლის, რომ დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანის აზრი გასათვალისწინებელია, ისინი არ თანამშრობლობენ მათთან, ვისაც სალი აზრი აქვს და კრიმინალებთან თანამშრომლობა არ სურს.

ხელისუფლებამ ქვეყანაში ცუდი ვითარება შექმნა — ვინც მათთან არ არის, მათი მტერია.

**— ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან სამი წლის თავზე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში და არა მხოლოდ იქ, ჯერ კიდევ ნაციონალები სხედან. უკვე ცხრა წელიწადი გავიდა და საზოგადოება კვლავ ამ რეალობის წინაშე დგას — ხელისუფლებას აშანტაჟებენ, ფარულად იწერენ, მერე ამ ჩანაწერებს უქვეყნებენ და ა.შ.**

— ცხრა წლის თავზე არაფერი შეცვლილა, ყველას შეუძლია ნახოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საშტატო განრიგი, სულ რაღაც ერთი-ორი ადამიანია შეცვლილი, დანარჩენები ისევ თავის ადგილას არიან.

ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს წინა ხელისუფლებაში მყოფი დამნაშავეების შესახებ, მაგრამ არაფერს ცვლის; მეტიც, თანამშრომლობს ამ დამნაშავეებთან. **სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მიშასდროინდელი ხალხი მუშაობს, სახელმწიფო უშიშროებას ისევ ის კრიმინალები „ემსახურებიან“, თანაც ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობებზე.**

**— პრემიერ ღარიბაშვილის წინააღმდეგ რამდენიმე დღის წინათ სკანდალური ჩანაწერის გავრცელება მას შემდეგ დაიწყო, რაც ამერიკის ელჩმა და უცხოელმა პარტნიორებმა განაცხადეს, უფრო ზუსტად, „ურჩიეს“ ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას, რომ პლებისციტი ჩაატარონ და ხალხის აზრი მოისმინონ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ. რიგგარეშე არჩევნების კატეგორიული მოწინააღმდეგეა ღარიბაშვილი...**

— ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემაა ის, რომ დამოუკიდებლები და სუვერენულები არ ვართ. არადა, ე.წ. პარტნიორები გვარწმუნებენ, რომ დამოუკიდებლები ვართ. ამ ვითარებამ დაბნეულობა გამოიწვია საზოგადოებაში — თუკი დამოუკიდებლები ვართ, რისთვის ვიბრძოლოთ?! ქართველები ინერტულები გავხდით და ბრძოლის აზრი დავკარგეთ.

სინამდვილეში, **არც დამოუკიდებლები ვართ და არც სუვერენულები, გადაწყვეტილების მიღების საშუალებაც კი არ გვაქვს.**

საქართველოსნაირი უუფლებო ქვეყანა მეორე არ მეგულება, ჩვენი „კრემლია“ ყველგან, დაწყებული ბრიუსელით... ვისაც არ ეზარება, ჩვენს ქვეყანას თავში ურტყამს.

**— თუ დაიხევს პრემიერი ღარიბაშვილი უკან, ჩატარდება პლებისციტი და ხელახალი არჩევნები?**

— კი, ღარიბაშვილი უკან დაიხევს, მას ოროსანი ბავშვივით საშემოდგომო გამოაყოლეს და ახლა დაბარებული ჰყავთ ბრიუსელში საშემოდგომო გამოცდის ჩასაბარებლად. წარმოდგენა არ მაქვს, ამაზე მეტად როგორ უნდა დაამცირონ ქვეყანა, მეტად როგორ უნდა ჩაარტყან თავში, რომ მიხვდნენ, ვისთან აქვთ საქმე. ჩვენს ქვეყანაში არსებული კრიმინალური ოპოზიციის ზურგს უკან დგანან ადამიანები უცხო ქვეყნიდან, რომლებიც ჩვენს ხელისუფლებაზე ზეგავლენას ახდენენ. ე.წ. ქართული ოპოზიცია აგენტებითა და ქვეყნის მტრებით არის სავსე. ამერიკის დემოკრატია არ არის განმსაზღვრელი, განმსაზღვრელია ის, ვის და რას უჭერენ მხარს.

სახალხო დამცველ **ნინო ლომჯარიას** ლანძლავს ყველა, განსაკუთრებით „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ადამიანები. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ხელისუფლებას ლომჯარიას კანდიდატურა თავს მოახვიეს, მაგრამ ახლა ასე არ ვფიქრობ — ლომჯარია დანიშნეს იმისთვის, რომ მეტად დაგვამცირონ, გაგვანადგურონ. **ლომჯარიას ვიღაცამ „სახალხო დამრღვევი“ დაარქვა და სწორიც არის. ლომჯარიასავით არ უნდა იქცეოდეს რიგითი მოქალაქეც კი, არათუ სახალხო დამცველი.** ჩვენი ქვეყნის სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია არის ანგაჟირებული, არ აქვს ცოდნა, გამოცდილება, არის კრიმინალების მეგობარი, მის ყველა სიტყვაში იგრძნობა უვიცობა, ეს ქალი ვერ ხვდება, რომ სასამართლო ვერ და არ იქნება პოლიტიზებული. ლომჯარია არარაობაა, მაგრამ ის ხელისუფლების არჩეულია, პარლამენტის ხელდასმული. ლომჯარია უვიცია და, თუ ეტყვიან, რომ ორჯერ ორი ხუთია, ის დაადასტურებს, რადგან არ იცის, რამდენია სინამდვილეში.

**— რადგან ყველას „გადავწვდით“, გკითხავთ... რამდენიმე დღის წინ ჩვენი „სამი მუშკეტერიდან“ ერთ-ერთმა, თენგიზ ცერცვაძემ, განაცხადა: რუსული ვაქცინა კარგიც რომ იყოს, ჩვენთვის პოლიტიკურად მიუღებელიაო... ეს განცხადება პოლიტიკურად აგნაჟირებული ადამიანის განცხადებას ჰგავდა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ექიმებსა და წამლებს საზღვრები არ აქვთ...**

— ცერცვაძის განცხადება სიბნელეა, უვიცობაა. ძალიან ვწუხვარ ამ სიტყვებს რომ ვამბობ მართლაც კარგ სპეციალისტზე. ის პიარის მსხვერპლია, ქვეყანაში არსებული იდეოლოგიის მსხვერპლი. მან კარგად იცის, რომ საქართველოს ბაზარი გაჯერებულია რუსული პროდუქციით, ყველა სტრატეგიული ობიექტი ჯერ კიდევ მიშას ხელისუფლების პერიოდში მიჰყიდეს რუსეთს, ეს ყველაფერი ყველამ იცის და მაინც რაღაც ეჩოთირებათ. **ჩემთვის გაუგებარია ცერცვაძისა და სხვა ექიმების ასეთი მიდგომა რუსული ვაქცინისადმი, ქართული აფთიაქები სავსეა რუსული წამლებით და ყველა საუკეთესოა. მეც და ჩემს გარშემოც ყველა რუსულ პროდუქციას ანიჭებს უპირატესობას. შე დალოცვილო, თუკი რუსულ პროდუქციას მოიხმარ და უპირატესობასაც ანიჭებ, ვაქცინამ რა დაგიშავა? პოლიტიკურად მიუღებელი წამალი არ არსებობს... ექიმის მხრიდან მსგავსი განცხადების გაკეთება, სიბნელეა,** ცერცვაძე ანგაჟირებულია, რაც სამწუხაროა. ექიმს უფლება არ აქვს, თუნდაც შვილის მკვლელი არ გადაარჩინოს, მათ ჰიპოკრატეს ფიცი აქვთ დადებული. წარმოუდგენელია, სადღაც წამალი არსებობდეს, საშველი იყოს და უარი განაცხადო. **ჩვენი ექიმები ყველაფრის წინააღმდეგ მიდიან, რაც რუსეთს ეხება და ეს იმის ფონზე, საკუთარი ნებით რომ გვაქვს დათმობილი რუსეთისთვის ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი.**

თენგიზ ცერცვაძემ რუსულ ვაქცინაზე ცუდი განცხადება გააკეთა და მისი ახსნა-განმარტება საზოგადოებისთვის მიუღებელია. მან ვერ ახსნა, რის გამო არ უნდა მივიღოთ რუსული ვაქცინა. ცერცვაძის განცხადება პროდასავლურობას არ ნიშნავს, ეს პროვინციალიზმია. ქვეყანაში ძალმომრეობის საშინელი პოლიტიკაა, ეს ფაშიზმის ტოლფასია. ვუსმენდი ცერცვაძეს და ვხვდებოდი, როგორ წნეხში იყო მოქცეული, რომ პოლიტიკურმა დღის წესრიგმა კარგ ექიმს მსგავსი განცხადება გააკეთებინა.

**ჩვენი ქვეყნის რეალურ პრობლემაზე არავინ ფიქრობს, აქცენტი გადატანილია მტრის ხატის შექმნაზე. პრობლემებზე მოლაპარაკე ადამიანი არ არსებობს ქვეყანაში, არ არსებობს კონცეფცია, ტელეეთერში სალად მოაზროვნე ადამიანს ვერ ნახავ.** ერთადერთი, რასაც ვუყურებთ, არის ის, რომ უცხოელ სტუმრებს საზღვრებთან ეპატიჟებიან და მავთულხლართებს ათვალიერებინებენ, თითქოს იქ მისვლით რუსს შეაშინებენ და გააქცევენ. ჩადიან შავი ჯიპებით, იმის ნაცვლად, რომ ჯიპებში ჩასასხმელი ბენზინის ფულით საზღვართან მცხოვრებ ხალხს დაეხმარონ, ხალხს, რომლებიც იქ ყოფნით მართლაც იცავენ საზღვარს. ამ თემას არ შევეხებოდი, **საქმე რომ კეთდებოდეს. სისულელეს ჰგავს მასპინძლებისა და სტუმრების ქცევა. ევროპელები მავთულხლართთან თუ არ ჩავიდნენ, ისე არ იციან, ტერიტორიები დაკარგული რომ გვაქვს? არ იციან, რა გვჭირს? შეიძლება ყველაფერი მხოლოდ პიარზე იყოს გათვლილი და არც ერთი ნაბიჯი არ გადაიდგას ქვეყნის კრიზისიდან რეალურად გამოსაყვანად?!**

სიგიჟე ჰქვია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, რომელსაც პროდასავლურობას უწოდებენ და სინამდვილეში ფაშიზმია. ქართველები არ ვსაუბრობთ ტერიტორიების დაბრუნების რეალურ გზებზე, არ ვსაუბრობთ ეკონომიკური პოლიტიკის შექმნაზე, რათა ქვეყნის მოსახლეობამ და ეკონომიკამ ამოისუნთქოს, გლეხმა შვება იგრძნოს. მარაზმში ვართ...

**«სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია არის ანგაჟირებული, არ აქვს ცოდნა, გამოცდილება, არის კრიმინალების მეგობარი, მის ყველა სიტყვაში იგრძნობა უვიცობა, ეს ქალი ვერ ხვდება, რომ სასამართლო ვერ და არ იქნება პოლიტიზებული. ლომჯარია არარაობაა, მაგრამ ის ხელისუფლების არჩეულია, პარლამენტის ხელდასმული. ლომჯარია უვიცია და, თუ ეტყვიან, რომ ორჯერ ორი ხუთია, ის დაადასტურებს, რადგან არ იცის, რამდენია სინამდვილეში»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

თავდაცვის სფერო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო, როგორც სახელმწიფო, ყოველთვის იქნება ერთგვარ განტევების ვაცად გამოყენებული ე.წ. პარტნიორების მხრიდან, სანამ აქ არ მოვა ადეკვატური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი ხელმძღვანელობა. ეს არის ყველასთვის ხილული რეალობა, ამიტომ დარწმუნებული იყავით, რა პროცესებიც უნდა მიდიოდეს, ყოველთვის მოგვყიდიან იარაღს, ჩაგვითრევენ ომში, რომლის შედეგადაც ისევ დავკარგავთ ტერიტორიებს და ბოლოს მადლობასაც გვათქმევინებენ „მხარდაჭერისთვის“.**



### გურამ ნიკოლაიშვილი:

# ჩვენი ფულით ვყიდულობთ იარაღს ამერიკელებისგან და ვიყენებთ მათ მიერ წარმოებულ ომში, რომელიც ჩვენთან დაკავშირებული არ არის

**ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოს თავდაცვის ახალდანიშნულ მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესა და აშშ-ის თავდაცვის მდივან ლოიდ ოსტინს შორის გამართულ სატელეფონო საუბარს გამოეხმაურა და სპეციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში, რომელიც მოგვიანებით საქართველოს თავდაცვის უწყების ოფიციალურ ვებგვერდზეც განთავსდა, აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი მზად არის, რუსეთის მხრიდან გაზრდილი აგრესიისა და მავნე გავლენის ფონზე, საქართველოს დაეხმაროს თავდაცვისუნარიანობის განვითარებაში.**

## «საქართველო, ისევე, როგორც უკრაინა, გამოყენებულია ერთგვარ ინსტრუმენტად იმისათვის, რომ მოსკოვი აიძულონ, გარკვეული მოქმედებები განახორციელოს»

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ მინისტრმა ბურჭულაძემ მადლობა გადაუხადა ლოიდ ოსტინს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციასა და რეფორმების გატარებაში დახმარებისთვის, რომელმაც, თურმე, საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. შეგახსენებთ, რომ ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ ამერიკის თავდაცვის უწყება თავის განცხადებებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოსთვის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში დახმარების საკითხზე, ასევე „რუსულ საფრთხეებზე“ და მის წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლის აუცილებლობაზე. თუმცა, შეფასებები, რა საპასუხო მოქმედებები შეიძლება მოყვეს ამ ყველაფერს ოფიციალური მოსკოვიდან, არც საქართველოში და მით უფრო არც ვაშინგტონში არ კეთდება.

**რას ნიშნავს განცხადება, რომ ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტი მზად არის, რუსეთის მხრიდან გაზრდილი საფრთხეების ფონზე საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში დაეხმაროს და რა საფრთხეებს შეიძლება, ეს ჩვენთვის შეიცავდეს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაუფლება ბაიდენის ადმინისტრაციამ ჩაიბარა, პენტაგონმა მოუხშირა განცხადებებს, რომ უნდა დაეხმარონ საქართველოსა და უკრაინას თავდაცვისუნარიანობის განვითარებაში, შეიარაღების მოდერნიზაციაში და ა.შ. ხშირად ახსენებენ „გაზრდილ რუსულ საფრთხეებსა და გავლენებსაც...“ „პროდასავლური“ პოლიტიკური სპექტრი საქართველოში ამ ყველაფერზე დიდ იმედს ამყარებს. რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში ჩვენთვის „თეთრი სახლის“ ეს რიტორიკა და მან რეალურად რა შეიძლება მოგვიტანოს?**

— ის, რომ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ბაიდენის მოსვლა გლობალურ პოლიტიკაში გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევდა, სიახლე და მოულოდნელობა არავისთვის ყოფილა. რა თქმა უნდა, გადაიხედება მთელი რიგი პრიორიტეტებისა, რომლებიც წინა ადმინისტრაციას ჰქონდა, და ეს აისახება რეალურ ნაბიჯებში. თუმცა ის **მოლოდინი, მათ შორის ჩვენს პოლიტიკურ სპექტრშიც, რომ აი, ახლა ამერიკა დაბრუნდა, როგორც ბაიდენმა განაცხადა ინაუგურაციის დღეს, და „პარტნიორ“ ქვეყნებს ეშველებათ, ცოტა არ იყოს, ინფანტილურია; იმიტომ, რომ ეჭვი მეპარება, ეს ცვლილებები საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებთან თანხვედრაში იყოს; და მეორე, საქართველოს არ ჰყავს დღეს საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული ხელმძღვანელობა, რომელიც კორექტივების შეტანას შეეცდებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ეს, რაც არახალია.** რაც შეეხება პენტაგონის განცხადებას, აშშ მზად არის, საქართველოს დაეხმაროს თავდაცვისუნარიანობის განვითარებაშიო, გამომდინარე იქიდან, რომ განცხადება საკმაოდ ზოგადია, რთულია კონკრეტულად იმის თქმა, რა სახის დახმარებაზე შეიძლება იყოს ამ ვითარებაში საუბარი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **დღევანდელი ადმინისტრაციის პირობებში ვაშინგტონი ორიენტირებულია, ერთგვარი რკალი შექმნას რუსეთის გარშემო და გაიძლიეროს დასაყრდენი, როგორც შავ ზღვაში, ისე სამხრეთითაც.** საერთოდ, შავი ზღვა სუსტი რგოლია ამერიკისთვის. შესაბამისად, ამ რეგიონში ის ცდილობს, ჩამოაყალიბოს ერთგვარი გეოპოლიტიკური ტრიუმვირატი, საქართველო-უკრაინა-მოლდოვის სახით, რომელსაც კონიუქტურის მიხედვით პერიოდულად გაააქტიურებს და ნაწილობრივ, ალბათ, ცხელ წერტილადაც აქცევს...

**— სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ ამერიკა არავის უკარნახებს, როგორ უნდა მოიქცეს. ის მხოლოდ მაგალითს უჩვენებს... ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს განცხადება გარკვეულწილად გზავნილია „პარტნიორი“ ქვეყნებისთვის, რომ მათ თვითონ უნდა მოაგვარონ თავიანთი პრობლემები?**

— ვფიქრობ, ამ განცხადებას და, საერთოდ, ყველა მსგავს გზავნილს, აქვს თავისი კონკრეტული შინაარსი, რომელიც ნაკარნახევია არსებული მოცემულობით. რა თქმა უნდა, ვაშინგტონი გარკვეული თვალსაზრისით თავს ითავისუფლებს ვალდებულებებისგან პარტნიორებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას აქ არ აქვს თავისი ინტერესები. ჩემი აზრით, **გზავნილები იმის თაობაზე, რომ აშშ არავის საქმეში არ ჩაერევა და ყველამ თვითონ უნდა მოაგვაროს საკუთარი პრობლემები, გულისხმობს შემდეგ ქვეტექსტს: არსებული ვითომ პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში ამერიკელები მიიღებენ სარგებელს, თუნდაც მოსკოვთან ჩვენი ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებით, ხოლო იმ ნაწილში, რომელსაც ამ გამწვავებული ურთიერთობით გამოწვეული სირთულეების გადალახვა ჰქვია, უნდა ვიყოთ სრულიად „დამოუკიდებლები“, პირისპირ დავრჩეთ საფრთხეებსა და გამოწვევებთან.** რაც შეეხება განცხადებას თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში დახმარების თაობაზე, აქაც ძალიან **მარტივია რეალობის დანახვა იმ თვალსაზრისით, რომ არავინ არავის ეხმარება კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა რამე ინტერესის გარეშე. ამერიკის ინტერესი დღეს არის ის, რომ მან რაც შეიძლება მეტი იარაღი მიჰყიდოს „მოკავშირე“ ქვეყნებს.** ეს არის გზა, მისი სამხედრო ინდუსტრიის კიდევ უფრო გაზრდისა და გაძლიერებისკენ. სხვათა შორის, ახლა 125 მილიონი აშშ დოლარია დახმარების სახით უკრაინისთვის გამოყოფილი, რათა მან გარკვეული ტიპის ამერიკული შეიარაღება შეიძინოს. გარდა ამისა, თვით უკრაინის სამხედრო ბიუჯეტიდანაცაა თანხები გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, **უკრაინას, რომელსაც ოდესღაც საკმაოდ განვითარებული სამხედრო ინდუსტრია ჰქონდა, დღეს პრაქტიკულად ფლოტი არ ჰყავს. წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი ბრძოლისუნარიანი გემი ჰყავს, დანარჩენი პატარ-პატარა კატარღებია, რომლებსაც მხოლოდ საზღვრის დაცვის ფუნქცია აკისრიათ და ბრძოლაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.**

**— საქართველოს რა მდგომარეობა აქვს ამ თვალსაზრისით?**

— საქართველოს დღეს მთლიანი შიდა პროდუქტის 2,4% აქვს გამოყოფილი შეიარაღების მოდერნიზაციისთვის, დაახლოებით 100-150 მილიონი აშშ დოლარი. ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია, მაგრამ, რაც არის, ამით ჩვენ მათგან ვყიდულობთ იარაღს. სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინათ საქართველომ ამერიკისგან სხვადასხვა კალიბრის ტყვიამფრქვევები შეიძინა, რომლებიც კი არის იარაღი და თავის ამოცანას მეტნაკლებად ასრულებს, მაგრამ ბრძოლის ველზე მაინცდამაინც დიდი ეფექტიანობით ვერ გამოირჩევა. რაც შეეხება, საზოგადოდ, თავდაცვას და თავდაცვისუნარიანობას, მოდი, დავიწყოთ ფლოტით. **დღეს საქართველოს საზღვაო ძალები, პრაქტიკულად, არ ჰყავს. ჩვენ გვყავს მხოლოდ 30 ტონა წყალწყვის სასაზღვრო კატარღები, რომლებზეც დაყენებულია 30-მილიმეტრიანი ქვემეხები, მეტი არაფერი. სხვათა შორის, აფხაზებს უფრო დიდი ფლოტი ჰყავთ დღეს, ვიდრე ჩვენ. მათ 16 გემი ჰყავთ და 1000 კაცამდე — სამხედრო-საზღვაო ძალებში.** ახლა შეიარაღება ავიღოთ, ხელისუფლება ძალიან ამაყობდა თავის დროზე და დღესაც ამაყობს „ჯაველინებით“, რომლის შეძენაც, თუ არ ვცდები, 2018 წლიდან დაიწყო. მათი გარკვეული რაოდენობა უკვე გამოიყენეს ავღანეთში; უფრო სწორად, ნაყიდი იყო იმისთვის, რომ იქ გამოეყენებინათ. ე.ი., **ჩვენი ფულით ვყიდულობთ იარაღს ამერიკელებისგან და ვიყენებთ მათ მიერ წარმოებულ ომში, რომელიც ჩვენთან არავითარ კავშირში არ არის. ჩნდება მარტივი შეკითხვა: რა პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სხვა სახის სარგებელს იღებს აქედან საქართველო?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— საქართველო, ისევე, როგორც უკრაინა, ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რათა მოსკოვი აიძულონ, გარკვეული მოქმედებები განახორციელოს და მერე „დემოკრატიულმა“ დასავლეთმა საერთაშორისო ტრიბუნებზე იძახოს: შეხედეთ, რუსეთი რა აგრესორიაო...

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველო მომავალშიც არ გამოიყენონ ამგვარ ინსტრუმენტად?**

— პირველ რიგში, ალბათ, **უნდა გავაცივოთ ცხელი თავები მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში, რომლებსაც სჯერათ და გაიძახიან, რომ, თურმე, საქართველოს დასაკარგი არაფერი აქვს, რომ ჩვენ ნებისმიერ ფასად უნდა გავაგრძელოთ სვლა ნატოსკენ... ნეტარ არიან მორწმუნენი! მიბრძანდნენ, მაგრამ, თუ ვინმეს სჯერა, რომ ახლა ბაიდენი ყველაფერს თავდაყირა დააყენებს საქართველოს ან უკრაინის გადასარჩენად, ძალიან ცდება.** ის, რაც განცხადებების დონეზე გვესმის, დარჩება ლაპარაკად, ხოლო რეალური პოლიტიკა გაცილებით მოკრძალებული იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ დღეს ამერიკას ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. მისი მხოლოდ საგარეო ვალი 31 ტრილიონ დოლარზე მეტია. აცნობიერებთ, ეს რამხელა თანხაა?! რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, იმ ცხელ თავებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ დემოკრატების აქტიური პოლიტიკა კრემლის პოზიციებს შეასუსტებს და ჩვენ გაგვაძლიერებს, შევახსენებ, რომ **რუსეთი არის სახელმწიფო, რომელსაც დოქტრინაში პირდაპირ უწერია ბირთვული შეიარაღების გამოყენების შესაძლებლობა აუცილებლობის შემთხვევაში. ეს, იცით, რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების რამე ფორმით საფრთხის ქვეშ დაყენება სრული კატასტროფის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიოსთვის. ახლა თქვენ როგორ ფიქრობთ — ან საქართველო, ან თუნდაც უკრაინა ვინმეს უღირს იმად, რომ ამ ისედაც გაქანებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბირთვულ სახელმწიფოსთან ომში ჩაებას?!** საქართველო, როგორც სახელმწიფო, ყოველთვის იქნება ერთგვარ განტევების ვაცად გამოყენებული ე.წ. პარტნიორების მხრიდან, სანამ აქ არ მოვა ადეკვატური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი ხელმძღვანელობა. ეს არის ყველასთვის ხილული რეალობა, ამიტომ დარწმუნებული იყავით, რა პროცესებიც უნდა მიდიოდეს, ყოველთვის მოგვყიდიან იარაღს, ჩაგვითრევენ ომში, რომლის შედეგადაც ისევ დავკარგავთ ტერიტორიებს და ბოლოს მადლობასაც გვათქმევინებენ „მხარდაჭერისთვის“. რას მოგვიტანს ეს საბოლოოდ? კიდევ უფრო დასუსტებულ, დაქუცმაცებულ სახელმწიფოს, რომელსაც არანაირი პერსპექტივა არც ერთი თვალსაზრისით და მიმართულებით არ ექნება...

## «გზავნილები იმის თაობაზე, რომ აშშ არავის საქმეში არ ჩაერევა და ყველამ თვითონ უნდა მოაგვაროს საკუთარი პრობლემები, გულისხმობს შემდეგ ქვეტექსტს: არსებული ვითომ პარტნიორული ურთიერთობების ფარგლებში ამერიკელები მიიღებენ სარგებელს, თუნდაც მოსკოვთან ჩვენი ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებით, ხოლო იმ ნაწილში, რომელსაც ამ გამწვავებული ურთიერთობით გამოწვეული სირთულეების გადალახვა ჰქვია, უნდა ვიყოთ სრულიად «დამოუკიდებლები», პირისპირ დავრჩეთ საფრთხეებსა და გამოწვევებთან»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

თუ არ გვინდა, რომ მოღალატე სააკაშვილისა და მერე უკვე „ქოცების“ მიერ გაყიდული რიონის ხეობის სახით შუაგულ საქართველოში გაჩნდეს თურქული ანკლავი, დიდი და პატარა უნდა გამოვიდეს გარეთ საკუთარი პოზიციის გამოსახატავად; სრულიად საქართველო უნდა დადგეს ფეხზე და არ გაჩერდეს, სანამ ამ საუკუნის ღალატს არ დაესმევა წერტილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვართ კატასტროფის წინაშე, ვინაიდან ის, რაც ხდება, არის ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაკარგვის საფრთხე.

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვაჟა ოთარაშვილი:

# ასე გაიქცევიან სხვებიც და წაიღებენ მილიონებს, ჩვენ კი დაგვრჩება თურქებზე გაყიდული, დაკაბალებული საქართველო

**5 მარტს ხელისუფლების წარმომადგენლები ახალდანიშნული პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის, დავალებით (რომელმაც 28 თებერვალს ქუთაისში გამართული ნამოხვანჰესის საწინააღმდეგო მრავალათასიანი მანიფესტაციის შემდეგ პროექტის გარშემო არსებულ ყველა შეკითხვაზე დეტალური განმარტებების პირობა დადო), ცაგერში ჩავიდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან, როგორც თვითონ თქვეს, „საინფორმაციო“ შეხვედრა გამართეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში რამდენიმე საათს გაგრძელდა და მისი დასრულების შემდეგ მინისტრებმა მედიასთან ისაუბრეს.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ** შიშს ახალი ჰესის მშენებლობის შედეგად კლიმატური პირობების ცვლილების ან დასახლებების დატბორვის საფრთხის გამო აპოკალიფსური სურათი უწოდა, რომელიც, თურმე, ფანტაზიის ნაყოფია. სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** კი ყურადღება ჰესის კასკადის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე გაამახვილა და დასძინა, რომ მოსახლეობამ მიიღო ამომწურავი პასუხები ყველა შეკითხვაზე, რომლებიც მათ აინტერესებდათ.

**ცნობისთვის:** რიონის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობას, უკვე ოთხ თვეზე მეტია, კარვები აქვს გაშლილი და ნამოხვანჰესის მშენებლობას აპროტესტებს. მათი უკმაყოფილების მიზეზი არის ის, რომ ხელისუფლებამ (ჯერ წინამ და შემდეგ მოქმედმაც) თურქულ კომპანია „ენკასთან“ გააფორმა კაბალური ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას რიონის ხეობა ასი წლით გადაეცა. (კომპანია, ფაქტობრივად, ერდოღანის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ატარებს არასაჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს). ხელისუფლება და მისი პროპაგანდის საშუალებები კი ყველანაირად ცდილობენ, მოსახლეობის პროტესტი ისე წარმოაჩინონ, თითქოს უკმაყოფილებას მხოლოდ გეოლოგიური საფრთხეების შიში იწვევს...

**რატომ არის ნამოხვანჰესის პროექტი საზოგადოებისთვის მიუღებელი და რა საფრთხეებს შეიცავს თურქულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოსთვის — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ნამოხვანჰესის გარშემო ატეხილი ხმაური მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყანაში. რამდენიმე დღის წინათ ქუთაისში მრავალათასიანი მიტინგიც გაიმართა... ხელისუფლება ამ თემას ცოცხა სხვანაირად წარმოაჩენს — ცდილობს, ყველაფერი ისე დაგვანახვოს, თითქოს უკმაყოფილება გამოწვეულია მხოლოდ შიშით დასახლებებისთვის საფრთხის შემცველი გეოლოგიური პროცესებისა და ქუთაისის დატბორვის საფრთხის გამო. რით არის ჩვენთვის მიუღებელი თურქულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება?**

— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი „მეოცნებე“ ხელისუფლება, ისევე, როგორც ნაციონალური რეჟიმის ხელისუფლება, არის სამშობლოს, ქართველობის მოღალატე და გამყიდველი ძალა, რომელიც მიზანმიმართულად ატარებდა მტრულ პოლიტიკას. გამომდინარე აქედან, ორივე მათგანი — „ნაცებიც“ და „ქოცებიც“ — გასაყრელი და დასაჭერი არიან, ვინაიდან, მოგეხსენებათ, **ნამოხვანჰესის ამბავი თავის დროზე სწორედ სააკაშვილის ფაშისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო და ამჟამინდელმა წარმატებით განაგრძო.** გაგახსენებთ სააკაშვილის „მგზნებარე“ გამოსვლას, თუ არ ვცდები, 2009 წელს, როდესაც ნამოხვანჰესზე ვრცლად ისაუბრა და მისი სიმძლავრე ენგურჰესის სიმძლავრეს შეადარა. **პირველმა სააკაშვილმა დაიწყო ყბედობა გიგანტურ ჰესებზე და ამტკიცებდა, რომ ქვეყანას ამ პროექტების განხორციელების შემდეგ ექნებოდა ენერგოდამოუკიდებლობა. ეს არის მტკნარი სიცრუე და საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ თვალში ნაცრის შეყრა, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მისი განცხადებები არანაირ მეცნიერულ დასკვნებს არ ეფუძნებოდა და მეორე: შეუძლებელია, ვისაუბროთ ენერგო დამოუკიდებლობაზე, როცა უცხო სახელმწიფოსთან აფორმებ შენი ქვეყნისთვის აბსოლუტურად წამგებიან, მონურ ხელშეკრულებას და მთელ ხეობას სიმბოლურ ფასად აძლევ მას საუკუნოვანი იჯარით.** რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, **გიორგი გახარიამ,** სანამ გადადგებოდა, ხელი მოაწერა წარმოუდგენლად მოღალატეობრივ დოკუმენტს, რითაც, არ მომერიდება ამის თქმის, საქართველოს ისტორიულ მტერს საბოლოოდ დაუმტკიცა 576 ჰექტარი მიწის ფართობი 121 ლარად. მე ვთვლი, რომ **ეს არის ფარული კორუფციული გარიგების ნიშნების მქონე ხელშეკრულება** და ეს საქმე გამოსაძიებელია... სხვათა შორის, აქვე მინდა, მოკლედ გამოვეხმაურო ქალბატონ **თურნავასა** და ბატონ **დავითაშვილის** ჩასვლას იმერეთში, სადაც მათ ვითომ შეხვედრა გამართეს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხალხს „ამომწურავი“ ინფორმაცია მიაწოდეს ნამოხვანჰესის კასკადზე. ეს იყო ჩვეულებრივი მასკარადი, რომელსაც ესწრებოდა მათი პარტიული აქტივი და მათ მიერვე დასმულ შეკითხვებს სცემდნენ პასუხს. თუმცა, მადლობა ღმერთს, იქ იყვნენ მართლა გულანთებული მამულიშვილებიც, რომლებმაც პირში მიახალეს სიმართლე.

**— ამ შეხვედრის შემდეგ ნათია თურნავამ მედიასთან საუბრისას ფანტაზიის ნაყოფი უწოდა „შიშებს“ იმის თაობაზე, რომ ახალმა ჰესმა შეიძლება დასახლებებს საფრთხე შეუქმნას.**

— თურნავა არის უვიცი მინისტრი. რა ფანტაზიის ნაყოფი... დამიჯდეს ნებისმიერ ეთერში და გამცეს იმ შეკითხვებზე პასუხები, რომლებსაც დავუსვამ. სხვათა შორის, ჩემი პირველი დისერტაცია მიწისზედა წყლების კონტროლის ავტომატიზებულ სისტემებს ეხებოდა და ზეპირად ვიცი ეკოსისტემის თავისებურებები... **ოდიუმ ჰეიტრედის** წიგნი მაინც წაეკითხონ, დასავლელი მეცნიერის, რომელიც ამტკიცებს, რომ დღევანდელი მსოფლიო უსერიოზულესი ეკოკატასტროფის საფრთხის წინაშეა.

რაც შეეხება ხელისუფლების ისევ იმ „არგუმენტს“, რომ თურმე გიგანტური ჰესები არის გზა ენერგოდამოუკიდებლობისკენ, **რომელ ენერგოდამოუკიდებლობაზე საუბრობენ, როცა დღეს საქართველო პრაქტიკულად თავის ვერც ერთ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ აკონტროლებს. გნებავთ, წყალი ავიღოთ, გნებავთ — ელექტროენერგია და სხვა, ყველაფერი უცხოელებს მიჰყიდეს. სასოფლო-სამეურნეო მიწა აღარ დარჩა ქვეყანაში, რომელიც სადავო არ გამხდარიყო ან ინდოელებთან, ან ჩინელებთან და არაბებთან. ეს ხელისუფლება ფიქრობს დამოუკიდებლობაზე?!** იმაზე, რომ საქართველო რამე მიმართულებით სხვაზე არ იყოს დამოუკიდებელი?!

**— ფარული კორუფციული გარიგების ნიშნები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში შესაძლებელია ამ საქმის გამოძიება?**

— დღევანდელ ვითარებაში რა გითხრათ, მაგრამ, თუ ოდესმე ეროვნული ხელისუფლება გვეღირსება, ყველა, ვინც რამე ფორმით მონაწილეობა მიიღო მოღალატეობრივ გარიგებაში, აუცილებლად უნდა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე. ისინი უნდა გასამართლდნენ ღალატის მუხლით. ახლა ორიოდე სიტყვა ეკონომიკის მინისტრზეც ვთქვათ, რომელიც ამ დღეებში ძალიან თამამ და ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა. **უსინდისოდ იტყუება ქალბატონი თურნავა, როცა მოსახლეობას ჰპირდება, რომ ნამოხვანჰესი არის პროექტი, რომელიც მათ დაასაქმებს. ეს მტკნარი სიცრუეა... აჩვენონ ხალხს ხელშეკრულება, სხვათა შორის, 200 გვერდზე მეტია და გააცნონ, რა არის მასში ჩადებული... გაგიჟდებით...** რაც შეეხება, თავის მხრივ, თურქეთის ინტერესებს, **ნეოოსმალური იდეის მქონე დღევანდელი თურქეთი არა მხოლოდ რიონის ხეობას ყიდულობს ამ ხელშეკრულებით, ის მთელ დასავლეთ საქართველოში იქმნის პლაცდარმს შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსიისთვის. შესაბამისად, ერთი საუკუნის შემდეგ ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიქნებით, მაგრამ ჩვენს შვილებს, ჩვენს შვილიშვილებს მოუწევთ კაბალურ პირობებში ყოფნა იმ თურქი ფაშების შთამომავლებთან, რომელთა წინაპრები ჩვენს მიწა-წყალს სისხლით რწყავდნენ...**

**— საზოგადოება ერთიანია ამ საკითხის გარშემო?**

— 28 თებერვალს ქუთაისში გამართულმა მრავალათასიანმა აქციამ, რომელიც თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივი პროტესტი იყო და არავითარი პოლიტიკური ორგანიზება მას არ ჰქონია, აჩვენა, რომ ქართველი ერი, სრულიად საქართველო ამ საკითხში ერთსულოვანია. აი, ეს არის ზუსტად ის ფაქტი, რომელიც ყველას გვარწმუნებს, რომ ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალს არ დათმობს. სხვათა შორის, ქუთაისის აქცია არც ერთმა ტელევიზიამ მიზანმიმართულად არ გააშუქა. ერთადერთი გამოაცხადეს, ათობით ადამიანი გამოვიდაო... არადა, ათიათასობით ადამიანი იყო და მომავალში კიდევ უფრო მეტი გამოვა. ისე, „ლიბერალური“ მედიასაშუალებებისგან, ალბათ, არც უნდა გაგვკვირვებოდა ის უსირცხვილობა, რომელიც იკადრეს, მაგრამ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ მაუწყებელთან მაქვს პრეტენზია. **შეიძლება, ტელევიზია, რომელიც ხალხის ჯიბიდან ფინანსდება, ასე უსირცხვილოდ არად აგდებდეს ამხელა საზოგადოებრივ პროტესტს?!**

**— გამოსავალი რა შეიძლება იყოს ამ ვითარებიდან?**

— გამოსავალი, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია: თუ არ გვინდა, რომ მოღალატე სააკაშვილისა და მერე უკვე „ქოცების“ მიერ გაყიდული რიონის ხეობის სახით შუაგულ საქართველოში გაჩნდეს თურქული ანკლავი, დიდი და პატარა უნდა გამოვიდეს გარეთ საკუთარი პოზიციის გამოსახატავად; სრულიად საქართველო უნდა დადგეს ფეხზე და არ უნდა გაჩერდეს, სანამ ამ საუკუნის ღალატს არ დაესმევა წერტილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვართ კატასტროფის წინაშე, ვინაიდან **ის, რაც ხდება, არის ქვეყნის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაკარგვის საფრთხე.**

რაც შეეხება ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც, ეს დღეებია, „გვამშვიდებენ“, — ნუ გეშინიათ, მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერაა ეს საკითხი შესწავლილი და საფრთხე არ არსებობსო, გახარია იყო პრემიერი, მოაწერა ხელი ამ მოღალატეობრივ ხელშეკრულებას, დღეს აღარაა; სააკაშვილი იყო თავის დროზე, საერთოდ გაქცეულია... აი, ასე **გაიქცევიან სხვებიც და წაიღებენ მილიონებს, ჩვენ კი დაგვრჩება თურქებზე გაყიდული, დაკაბალებული საქართველო, რომელსაც დამოკლეს მახვილივით ექნება ზედ დაკიდებული ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე.** ეს რომ არ მოხდეს, ამისთვისაა აუცილებელი ერისა და ბერის ფეხზე დადგომა. აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოკლედ ვთქვა რიონის ხეობის მცხოვრებლებზე, რომლებიც, ამდენი ხანია, ღამეებს კარვებში ათევენ და გმირულად იცავენ თავიანთ მიწა-წყალს. ერთ-ერთ მათგანს, ქალბატონ **მაკა სულაძეს,** ჰესის მშენებელი თურქული კომპანია სთავაზობდა სოლიდურ თანხას, რათა დაეთმო მამაპაპისეული მიწა და თურქებისთვის მიეყიდა. მან უარი თქვა ამ მზაკვრულ შეთავაზებაზე და დღემდე მედგრად დგას რიონის ხეობის მცველებს შორის... აი, სანამ ასეთი მანდილოსნები არსებობენ ამ ქვეყანაში, ჩვენ გადაშენება არ გვიწერია. ასეთ პატრიოტ ადამიანებზე დგას დღემდე საქართველო. ღმერთი იყოს ასეთი გულანთებული მამულიშვილების მფარველი!

**«პრემიერმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც, არ მომერიდება ამის თქმის, საქართველოს ისტორიულ მტერს საბოლოოდ დაუმტკიცა 576 ჰექტარი მიწის ფართობი 121 ლარად»**

**«უსინდისოდ იტყუება ქალბატონი თურნავა, როცა მოსახლეობას ჰპირდება, რომ ნამოხვანჰესი არის პროექტი, რომელიც მათ დაასაქმებს. ეს მტკნარი სიცრუეა... აჩვენონ ხალხს ხელშეკრულება, სხვათა შორის, 200 გვერდზე მეტია, და გააცნონ, რა არის მასში ჩადებული... გაგიჟდებით»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საზოგადოებას უნდა რცხვენოდეს, რომ იმ მართლაც ძალიან ცუდი შინაარსის მქონე ჩანაწერის გამო, რომელიც საზოგადოების წინაშე ახლახან გამოიტანეს, ის „ნაციონალური მოძრაობა“ გაჰყვირის, რომელმაც მისი ზეობის პერიოდში ადამიანებზე მასობრივი ძალადობის, პატიმართა წამება-გაუპატიურებისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე იერიშის მიტანის აწ უკვე კლასიკად ქცეული მაგალითებით შეგვძრა. ეს ვირთხები, რომლებიც ადამიანებს ლოგინში უძვრებოდნენ და პირადი ცხოვრებისთვის, სივრცეს კი არა, ჭუჭრუტანასაც არ უტოვებდნენ, დღეს მორალისტებად გვევლინებიან.**



# ისტორიული პანღური

## ამერიკელებმა საქართველოს თავი კუნძზე დაადებინეს

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეშვიდე გამოშვება

**„ძალადობის ურიცხვი ფორმა ამერიკის შეერთებულ შტატებს აქცევს თანამედროვეობის აბსოლუტურ ბოროტ ძალად!“ სტანისლავ ლემი**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ენტონი ბლინკენმა** განსაცვიფრებელი განცხადება გააკეთა: **„ჩვენ აღარ შევუდგებით დემოკრატიის გავრცელებას ძვირად ღირებული სამხედრო ინტერვენციით ან ავტორიტარული რეჟიმების ძალადობრივი დამხობის გზით. ჩვენ წარსულში ასე ვიქცეოდით. როგორი კეთილი განზრახვითაც უნდა ყოფილიყო გაჯერებული ეს ტაქტიკა, მან არ იმუშავა. მან მთელ მსოფლიოში სახელი გაგვიტეხა და ამერიკის მიმართ ნდობის დაკარგვა გამოიწვია. ახლა ჩვენ სხვაგვარად მოვიქცევით“.**

როგორ მოგწონთ? აშშ-ის პირველი დიპლომატი და საგარეო მიმართულების ხელმძღვანელი აღიარებს, რომ მისი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში ადამიანის უფლებების დამცველ სახელმწიფოდ ასაღებს თავს, დემოკრატიის გავრცელების მოტივით სამხედრო ინტერვენციას მიმართავდა და, სადაც საჭიროდ ჩათვლიდა, სახელმწიფო გადატრიალებებს აწყობდა. ამიერიდანო, — აცხადებს ბლინკენი, — სხვაგვარად მოვიქცევითო. თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ რაკი ესოდენ მაღალი ტრიბუნიდან ესოდენ მძიმე დანაშაულის აღიარება მოხდა, მას მოჰყვება პირობის დადება, რომ მსგავსი რამ ამერიკის საგარეო ურთიერთობების პრაქტიკიდან ამოღებული იქნება. გეთანხმებით, ეს იქნებოდა ლოგიკური გაგრძელება იმ აღიარებისა, რომელიც ბატონ ბლინკენის პირიდან მოვისმინეთ, მაგრამ ერთია ლოგიკა და მეორეა ამერიკული პოლიტიკური ლოგიკა. ამერიკული პოლიტიკური ლოგიკა არ ცნობს და არ აღიარებს ლოგიკის აქამდე ცნობილ არც ერთ მიმართულებას — არც ფორმალურს, არც მათემატიკურს, არც დიალექტიკურს... **ამერიკული ლოგიკა ლოგიკის მიღმა არსებული რეალობის ლოგიკაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტალოგიკაა, რომელიც ეფუძნება პრინციპს — ამერიკა ყოველთვის მართალია! მერე რა, რომ ეს პრინციპი არც აქსიომაა და არც ლოგიკურ მტკიცებას ექვემდებარება; მერე რა, რომ ეს, როგორც ვთქვით, მეტალოგიკაა, ძალისა და ძალადობის ლოგიკაა. მთავარია, მან იმუშავოს.**

* ამერიკული პოლიტიკური ლოგიკის მიხედვით, ეს სახელმწიფო **მართალი** იყო, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის სახელით სახელმწიფო გადატრიალებებს აწყობდა ან ომებს იწყებდა (ირანი, ვიეტნამი, კორეა, კუბა, კამბოჯა, პანამა, ლაოსი, მექსიკა, იუგოსლავია და მრავალი სხვა. თავისი არსებობის განმავლობაში აშშ-მა სამოცზე მეტ სახელმწიფოში იომა);

* **მართალი** იყო მაშინაც, როდესაც **ჰიროსიმასა** და **ნაგასაკიში** მშვიდობიან მოსახლეობას თავზე ატომურ ბომბებს აყრიდა;

* **მართალი** იყო მაშინაც, როდესაც ერაყის პრეზიდენტი **სადამ ჰუსეინი** ჩამოახრჩო, ლიბიის პრეზიდენტი **მუამარ კადაფი** ლინჩის წესით გაასამართლა, იუგოსლავიის პრეზიდენტი **სლობოდან მილოშევიჩი** ჰააგის საპყრობილეში მოკლა, საქართველოს პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** დაამხო, შემდეგ კი ან მოკლა, ან თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ამერიკული პოლიტიკა, არ აქვს მნიშვნელობა, ომობს, კლავს, ხოცავს, ანგრევს თუ ანადგურებს, ყოველთვის „მართლია“, „ცამდე მართალი“, რადგან ყოველივე ამას დემოკრატიის სახელით, თავისუფლების სახელით, ადამიანის უფლებების სახელით აკეთებს... ჰოდა, ახლა, როდესაც გვეუბნებიან, რომ ამ მეთოდებზე უარს ვაცხადებთო, რა უნდა ვიფიქროთ, გარდა იმისა, რომ ეს, ალბათ, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის დანაშაულებრივ პრაქტიკაზე უარის თქმას ნიშნავს, მაგრამ ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ და ბატონ ბლინკენს ბოლომდე მოვუსმინოთ: **„ჩვენ სხვანაირად მოვიქცევით. ვაშინგტონი დემოკრატიას მხარს დაუჭერს მთელ მსოფლიოში, მაგრამ როგორ? ჩვენ სხვებს ვუბიძგებთ, რომ გაატარონ რეფორმები, შეცვალონ უვარგისი კანონები, ებრძოლონ კორუფციას, ჩვენ მოვახდენთ დემოკრატიული ქცევების სტიმულირებას“.** აი, თურმე, რას აპირებენ და როგორ მოიქცევიან ისინი მომავალში. როგორც ირკვევა, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისგან ხელის აღებას კი არ აპირებენ, მხოლოდ მეთოდებს ცვლიან. გაიხსენეთ, ზემოთ რა იყო ნათქვამი: **„ჩვენ აღარ შევუდგებით დემოკრატიის გავრცელებას ძვირად ღირებული სამხედრო ინტერვენციით“.** როგორც ჩანს, ბინძურ საქმიანობას კი არ თაკილობენ, უბრალოდ, ძველი მეთოდები ეძვირათ და უფრო იაფი მეთოდების დანერგვას აპირებენ, ანუ ისევ „ფერადი რევოლუციები“ და მისი ჯანი... რამე ხომ არ გენიშნათ? **საქართველოში დაწყებულმა პროცესებმა ხომ არაფერზე მიგითითათ? გაყალბებულ არჩევნებზე ყვირილმა, რუსთაველის პროსპექტზე გაშლილმა კარვებმა, და ბოლოს, ფარული სატელეფონო მოსმენების გამოჩენამ ქართულენოვან ამერიკულ ტელეარხებზე იმ აზრისკენ ხომ არ გიბიძგათ, რომ საქართველოში რაღაც ბინძური სცენარის გათამაშება ხელახლა იწყება?**

გაიხსენეთ ახლო წარსული. ჯერ ე.წ. ეროვნული მოძრაობა დარბოდა ბრეზენტის კარვებით. **გამსახურდიას** კარვის ქალები ხომ ცალკე შესასწავლი ფსიქიატრიული ფენომენია. მოგვიანებით ძმებმა **გაჩეჩილაძეებმა** მოჰფინეს თბილისი კარვებით და ახლა **სააკაშვილი** მიდის მეორე თუ მესამე წრეზე. არც სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენების ჩანაწერთა ეთერში გამოყრაა ახალი, ესეც მრავალი წლის განმავლობაში გამოცდილი მეთოდია, რომლის უკან ისევ და ისევ ამერიკული სპეცსამსხურები დგანან. **ვის შეეძლო „ტვ პირველისთვის“ იმ აუდიომასალის მიწოდება, რომელშიც ირაკლი ღარიბაშვილსა და ანზორ ჩუბინიძესთან ბერა ივანიშვილის სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერებია? არავის, გარდა სპეცსამსახურებისა, რომლებსაც თავიდან ბოლომდე ამერიკელები აკონტროლებენ. რატომ აკეთებენ ამას ამერიკელები? შეაწუხათ ქართული ბომონდის უზნეო საქციელმა? შეშფოთდნენ, ბერა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და ანზორ ჩუბინიძის პირიდან ეს რა საშინელება მოვისმინეთო?**

შეშფოთებაზე თუ არის ლაპარაკი, მაშინვე რატომ არ შეშფოთდნენ, ეს ამბები როდესაც ხდებოდა (ერთი ვერსიით, ეს ჩანაწერი 2017 წელსაა გაკეთებული, მეორე ვერსიით, 2010 წელს), მაშინვე რატომ არ ატეხეს განგაში, რას უნახავდნენ აქამდე? საქმე ისაა, რომ **ისინი ბევრ ასეთ ჩანაწერს ინახავენ. ინახავენ იქამდე, სანამ მათი გამოყენების საჭიროება დაუდგებათ. ეს ჩანაწერები რაკი ახლა გამოაჩინეს, მაშასადამე, ფიქრობენ, რომ მათი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის ჟამმა უკვე ჩამოჰკრა. როგორც ჩანს, დამდგარა დრო, როდესაც ამერიკელებმა საქართველოში „დემოკრატიის მხარდასაჭერად“ კიდევ ერთი რევოლუცია (სახელმწიფო გადატრიალება) უნდა განახორციელონ. განა ამის უტყუარი დასტური არ არის ივანიშვილის მოულოდნელი გაქცევა ბრძოლის ველიდან?!** როგორც ჩანს, მან უკვე იცოდა აშშ-დან მისთვის გამოტანილი განაჩენის შესახებ, რის გამოც, როგორც შევარდნაძემ გამოაცხადა თვრამეტი წლის წინათ, სახლში მივდივარო, მანაც მისი უზარმაზარი კაპიტალი ოჯახის წევრებს გადაუნაწილა, მერე დაიხურა ქუდი და წავიდა სახლში. ისე, უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ ხომ არ გადადგამდა ამ ნაბიჯს კაცი, რომელიც მმართველი პარტიის ლიდერის ამპლუაში ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს?! დავუშვათ, რომ მისი ეს ნაბიჯი უკვე ასაკშეპარული მდიდარი კაცის ხუშტურები იყო (დავუშვათ-მეთქი), **პრემიერმინისტრი გახარია სად მირბოდა, მას რა ბზიკმა უკბინა, ივანიშვილის წასვლიდან სულ მალე კისრისტეხით რომ გავარდა და ქვეყნის მართვის სადავეები ღარიბაშვილს შეაჩეჩა ხელში? ამ შემთხვევაშიც ხომ ვერ ვიტყვით, რომ ასაკშეპარული მილიარდერის სინდრომმა იჩინა თავი? სხვა რაღაცაშია საქმე. ეს სხვა რაღაცაც გამოჩნდა — ფარული ჩანაწერები, ივანიშვილის ოჯახის მაკომპრომეტებელი მასალები** და ა.შ. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ **ივანიშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ დიდი და მძლავრი მექანიზმი ამუშავდა. ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით მხოლოდ შეკითხვების დასმა და ვარაუდების გამოთქმაა შესაძლებელი:**

* ეს ის მექანიზმი ხომ არ არის, რომელმაც თავის დროზე გამსახურდია დაამხო და შევარდნაძე მოიყვანა?

* ეს ის მექანიზმი ხომ არ არის, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ შევარდნაძეც დაამხო და სააკაშვილი მოიყვანა?

* ეს ის მექანიზმი ხომ არ არის, რომელმაც ათი წლის შემდეგ, გარკვეულ გარემოებათა გამო, სააკაშვილი ივანიშვილით ჩაანაცვლა?

* ბოლოს, ეს ის მექანიზმი ხომ არ არის, რომელიც ახლა იმისთვის ამოქმედდა, რომ ივანიშვილი, ფორმალურად კი არა, ნამდვილად გაუშვას სახლში?

ასეთი შეკითხვაც დავსვათ — **ქვეყნის გარეთ ვის ინტერესებშია ეს ყველაფერი და ვისი ხელწერაა ეს?**

იმისათვის, რომ დასმულ შეკითხვას სწორად ვუპასუხოთ, ირგვლივ მიმოვიხედოთ და დავაკვირდეთ, ვთქვათ, უკრაინაში მიმდინარე პროცესებს. კიევში გაჩნდა ლოზუნგი: **დავიბრუნოთ დონბასი ძალის გამოყენებით!**

პენტაგონმა კი კიევს 125 მილიონი დოლარი გამოუყო. ამ არცთუ მცირე ოდენობის თანხის გამოყოფა პენტაგონის მიერ ასეა ფორმულირებული: **„უსაფრთხოების სფეროში დახმარების პაკეტში შედის მომზადება, შეიარაღება, კონსულტაცია. ეს ადასტურებს აშშ-ის მზადყოფნას, შეაიარაღოს უკრაინა, რათა მან უფრო ეფექტურად დაიცვას თავი რუსული აგრესიისგან“.** ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები უკიდურესად იძაბება. პრეზიდენტი **ბაიდენი** კი პირდაპირ აცხადებს: **„პრეზი-** ▶




**ივანიშვილსა და «ქართულ ოცნებას» აშშ უპირისპირდება და არა სხვა ვინმე, მაგრამ «ქართულ ოცნებაში» ისტიბარს არ იტეხენ და კენჭებს, ამერიკის ნაცვლად, რუსეთის ბოსტანში ისვრიან, რითაც ქართველი ხალხისთვის თავგზის აბნევას ცდილობენ**

**არ სჭირდება განსაკუთრებული უნარი იმის მიხვედრას, რომ ამერიკელები რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებს, პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაგეგმავენ, მათ შორის კი, უპირატესად, უკრაინასა და საქართველოში, ვინაიდან ანტირუსული ისტერიის გაღვივება მათ ყველაზე მეტად ამ ქვეყნებში მოახერხეს. ამერიკელები ხედავენ, რომ ანტირუსული აგრესიის თვალსაზრისით ივანიშვილი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ამიტომ საქართველოში მათ სჭირდებათ ანტირუსული განწყობის გაღვივება იმ დონეზე, რა დონეზეც ეს უკრაინაში მოახერხეს, რაც ყველაზე მეტად სააკაშვილსა და მის „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ქართველი საზოგადოება ისე მოაქციეს წნეხში და ისე დაიმორჩილეს, რომ მას არ შესწევს ძალა, ამ ე.წ. ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას, როგორც ერთნაირად უვარგისსა და მიუღებელს, უარი უთხრას. დღეს საზოგადოება იმის შესახებ კი არ უნდა მსჯელობდეს, რომელია უფრო მისაღები ან მიუღებელი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის (ეს ამერიკელთა წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს), არამედ მხოლოდ იმ სულისკვეთებით უნდა იწვოდეს, რომ ორივეს ის ისტორიული პანღური უთავაზოს, რომელიც მათ, დიდი ხანია, დაიმსახურეს**

**◀ დენტი პუტინი მივახვედრე, რომ მე ჩემს წინამორბედს არ ვგავარ. ის დრო, როდესაც აშშ რუსეთის აგრესიაზე თვალს ხუჭავდა, წავიდა“.** არ სჭირდება განსაკუთრებული უნარი იმის მიხვედრას, რომ ამერიკელები რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებს, პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაგეგმავენ, მათ შორის კი, უპირატესად, უკრაინასა და საქართველოში, ვინაიდან ანტირუსული ისტერიის გაღვივება მათ ყველაზე მეტად ამ ქვეყნებში მოახერხეს. ამერიკელები ხედავენ, რომ ანტირუსული აგრესიის თვალსაზრისით ივანიშვილი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ამიტომ საქართველოში მათ სჭირდებათ ანტირუსული განწყობის გაღვივება იმ დონეზე, რა დონეზეც ეს უკრაინაში მოახერხეს, რაც ყველაზე მეტად სააკაშვილსა და მის „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ბაიდენის მოსვლისთანავე ივანიშვილის გადაბარგება არაფორმალური მმართველობის რეჟიმში და გახარიას გაქცევა პრემიერმინისტრის თანამდებობიდან საქართველოში უკვე დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების შემადგენელი ნაწილი იყო; სახელმწიფო გადატრიალებისა, რომელსაც შედეგად სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აღზევება უნდა მოჰყვეს.

**საქართველოს ყელზე ყულფი ვიწროვდება. ეს ამერიკული ყულფია. ფარულ ჩანაწერებში, რომლებიც ივანიშვილის ოჯახს ეხება და რომელთა გამოქვეყნება უკვე დაიწყეს, სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელი თუ ურევია. ეს სახელმწიფო, პირველ რიგში, ამერიკაა, ვინაიდან მის ინტერესებში შედის არსებული ხელისუფლების ნაციონალური ხელისუფლებით ჩანაცვლება. რუსეთი არ დაუპირისპირდებოდა ივანიშვილს, რადგან საქართველოში არ არსებობს რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის რესურსი გააჩნია.** ასეთ შემთხვევაში, რუსეთის მიერ ივანიშვილის ხელისუფლებასთან ბრძოლა დიდი სისულელე იქნება, რადგან ეს რუსეთისთვის გაცილებით უფრო მეტი პრობლემების შემქმნელი პოლიტიკური ძალისთვის ხელის შეწყობა გამოვა, რასაც იგი, ბუნებრივია, არ გააკეთებს. აქედან გამომდინარე, დღესავით ნათელია, რომ **ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ აშშ უპირისპირდება და არა სხვა ვინმე, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ იხტიბარს არ იტეხენ და კენჭებს, ამერიკის ნაცვლად, რუსეთის ბოსტანში ისვრიან, რითაც ქართველი ხალხისთვის თავგზის აბნევას ცდილობენ.** სამაგალითოდ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით მამუკა მდინარაძის კომენტარს მოვიტან: **„ეს არის აბსოლუტური ფაბრიკაცია. ეს არის კაგებეშნიკურად დამონტაჟებული მასალა“.** საოცარია. რატომ, კაგებეშნიკურად ან რას ნიშნავს კაგებეშნიკურად? ამერიკის ან ევროპული სახელმწიფოების უშიშროების სამსახურებში აუდიო და ვიდეომასალის მონტაჟი არ იციან, მიყურადებასა და მოსმენებისგან თავს იკავებენ თუ ფაბრიკაციასა და შეთითხვნას არ იკადრებენ? **ამერიკის ამ „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებს მუდამ ენის წვერზე რატომ აქვთ კაგებე, რომელიც, დიდი ხანია, აღარ არსებობს (არ არსებობს თვით ის სახელმწიფოც, რომლის უშიშროებასაც გარკვეულ პერიოდში ერქვა — КГБ) და რატომ ავიწყდებათ, ვთქვათ, ამერიკის ცენტრალური საგამოძიებო სამმართველო, რომელიც დიდი ხანია, რაც საქართველოს ყველა სტრუქტურაშია ჩამჯდარი?!** ესეც ამერიკელების ნამუშევარია. ისინი ანტირუსული საწამლავით მთელი საუკუნის განმავლობაში კვებავენ მთელ მსოფლიოს. რუსეთისგან მათ შექმნეს მთელი კაცობრიობისთვის ზოგადი საფრთხის მქონე მტრის ხატი, რომლითაც ცდილობენ, მოხერხებულად შენიღბონ საკუთარი აგრესიული ბუნება, მსოფლიოს დაჩოქებისა და მასზე გაბატონების ვერაგული იდეოლოგია, რომლითაც გაჟღენთილია მათი პოლიტიკა და ცხოვრების წესი. ეს რომ ასეა, უკვე საიდუმლო არავისთვისაა. ამ თემებზე ღიად საუბრობენ თვითონ ამერიკელები. აი, მაგალითად, რას ამბობს **სტივენ კოენი,** რუსეთის კვლევების ნიუ-იორკისა და პრინსტონის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი: **„რუსეთი აიძულეს, მოიქცეს ისე, რომ ახლა უკვე საფრთხეს წარმოადგენდეს, მაგრამ არავითარი რუსული საფრთხე არ არსებოდა იქამდე, სანამ მისი პროვოცირება ჩვენ თვითონ არ მოვახდინეთ და საფრთხე ჩვენივე ხელებით არ შევქმენით“.** დააკვირდით, რა ზუსტი შეფასებაა. რუსეთი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა საფრანგეთისთვის, სანამ **ნაპოლეონმა** რუსეთზე თავდასხმით თავად არ შექმნა ეს საფრთხე. **საბჭოთა კავშირი (რუსეთი) არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა გერმანიისთვის, სანამ საბჭოთა კავშირზე თავდასხმით თავად ფაშისტურმა გერმანიამ არ შექმნა ეს საფრთხე.** ანალოგიურ საფრთხეს ქმნიდნენ დიდი ბრიტანეთი და აშშ, როდესაც **ჰიტლერს** საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქეზებდნენ, აფინანსებდნენ და აიარაღებდნენ, მაგრამ ბოლოს იძულებულნი შეიქნენ, საბჭოთა კავშირის მოკავშირეების როლი არცთუ დიდი ხალისით შეესრულებინათ. დიდი ბრიტანეთი საბჭოთა (რუსულ) საფრთხეს ქმნიდა



მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც, როდესაც **ჩერჩილი** აშშ-ის პრეზიდენტ **ტრუმენს** არწმუნებდა საბჭოთა კავშირზე ატომური თავდასხმის აუცილებლობაში. კოლექტიური დასავლეთი რუსეთისგან საფრთხეს ჰქმნის დღესაც, როდესაც ნატოს გაფართოების მსოფლიოსთვის სახიფათო გეგმით რუსეთის ალყაში მოქცევას ცდილობს და მას თავდაცვისთვის სამხედრო სტრატეგიის გარდა სხვა გზას არ უტოვებს. რუსეთს თავი ბევრჯერ დაუცავს და, საჭიროების შემთხვევაში, მომავალშიც დაიცავს, მაგრამ ვის სჭირდება ეს? საით მიჰყავს ამას მთელი მსოფლიო? ეს შეკითხვები მთელ მსოფლიოს უნდა აწუხებდეს და აწუხებს კიდეც, მაგრამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხელისუფლებაში მოდიან ისეთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები, რომლებსაც არ ადარდებთ არც საკუთარი ქვეყნებისა და არც მსოფლიოს უსაფრთხოების საკითხები, არ ადარდებთ კაცობრიობის ხვალინდელი დღე, ისინი მზად არიან, ხელისუფლების მოპოვებისა თუ ხელისუფლების შენარჩუნების მერკანტილურ ზრახვას საკუთარი ქვეყნისა და, თუ გნებავთ, მთელი პლანეტის ბედი გადააყოლონ. ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ხელშია საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე. ამ ვერაგული იდეოლოგიისა და ბინძური საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ის პროცესი, რომელიც საქართველოში ახლა მიმდინარეობს, მაგრამ დიდი ხნის წინათ დაიწყო. საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესები გაგრძელებაა უსინდისობითა და უპასუხისმგებლობით გამორჩეული იმ პოლიტიკისა, რომელსაც აშშ საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის წინააღმდეგ, საერთოდ, სოციალური სამართლიანობის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ აწარმოებდა. ამაზე ერთმნიშვნელოვან განცხადებას აკეთებს **როჯერ რობინსონი,** პრეზიდენტ **რონალდ რეიგანის** ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში: **„დირექტივა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების შესახებ (№66, 1982 წ.) აღწერს საბჭოთა კავშირის განადგურების ფინანსურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ხოლო დირექტივა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების შესახებ (№75) აღწერს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების სტრატეგიას. დოკუმენტში გაწერილი იყო ზომები საბჭოთა კავშირის ფინანსური და ეკონომიკური შეზღუდვის, ზოგადად მის შესაძლებლობათა შეზღუდვის შესახებ მთელ მსოფლიოში. დოკუმენტში ნათქვამი იყო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში აშშ-ის პოლიტიკის უფრო ღია და სწორხაზოვანი პოლიტიკით შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ეს იყო დირექტივა საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს მკვლელობის შესახებ. ეს ყველაფერი თავმოყრილი იყო ერთ დოკუმენტში, რომლის ეკონომიკური ნაწილის დაწერის პატივი მე მხვდა წილად“.**

საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ აშშ-ის ეს მგლური პოლიტიკა არსად წასულა, ვინაიდან საბჭოთა კავშირს რუსეთის სახით დარჩა სამართალმემკვიდრე, რომელიც მსოფლიოზე ერთპიროვნული გაბატონების გზაზე აშშ-ისთვის ისეთივე დაუძლეველი ბარიერია, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. აშშ-ს ბრძოლის მეთოდებიც არ შეუცვლია. კი გამოაცხადა **ბატონმა ბლინკენმა, მიდგომებს ვცვლითო, მაგრამ იქვე, იმავე განცხადებაში ისიც თქვა, რომ რეალურად არაფერს ცვლიან. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც იმას გვიდასტურებს, რომ ამერიკელები არაფრის შეცვლას არ აპირებენ, კვლავ ფარული მოსმენები, კვლავ მაკომპრომეტებელი მასალების შექმნა და კვლავ საზოგადოების ზომბირება.** შედეგად ვიღებთ აბსურდს. წესით, კი უნდა გვრცხვენოდეს, მაგრამ არ გვრცხვენია. დიახ, პირველ რიგში, საზოგადოებას უნდა რცხვენოდეს, რომ იმ მართლაც ძალიან ცუდი შინაარსის მქონე ჩანაწერის გამო, რომელიც საზოგადოების წინაშე ახლახან გამოიტანეს, ის „ნაციონალური მოძრაობა“ გაჰყვირის, რომელმაც მისი ზეობის პერიოდში ადამიანებზე მასობრივი ძალადობის, პატიმართა წამებაგაუპატიურებისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე იერიშის მიტანის აწ უკვე კლასიკად ქცეული მაგალითებით შეგვძრა. ეს ვირთხები, რომლებიც ადამიანებს ლოგინში უძვრებოდნენ და პირადი ცხოვრებისთვის, სივრცეს კი არა, ჭუჭრუტანასაც არ უტოვებდნენ, დღეს მორალისტებად გვევლინებიან. ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ საზოგადოება არ ვარგა. **ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ქართველი საზოგადოება ისე მოაქციეს წნეხში და ისე დაიმორჩილეს, რომ მას არ შესწევს ძალა, ამ ე.წ. ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას, როგორც ერთნაირად უვარგისსა და მიუღებელს, უარი უთხრას. დღეს საზოგადოება იმის შესახებ კი არ უნდა მსჯელობდეს, რომელია უფრო მისაღები ან მიუღებელი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის (ეს ამერიკელთა წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს), არამედ მხოლოდ იმ სულისკვეთებით უნდა იწვოდეს, რომ ორივეს ის ისტორიული პანღური უთავაზოს, რომელიც მათ, დიდი ხანია, დაიმსახურეს.**



**P. S.** ცნობილმა ექიმმა თენგიზ ცერცვაძემ, რომელიც მართლა გმირულად იდგა თანამემამულეების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, ამას წინათ შემზარავი პოლიტიკური განცხადება გააკეთა: „რუსულ ვაქცინას არც ვახსენებ იმიტომ, რომ ნდობას არ იმსახურებს და, რაც მთავარია, პოლიტიკურად მიუღებელია. რუსული ვაქცინა კარგიც რომ აღმოჩნდეს, საქართველო მასზე, ალბათ, უარს იტყვის“.

ექიმი, ჰიპოკრატეს ფიცის დამდები კაცი, ნაცვლად იმისა, რომ ექიმის, წამლისა და ჰუმანისტური იდეალებისთვის საზღვრების დაწესებას ებრძოდეს, რუსულ ვაქცინაზე, რომელიც მთელმა მსოფლიომ აღიარა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, პოლიტიკური ნიშნით უარს ვაცხადებო, — ამბობს. ექიმის ამ შეცდომაზე აქ იმიტომ კი არ გავამახვილე ყურადღება, რომ ამ შესანიშნავ სპეციალისტს პოლიტიკური ლაფსუსი არ მივუტევო და ჩავწიხლო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გავუსვა, თუ რა ძალითაა შემოჭრილი ანტირუსული ბაცილა, რომლითაც იმდენად დაგვასნებოვნეს ამერიკელებმა, რომ იქაც კი იჩინა თავი, სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

საქმეს მხოლოდ პოლიტიკური ძალებისთვის ამორტყმული ისტორიული პანღური არ უშველის, ათეული წლების განმავლობაში ამერიკელების მიერ შემოტანილსა და ცნობიერების დამაზიანებელ იმ პოლიტიკურ შაბლონებს უნდა ვუთხრათ მტკიცე უარი, რომლებმაც საქართველო უფსკრულში გადაჩეხა.

**ვ. კ.**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც სსრკ-ის ჯარებმა გერმანელთა ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის 2/3 გაანადგურეს და ბერლინის აღების ოპერაციას გეგმავდნენ, სსრკ-ის მოკავშირე ბრიტანეთის პრემიერი უინსტონ ჩერჩილი კატეგორიულად მოითხოვდა აშშ-ის პრეზიდენტისგან, რომ ამერიკელებს ერთი ატომური ბომბი მაინც აეფეთქებინათ მოსკოვის თავზე.**

# დასავლური «ღირებულებების» მიმზიდველობა თუ ევრაზიული ცივილიზაცია?

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ამას წინათ ერთი შეხედვით სენსაციური განცხადება გააკეთა: აშშ ამიერიდან უარს ამბობს დემოკრატიის ექსპორტზე, ე.ი., ამერიკული დემოკრატიის დასამყარებლად სხვა ქვეყნებში არსებული პოლიტიკური რეჟიმების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლაზე, რადგან მსგავსი ქმედებები, თურმე, კონტრპროდუქტიულია, უკუეფექტის მომტანი და ამერიკული დემოკრატიის დამყარებას პირადი მაგალითის მიმზიდველობის ძალით ვაპირებთო(?!).**

**ენტონი ბლინკენის** განცხადებას აღიარებითი ჩვენებაც შეიძლება ვუწოდოთ. სახელმწიფო მდივანმა აღიარა, რომ აშშ გასული საუკუნის, სულ ცოტა, 2/3-ის განმავლობაში სწორედ სამხედრო ძალის გამოყენებით (ან მუქარით) ცვლიდა ამა თუ იმ ქვეყანაში მისთვის არასასურველ „ტოტალურ“ რეჟიმს, ამიერიდან კი ისეთი ღირებულებების დემოკრატიას ააშენებს, რომლის მიზიდულობის ძალა სრულიად მსოფლიოს აზიარებს ამერიკული „დემოკრატიის სამოთხეს“. ამას დავუმატოთ ათწლეულების განმავლობაში არასამთავრობო „ფონდებში“ ჩარიცხული მილიარდები და ნათელი იქნება ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმული სკეპტიციზმის საფუძვლიანობა დემოკრატიის დამყარების პირადი მაგალითის მიმზიდველობის ძალაზე.

აქედან გამომდინარე, უნებლიეთ, გაგახსენდება, რომ დასავლეთის მთავარი ღმერთი მამონაა, ხოლო მწვანე დოლარი — მოციქული მისი, და ცხადი გახდება, რომ მსოფლიოს დე ფაქტო მმართველი ფინანსური წრეები (მოდი, მათ ყველას, სადაც დამჭირდება, სიმბლოურად სოროსისტებს ვუწოდებ) არ შეეგუებიან, რომ ასტრონომიული თანხები უნაყოფოდ, მიზნის მეტ-ნაკლებად მიუღწევლად გაქრეს. აკი შეიკრიბნენ კიდეც სულ ახლახან მსოფლიოს დე ფაქტო მმართველი **როტშილდები** და **როკფელერები,** როგორც ზემოთ შევთანხმდით. სოროსისტები, სულ 27 კაცის შემადგენლობით, რომის ე.წ. პაპის (პონტიფიკოსი და გნებავთ, მთელი ვატიკანი მას შემდეგ არის ჩემთვის „ე.წ.,“ რაც რომის კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელმა სატანის მოციქულ ლგბტ პირებს, რომ იტყვიან, ყველგან მწვანე **აუნთო**), ფრანცისკეს მეთაურობით. ამ ერთი შეხედვით უწყინარი შეკრებით სოროსისტებმა კაპიტალიზმის დამცველთა კლუბის დაარსება აუწყეს მსოფლიოს. რა სჭირს კაპიტალიზმს დასაცავი და ვისგან? თუ ვინმე დასაცავია, ეს ის ქართველი ინტელიგენტები არიან, რომლებიც მორცხვად იქექებიან ნაგვის ბუნკერში — ჯიბესავსე და თავცარიელმა კაპიტალიტებმა ნაგავს ერთი ნაჭერი პური ხომ არ გადმოაყოლესო. ვფიცავ ყველა საფიცარს, როდესაც ვსადილობ, რომ იტყვიან, ყელში ლუკმა მეჩხირება, რადგან თვალწინ მიდგება „პადზემკებთან“ არიგებულ-ჩარიგებული ხელგაწვდილი, სირცხვილისგან თავჩაქინდრული ქართველი მათხოვრები და **ფუი, თქვენს კაცობას, მილიარდერო და მილიონერო ქართველებო** (ინტერნეტში ადვილად იპოვით მდიდარი ქართველების ჩამონათვალს)! იმიტომ, რომ ვერ მოგიხერხებიათ, თქვენს სისხლსა და ხორცს არ შიოდეს, არ სციოდეს და თავზე არ აწვიმათოვდეს! **კიდევ ერთხელ — ფუი, თქვენს კაცობას, რადგან მარტივი ჭეშმარიტება არ იცით — უბედურ ქვეყანაში, თუ „კაცი ხარ და ქუდი გხურავს“, ბედნიერი ვერ იქნები.** არც მე გადამდის თავზე, მაგრამ მათხოვრის დანახვაზე მეც მასავით უბედურად ვგრძნობ თავს... და, ალბათ, ამიტომაც გავცდი წინამდებარე წერილის მთავარ თემას, თუმცა ვინ იცის, რომელია მთავარი?

XX საუკუნეში მსოფლიოს მთავარ მოთამაშეთა უპირველესი მიზანი რუსეთის იმპერიის (ცარისტული რუსეთით დაწებული, სტალინის რუსეთით გაგრძელებული, პუტინის რუსეთამდე) დაშლა-დანაწევრება იყო, თუმცა ეს პროცესი გაცილებით ადრე, ბიზანტიის მართლმადიდებელი იმპერიის დაცემა-განადგურებისთანავე დაიწყო, როდესაც **ივანე მრისხანეს** პერიოდის რუსეთმა თავი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველად, მეორე რომად გამოაცხადა, ხოლო მოსკოვი, შესაბამისად, მეორე კონსტანტინოპოლად. რუსეთის საფუძვლიან მისწრაფებებს წინ აღუდგა იმჟამინდელი მსოფლიოს უდიდესი და უძლიერესი ბრიტანეთის იმპერია, რომლის დაზვერვამ, უახლესი არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, მოაწამვლინა ივანე მრისხანეს მეუღლე, დედოფალი **მართა**, რაც, ისტორიკოსების ფრთხილი ვარაუდით, შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზთაგანი მეფის განსაკუთრებული მრისხანება-სისასტიკისა. რადგან ხელმწიფე ტახტის მემკვიდრის გარეშე გარდაიცვალა, რუსეთში „ველიკაია სმუტას“ სახელით ცნობილმა მრავალწლიანმა ანარქიამ დაისადგურა თავისი ცრუდიმიტრების სახით. არეულობა მანამდე გაგრძელდა, სანამ **დიმიტრი პოჟარსკისა** და **სტეპან მინინის** გმირობით რუსეთიდან არ განდევნეს პოლონეთის მეფე და დიდი ნოვგოროდის ე.წ. ზემსკი სობორმა პირველი რომანოვის მეფედ არჩევით სათავე არ დაუდო რომანოვების სამეფო დინასტიას. ახლა მავანი იკითხავს — სად ერეკლე და სად ვრცელი ექსკურსი 400 წლისწინანდელ ისტორიაშიო? სად და **ბოლო 4 საუკუნის განმავლობაში წუთითაც არ გაჩერებულა ორ იმპერიას შორის აშკარა (1853-1856 წლების ყირიმის) თუ ფარული (დაზვერვებს შორის) ომი და აი ახლაც ბრიტანთის საიდუმლო დაზვერვა — „მი-6“, ერთ-ერთი პირველი ვიოლინოა რუსთის მტრობაში. რუსეთის პირველი მტერი ბრიტანეთია, რომელსაც პირველ და მეორე მსოფლიო ომებში მოკავშირეობის დროსაც კი არ შეუწყვეტია დიპლომატიური თუ ცივი ომი.** მაგალითად, ანტანტის ბლოკის წევრ რუსეთს, რომელიც გმირულად იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, წინასწრი პირობის თანახმად, გამარჯვების შემთხვევაში, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი უნდა დაებრუნებინა, აქედან გამომდინარე, სტამბოლი მალე კონსტანტინოპოლად იქცეოდა, ხოლო მეჩეთად გადაკეთებული დიდებული აია-სოფია მსოფლიო მართლმადიდებლობის მთავარ სტატუსს დაიბრუნებდა. ყოველივე ეს შავი ზღვის გადაქცევას ნიშნავდა რუსეთის შიდა ტბად და აი, როდესაც ე.წ. **ბრუსილოვის** გარღვევის შემდეგ რუსეთის გამარჯვება მხოლოდ დროის ფაქტორი იყო, მისმა მოკავშირე ბრიტანეთმა თავისი ელჩის, **ბიუკენენის,** მეშვეობით თებერვლის რევოლუციას დაუჭირა მხარი — **კერენსკის** პირადად გადასცა 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი (იმხანად კოლოსალური თანხა) პეტროგრადსა და მოსკოვში არეულობების მოსაწყობად... ანუ, „მოკავშირემ“ რუსეთს ზურგში მახვილი ჩასცა. თითქმის იგივე განმეორდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც — როდესაც სსრკ-ის ჯარებმა გერმანელთა ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის 2/3 გაანადგურეს და ბერლინის აღების ოპერაციას გეგმავდნენ, სსრკ-ის მოკავშირე ბრიტანეთის პრემიერი **უინსტონ ჩერჩილი** კატეგორიულად მოითხოვდა აშშ-ის პრეზიდენტისგან, რომ ამერიკელებს ერთი ატომური ბომბი მაინც აეფეთქებინათ მოსკოვის თავზე... ახლა კი დროა, ბრიტანელთა ვერაგობების აღწერის გამო უყურადღებოდ მიტოვებული იანკები და მათი გეგმები გავიხსენოთ.

გასულ კვირას რუსულმა RTR-მა რუსეთის პრეზიენტის ფრთიან ფრაზებად ქცეული გამონათქვამების ნაწილის კოლაჟი შემოგვთავაზა. მეც მხოლოდ განსაკუთრებით გონებამახვილურ ფრაზებს შეგახსენებთ: მაგალითად, **„თუ ჩხუბი გარდაუვალია, პირველმა უნდა დაარტყა“** — ასე მასწავლეს ახალგაზრდობაში ლენინგრადის ქუჩაბანდებშიო; პრეზიდენტ **ბუშს** ასე „წაელაღავა“ — **„ისეთი დემოკრატია, ერაყში რომ დაამყარეთ, რუსეთში არ გვინდა“;** გაეროს ტრიბუნიდან კი მსოფლიოს განუცხადა — **„ახლა მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?!“** და ა.შ. მაგრამ მე ერთმა ფრთიანმა ფრაზამ მომხიბლა, რომელიც არ ვიცოდი და წერილის სათაურის მიგნებაში დამეხმარა: **„როცა ამბობენ, რომ რუსეთი იმყოფება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არასწორია. ეს აღმოსავლეთი და დასავლეთი იმყოფება რუსეთის მარჯვნივ და მარცხნივ“.**




**ფუი, თქვენს კაცობას, მილიარდერო და მილიონერო ქართველებო (ინტერნეტში ადვილად იპოვით მდიდარი ქართველების ჩამონათვალს), იმიტომ, რომ ვერ მოგიხერხებიათ, თქვენს სისხლსა და ხორცს არ შიოდეს, არ სციოდეს და თავზე არ აწვიმ-ათოვდეს! კიდევ ერთხელ — ფუი, თქვენს კაცობას, რადგან მარტივი ჭეშმარიტება არ იცით — უბედურ ქვეყანაში, თუ «კაცი ხარ და ქუდი გხურავს», ბედნიერი ვერ იქნები**

რუსეთი ისეთ უზარმაზარ ტერიტორიაზე განფენილი ქვეყანაა, რომ მისი შესვლა ევროკავშირში იქნება თუ სხვა ნებისმიერი სახის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული წარმონაქმნში, ნონსენსი, სრული აბსურდია...

პუტინის ფრთიანმა ფრაზამ კიდევ ერთ „აღმოჩენამდე“ მიმიყვანა — თუ არსებობდა ანტიკური ცივილიზაციები (ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი) და არსებობს თანამედროვე დასავლური (წაიკითხე აშშ) თუ ლგბტ თემის დიქტატურის ცივილიზაცია, მაშინ უეჭველად არსებობს ევრაზიული ცივილიზაციაც, რომლის თავკაცობაც ერთმორწმუნე რუსეთმა იკისრა.

დასასრულ, „სანქციების დაწესებითა და დასავლეთის პირადი მაგალითების ზეგავლენით რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკას შეცვლის დასავლეთისთვის სასურველი მიმართულებით“ — ამაზე ბრიყვული აზრი, დიდი ხანია, არ მომისმენია. ეს ერთი და მეორე — **საკითხავია, რომელი პირადი მაგალითით აპირებს მისტერ ბლინკენი რუსი ხალხის გულის მოგებას, საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ განწყობას და პუტინის „ტოტალიტარული“ რეჟიმის დამხობას — ლგბტ „ღირებულების“ კულტივირებით?**

ტოტალიტარული არა, მაგრამ რუსეთში ავტორიტარული მმართველობაა და საჭიროც არის, თორემ სხვა შემთხვევაში კულტურული კაცობრიობის ერთადერთი იმედი, პუტინის რუსეთი, დაიღუპება და რაღა დაგვრჩება?!

არა ოჯახი, არა ეროვნება, არა ქალ-ვაჟი და ბოლოს, არა ღმერთი!

**დავით მხეიძე**

**«სანქციების დაწესებითა და დასავლეთის პირადი მაგალითების ზეგავლენით რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკას შეცვლის დასავლეთისთვის სასურველი მიმართულებით» — ამაზე ბრიყვული აზრი, დიდი ხანია, არ მომისმენია. ეს ერთი და მეორე — საკითხავია, რომელი პირადი მაგალითით აპირებს მისტერ ბლინკენი რუსი ხალხის გულის მოგებას, საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ განწყობას და პუტინის «ტოტალიტარული» რეჟიმის დამხობას, ლგბტ «ღირებულების» კულტივირებით?**

**P.S. „X1X საუკუნის დასაწყისის ჭკუათხელები ნაპოლეონს წარმოაჩენდნენ ფანატიკური ერთგულებით და ცინიკოსობდნენ რუსეთის წარუმატებლობებზე. ლიბერალურად განწყობილ ახალგაზრდათა საზოგადოებებში ზიზღითა და გულგრილობით ლაპარაკობდნენ ყველაფერ რუსულზე“.**

**ალექსანდრე პუშკინი, 1831 წ.**

**ნაცნობი სურათია, არა? ვირი გინდ ღობის აქეთ დააბი, გინდ იქით, ვირი მაინც ვირია!**

**ასევე ყოფილა პუშკინის დროსაც — ლიბერასტი ყველა დროში ლიბერასტია...**

ის ჰექტრობით მიწები, რომლებიც „ისტორიულ მეგობარს“ გადავეცით, მავთულხლართებით რომ შემოსაზღვრონ, ჩვენს ტერიტორიას ვიცავთო, ხომ ვერავინ გააპროტესტებს? ჰოდა, გვექნება პატარა თურქული ავტონომია საქართველოს შუაგულში და 50 წლის შემდეგ იმავე ტეროტორიიდან მათი შინ გაშვება ურთულესი რომ შეიქნება, ფაქტია. დღეს რომ 10 წლის არის ბავშვი და მომდევნო 50 წელი რომ ეცოდინება, ეს ტერიტორია თურქეთისაა, 60 წლისა თურქებს რამეს გაუპროტესტებს?

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტერიტორიების გასხვისებისა და მორიგი ნაღმის ჩადების პროცესი

**არაერთი ქართველი პოლიტიკოსისგან გვსმენია, რომ თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია. იმ პირობებში, როცა გერმანია დანარჩენ ევროპასთან მეგობრობს, ეს თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ გერმანელმა ხალხმა 1945 წლიდან უამრავჯერ მოიხადა ბოდიში, პრაქტიკულად, ყველა იმ ქვეყნის წინაშე, რომლებშიც ფაშისტების ჯარები შეიჭრნენ, და ლამის ყველა კანცლერმა დაიჩოქა ამა თუ იმ ქვეყანაში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.**

საქართველოში დაჩოქილი თურქი მაღალჩინოსანი ჯერ არ გვინახავს (ვერც უახლოეს მომავალში ვნახავთ) და არც სინანული მოგვისმენია თუნდაც „დიდი თურქობის“ გამო. „დიდი თურქობა“ — ამ ტერმინითაა ცნობილი თურქ-სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევები საქართველოში XI საუკუნის 80-იან წლებში. თურქ-სელჩუკების მიერ ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციების დაპყრობის შემდეგ საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო დარჩა წინა აზიაში. ამიტომ 1070-იანი წლების ბოლოდან სელჩუკთა მთავარი დარტყმები მის წინააღმდეგ იქნა მიმართული. 1080 წელს თურქები მთელ საქართველოს მოედვნენ ქართლიდან ოდიშამდე და აჭარამდე. მათ ლამის უკანასკნელ სახლამდე გადაწვეს ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნოები, რბევა-აკლება დაზამთრებამდე არ შეწყვეტილა. ამის შემდეგ სელჩუკებმა წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევა საქართველოში. გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თარეშობდნენ, არბევდნენ; რისი წაღებაც შეიძლებოდა, მიჰქონდათ, დანარჩენს ანადგურებდნენ. **„დიდი თურქობა“ მხოლოდ ერთი ეპიზოდია ჩვენი „მეგობრული“ წარსულიდან.**

ჰოდა, სავარაუდოდ, სწორედ ამ ისტორიული მეგობრობის აღსანიშნავად, თურქულ მხარეს ნამოხვანჰესის მშენებლობის უფლება გადავეცით. თანაც, მხოლოდ კი არ გადავეცით, **ხელშეკრულებით ისე ჩანს, ეს ტერიტორია ნახევარი საუკუნით ვაჩუქეთ და თანაც არაფრის უფლება არ დავიტოვეთ. ხელშეკრულების მიხედვით, თურქულ კომპანია „ენკას“ 121 ლარად საკუთრებაში გადაეცა 1 409 391 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონება და 1 535 975 კვ.მ ფართობის ტყე (!) წყალტუბოს, ტყიბულისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. 49 წლის ვადით წლიურ 16 ლარად გადაეცა 2 372 409 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო ქონება და 445 245 კვ.მ ტყე.** სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ არის. ჩუქებასთან ერთად, სახელმწიფომ იმის ვალდებულებაც აიღო, რომ 15 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეისყიდოს ელექტროენერგია 6,2 ცენტად, რომელიც ყოველწლიურად 3%-ით გაიზრდება. **არადა, დღევანდელი მდგომარეობით, საფასური იმაზე მაღალი იქნება, ვიდრე ენერგობაზარზე სხვა მომწოდებლების მიერ უზრუნველყოფილი ენერგია. საუბარი რუსეთზე გვაქვს, საიდანაც ენერგიის ძირითად წყაროს ვიღებთ, მაგრამ ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით.**

იმავე ხელშეკრულებით, მთავრობა ვალდებულია, თურქებს 1 ლარად გადასცეს სხვა „საჭირო მიწის ნაკვეთებიც“. მიწის „საჭიროებას“ადგენს კომპანია(!), მისი განსაზღვრებები კი ისე ფართოა, რომ **მოიცავს რიონის ხეობას, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთს. კომპანიას უფლება აქვს, გამოიყენოს არამხოლოდ რიონი და მისი შენაკადები, ასევე მდინარე ცხენისწყლის წყლის რესურსი. ხელშეკრულებით კომპანია თავისუფლდება კარიერებიდან ბუნებრივი რესურსების ან სხვა ნებისმიერი ბუნებრივი რესურსებისთვის საჭირო ლიცენზიის მოპოვების ვალდებულებისგან. შესაბამისად, მას შეუძლია, მოიპოვოს ნებისმიერი წიაღისეული და ის, უბრალოდ, შიდა ბაზარზე სარფიანად გაყიდოს. შეგახსენებთ: საქართველოს მოქალაქეებს მდინარის სანაპიროდან კენჭის აღებისა და ტყიდან ფიჩხის გამოტანის უფლება არ აქვთ.**

იმავე ხელშეკრულებით, გადასახადების ნებისმიერი ზრდა, რომელსაც სახელმწიფო მომავალში დაადგენს, თურქულ კომპანიას არ შეეხება, მაგრამ გადასახადების შემცირება აუცილებლად აისახება. შეთანხმება არ ქმნის საქართველოს მოქალაქეებისთვის დასაქმების გარანტიებს, ანუ კომპანიას შეუძლია, მთელი შემადგენლობა თურქეთიდან ჩამოიყვანოს (თურქეთში საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული, რომ ნებისმიერ ინვესტორს მუშახელის 80% ადგილობრივი უნდა ჰყავდეს). მდინარე რიონის 32 კილომეტრი 49 წლით თურქული კომპანიის საკუთრებაა. **თუ მოსახლეობის პროტესტის შედეგად ან რაიმე სხვა მიზეზით, თურქული მხარე ვერ განახორციელებს ნამოხვანჰესის მშენებლობას, სახელმწიფოსგან მოითხოვს კომპენსაციას 400 მილიონ დოლარს, გარდა ამისა, მის მფლობელობაში დარჩება არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო ამ მიწაზე წიაღისეულის მოსაპოვებლად ლიცენზიის აღება კვლავ არ დასჭირდება.**

ახლა რუსულ თემას დავუბრუნდეთ. ოპოზიცია იმასაც ამბობს, აღნიშნულ თურქულ კომპანიას რუსეთშიც აქვს ბიზნესი და ბრუნვა 2,6 მილიარდი დოლარიაო, ანუ ოპოზიცია რუსულ კვალზე მიანიშნებს, რაც დიდი ტყუილია. ტყუილია იმიტომ, რომ 2016 წლიდან რამდენიმე რუსულმა კომპანიამ საქართველოს ხელისუფლებას შესთავაზა ჰესების მშენებლობა და თანაც არა ასეთი კაბალური პირობებით, მაგრამ უარი მიიღო. მიზეზი მარტივია — რუსული კომპანიები საქართველოში დასავლეთმა არ შემოუშვა და მერე რა, რომ ელექტროენერგიის უდიდეს ნაწილს სწორედ რუსეთისგან ვყიდულობთ, მათი აშენებული და გაკეთებული არ გინდოდეთ, მხოლოდ იყიდეთ, ასე უფრო ძვირი დაჯდება, მაგრამ არა უშავსო, დაახლოებით ასეთია დასავლეთის პოზიცია. ჰოდა, **როცა თურქეთი ისტორიული მეგობარია, ხოლო რუსეთი ისტორიული მტერი, მივიღეთ ის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ქვეყანა 400 მილიონი დოლარის ზარალს მიიღებს; გრძელვადიანში, თუ მშენებლობა განხორციელდება, უფრო მეტს, რადგან ელექტროენერგიის ძვირად შესყიდვის ვალდებულება მძიმე ტვირთად დაგვაწვება, ხოლო ტყეებიდან და მდინარეებიდან გატანილი წიაღისეული ცალკე თანხაა.**



**თურქულ კომპანია «ენკას» 121 ლარად საკუთრებაში გადაეცა 1 409 391 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონება და 1 535 975 კვ.მ ფართობის ტყე (!) წყალტუბოს, ტყიბულისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. 49 წლის ვადით წლიურ 16 ლარად გადაეცა 2 372 409 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო ქონება და 445 245 კვ.მ ტყე**

პანდემიის გამო საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ფინანსური რესურსი ამოწურა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას საგაზაფხულო სამუშაოების წარმოებისთვის ფული არ აქვს, ბანკებიდან კრედიტის აღება ისე გართულდა, ფული რომ მოგცენ, მინისტრი თუ არა, პარლამენტის წევრი მაინც უნდა იყო. ჰოდა, წელს საქართველოში მიწის დამუშავების მასშტაბები რეკორდულად დაბალი იქნება. შედეგად, მწირი მოსავალი მაღალ ფასებს ნიშნავს და სახელმწიფო ამ სფეროს სუბსიდიაზე ხმას არ იღებს. სამაგიეროდ, **ლევან დავითაშვილმა** ამაყად გამოგვიცხადა: ხორბლის ძირითადი ნაწილი უკვე რუსეთიდან აღარ შემოგვაქვს, სხვა ქვეყნები ვნახეთ და რუსეთზე დამოკიდებული აღარ ვიქნებითო. სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადების პარალელურად, **რუსეთში შესაბამისმა უწყებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ხორბლის ყველაზე დიდი შემსყიდველი ქვეყნები რიგითობის მიხედვით ასე განლაგდნენ — თურქეთი, ეგვიპტე, პაკისტანი, საქართველო... ანუ საქართველო მეოთხე ქვეყანაა, რომელიც რუსეთიდან ყველაზე მეტ ხორბალს ყიდულობს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თურქეთის მოსახლეობა 80 მილიონს აჭარბებს, ეგვიპტის — 100 მილიონს, პაკისტანის — 200 მილიონს და საქართველო...** მარტივი ლოგიკაა, ჩვენ მართლა მთლიანად რუსეთზე ვართ ჩამოკიდებული და ბატონი ლევანი, უბრალოდ, გვატყუებს.

**მოსახლეობას ვუმალავთ იმას, რომ საქართველოში ნაწარმოები პროდუქციის მთავარი ბაზარი რუსეთია, რუსეთიდან შემოგვაქვს ყველაზე მეტი პროდუქტი, ელექტროენერგიის უმთავრესი მომწოდებელი რუსეთის ფედერაციაა და ხორბალზეც ასი პროცენტით რუსეთზე ვართ დამოკიდებულნი.** ამის ხმამაღლა თქმა კი არ „ტეხავს“, მაგრამ ეს რომ თქვა, მერე, შესაძლოა, მოსახლეობას რაღაცებში ეჭვი შეეპაროს, დასავლეთზე გული აუცრუვდეს, ამიტომ რუსეთი ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც მხოლოდ უარყოფით კონტექსტში უნდა მოიხსენიონ. სასაცილო მდგომარეობაში ვართ — ვცდილობთ, დავმალოთ ის, რაც რეალობაა, და ხმამაღლა ვიყვიროთ ის, რაც, ქვეყანას კი არა, დასავლეთს აძლევს ხელს. ახლაც, ნამოხვანჰესზე ხელისუფლება იმას კი არ ამბობს, ვიზარალებთ და ხალხი მართალიაო, არამედ იმას, რომ ეს თურმე გამოსავალია. მწარე სიმართლე კი ის არის, **რომ საქართველოს ეკონომიკას სასიცოცხლოდ სჭირდება უცხოური ინვესტიცია, რუსული მხარე დასავლეთმა ჩაკეტა, თურქეთმა კი, რომელმაც ძალიან კარგად იცის ჩვენი მდგომარეობა, შემოგვთავაზა კაბალური პირობები. ეს ინვესტიცია ქართულ ეკონომიკას სულს მოათქმევინებს, თუმცა მოკლევადიან პერსპექტივაში. გრძელვადიანში კი თურქეთი, პრაქტიკულად, ერთი ქალაქის სამყოფ ტერიტორიას ისაკუთრებს და საშვილიშვილოდ „იპრავებს“.** აი, ის ჰექტრობით მიწები, რომლებიც „ისტორიულ მეგობარს“ გადავეცით, მავთულხლართებით რომ შემოსაზღვრონ, ჩვენს ტერიტორიას ვიცავთო, ხომ ვერავინ გააპროტესტებს? ჰოდა, გვექნება პატარა თურქული ავტონომია საქართველოს შუაგულში და 50 წლის შემდეგ იმავე ტეროტორიიდან მათი შინ გაშვება ურთულესი რომ იქნება, ფაქტია. დღეს რომ 10 წლის არის ბავშვი და მომდევნო 50 წელი რომ ეცოდინება, ეს ტერიტორია თურქეთისაა, 60 წლისა თურქებს რამეს გაუპროტესტებს? არ და ვერ!

და ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი: **თუ ასე მომგებიანია ეს ჰესი, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს კი აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მშენებლობა დაიწყოს და პირობებიც სახელმწფოს მოარგოს და არა თურქულ კომპანიას. ხალხსაც ადგილობრივს დაასაქმებს და მოგება რაც იქნება, 49 წლით თუ უფრო მეტიც, ისევ სახელმწიფოს ბიუჯეტში წავა.** ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული, სახელმწიფო არ ახორციელებს ამ პროექტს და... ტენდერი მაინც გამოგეცხადებინათ, იქნებ ადგილობრივ ბიზნესმენს გაეკეთებინა ეს ყველაფერი? ახლა არ თქვათ, აქ მაგ ოდენობის თანხები არავის აქვსო. რა ვიცი, ანაკლიის პორტისთვის ქართველებმა ლამის დახოცეს ერთმანეთი და ერთი პატარა ჰესი რას მიქვიან?! უბრალოდ, ტერიტორიების გასხვისებისა და მორიგი ნაღმის ჩადების პროცესს ჰგავს ეს ყველაფერი.

**მოსახლეობას ვუმალავთ იმას, რომ საქართველოში ნაწარმოები პროდუქციის მთავარი ბაზარი რუსეთია, რუსეთიდან შემოგვაქვს ყველაზე მეტი პროდუქტი, ელექტროენერგიის უმთავრესი მომწოდებელი რუსეთის ფედერაციაა და ხორბალზეც ასი პროცენტით რუსეთზე ვართ დამოკიდებულნი. ამის ხმამაღლა თქმა კი არ „ტეხავს“, მაგრამ ეს რომ თქვა, მერე, შესაძლოა, მოსახლეობას რაღაცებში ეჭვი შეეპაროს, დასავლეთზე გული აუცრუვდეს, ამიტომ რუსეთი ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც მხოლოდ უარყოფით კონტექსტში უნდა მოიხსენიონ**

**ბესო ბარბაქაძე**

**კაცობრიობის მტრები**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა 26 წლით მოიმატებს, ე.წ. განვითარებად ქვეყნებში — 22 წლით. სიცოცხლის გახანგრძლივებით მოსახლეობა მიიღებს მეტ პენსიასა და სოციალურ დახმარებას. „კომპანიებს მოუწევთ, ბევრად მეტის გადახდა ბიუჯეტში, რათა გაუმკლავდნენ დამატებით დატვირთვებს“.**

**გაზაფხულზე ვაშინგტონში გაიმართება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტრადიციული ყოველკვარტალური სხდომა, რომელზეც მოსახლეობის დაბერების პრობლემაზე იმსჯელებენ. ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა კრისტინ ლაგარდმა ამ თემაზე თავისი თვალსაზრისი ვებგვერდ Alertas-ზე გამოაქვეყნა და ყველა ქვეყანას მოუწოდა, აზრი გამოეთქვა.**

# «სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატება საფრთხეა. უნდა შევამციროთ მოსახლეობა»

„მოსახლეობის დაბერება საყოველთაო პრობლემაა, — წერს ლაგარდი, — საერთაშორისო სავალუტო ფონდი გულდასმით აანალიზებს ვითარებას თავის ყოველ სხდომაზე. საყურადღებოა აგრესია და სისასტიკე, რომელიც ამ პრობლემის განხილვას სდევს“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნებს სთავაზობს, სხვა ღონისძიებებთან ერთად შეამცირონ შეღავათები, მოუმატონ პენსიაზე გასვლის ასაკი „სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობის საფრთხის გამო“. ფონდი ხელისუფლებებს, აგრეთვე, სთავაზობს საბაზრო გადაწყვეტილებებს ამ „საფრთხის“ შესამცირებლად.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტებს, კაპიტალის ბაზრის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ესპანელი **ხოსე ვინიალსი** იყენებს ისეთ ტერმინს, როგორიც არის „დღეგრძელობის საფრთხე“: „თუ სიცოცხლის ხანგრძლივობა მოიმატებს სამი წლით, რაც, სავარაუდოდ, 2050 წლამდე მოხდება, მაშინ ფასი დაბერებისა, რომელიც ხელისუფლებისთვის, საწარმოებისთვის, სადაზღვევო საგენტოებისა და ფიზიკური პირებისთვის უკვე მძიმე ტვირთად იქცა, დამატებით მოიმატებს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების 50 პროცენტში. **მოსახლეობის ყოველწლიური დაბერების სავარაუდო ფასების მომატებით გამოწვეული დატვირთვა ათეულობით მილიარდი დოლარი იქნება.** ეს საფრთხეს შეუქმნის საჯარო ფინანსებს სახელმწიფო ვალის მომატების გამო. ამასთანავე, საფრთხე დაემუქრება კერძო პირების გადახდისუნარიანობას“.

როგორც ვინიალსმა განმარტა ამ თემისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, „ცხოვრების გაგრძელება კარგია, მაგრამ ამაში არის მნიშვნელოვანი ფინანსური საფრთხე. ეს ჩვენ გაცილებით მეტი დაგვიჯდება, ვიდრე ადამიანებს, კორპორაციებსა და მთავრობებს. ჩვენ ახლავე უნდა შევშფოთდეთ დღეგრძელობის საფრთხის გამო, რათა მომავალში დამატებითმა ხარჯებმა არ დაგვახრჩოს“.

1750 წელს დასავლეთევროპულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 40 წელს ვერ აღწევდა. 1900-დან 2010 წლამდე ხანგრძლივობამ 80 წლამდე მოიმატა. მსოფლიო მასშტაბით, 1950-იან წლებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 48 წელი იყო და დღემდე 70 წლამდე მოიმატა. გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა 26 წლით მოიმატებს, ე.წ. განვითარებად ქვეყნებში — 22 წლით. **სიცოცხლის გახანგრძლივებით მოსახლეობა მიიღებს მეტ პენსიასა და სოციალურ დახმარებას. „კომპანიებს მოუწევთ, ბევრად მეტის გადახდა ბიუჯეტში, რათა გაუმკლავდნენ დამატებით დატვირთვებს,** — განაცხადა ვინიალსმა. — ამ საფრთხის შემსუბუქება კი იქნება პროცესი, რომელიც ახლა უნდა დაიწყოს“.




კრისტინ ლაგარდს სურს, დაბერების პრობლემა ვაშინგტონში გაზაფხულის სამიტზე განიხილონ. ის მთავრობებს სთხოვს, აღიარონ, რომ დაბერება სერიოზულ პრობლემებს შექმნის მომავალში და საფრთხეს წარმოადგენს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი სავალუტო ფონდის მაღალჩინოსანი მთავრობებს საპენსიო ასაკის მომატებას სთავაზობს.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის აზრით, აგრეთვე, საჭირო იქნება, პენსიების ოდენობის შემცირება და სოციალური დაზღვევის შენატანების გაზრდა. კერძო სადაზღვევო კომპანიებს კი უნდა მიეცეთ უფლება, „გაანეიტრალონ მუქარები ადამიანებისა, რომლებიც სავარაუდო ვადაზე დიდხანს ცხოვრობენ“.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტები ხელისუფლებას სთავაზობენ, ადამიანებს მისცენ საშუალება, თვითონ ჩაუყარონ საფუძველი თავიანთ პენსიას და, თუ საჭირო იქნება, პენსიის დაგროვება სავალდებულოდაც კი აქციონ ბანკებთან ხელშეკრულების გაფორმებით.

ფონდი სთავაზობს ქვეყნებს, გამოავლინონ მეტი გამჭვირვალობა დაბერების ტენდენციის ანგარიშების წარდგენისას და მეტ ინფორმაციას ითხოვს, როგორ აპირებენ სახელმწიფოები პენსიების დაფინანსებას მომავალში.

„ამ რეფორმებს ბევრი წელი დასჭირდება, სანამ მოსავალს მივიღებთ, — წერს კრისტინ ლაგარდი დასკვნაში, — ნებისმიერი დაყოვნება ამ პროცესში გაართულებს ამოცანის გადაწყვეტას საჭირო მიმართულებით. მოსახლეობის დაბერებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მომატებისადმი ყურადღება სახელმწიფო და კერძო სექტორების სიცოცხლისუნარიანობის ბალანსებისადმი ნდობის აღდგენის რეფორმების კომპლექსის ნაწილია“.

**კრისტინ ლაგარდს სურს, დაბერების პრობლემა გაზაფხულზე ვაშინგტონში გასამართ სამიტზე განიხილონ. ის მთავრობებს სთხოვს, აღიარონ, რომ დაბერება სერიოზულ პრობლემებს შექმნის მომავალში და საფრთხეს წარმოადგენს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი სავალუტო ფონდის მაღალჩინოსანი მთავრობებს საპენსიო ასაკის მომატებას სთავაზობს**



საერთაშორისო სავალუტო ფონდის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხოსე ვინიალსი

**«ცხოვრების გაგრძელება კარგია, მაგრამ ამაში არის მნიშვნელოვანი ფინანსური საფრთხე. ეს ჩვენ გაცილებით მეტი დაგვიჯდება, ვიდრე ადამიანებს, კორპორაციებსა და მთავრობებს. ჩვენ ახლავე უნდა შევშფოთდეთ დღეგრძელობის საფრთხის გამო, რათა მომავალში დამატებითმა ხარჯებმა არ დაგვახრჩოს»**



**საერთაშორისო სავალუტო ფონდის კაპიტალის ბაზრის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: „თუ სიცოცხლის ხანგრძლივობა მოიმატებს სამი წლით, რაც, სავარაუდოდ, 2050 წლამდე მოხდება, მაშინ ფასი დაბერებისა, რომელიც ხელისუფლებისთვის, საწარმოებისთვის, სადაზღვევო სააგენტოებისა და ფიზიკური პირებისთვის უკვე მძიმე ტვირთად იქცა, კიდევ მოიმატებს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების 50 პროცენტში. მოსახლეობის ყოველწლიური დაბერების სავარაუდო ფასების მომატებით გამოწვეული დატვირთვა ათეულობით მილიარდი დოლარი იქნება. ეს საფრთხეს შეუქმნის საჯარო ფინანსებს სახელმწიფო ვალის მომატების გამო. ამასთანავე, საფრთხე დაემუქრება კერძო პირების გადახდისუნარიანობას“**

**cont.ws-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ალტერნატივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ევროკავშირში რეგისტრირებულია 3 ვაქცინა — „მოდერნა“, „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“. პირველი თითქმის მთლიანად ხმარდება აშშ-ის მოსახლეობის ვაქცინაციას, „ფაიზერმა“ და „ასტრაზენეკამ“ კი განაცხადეს, რომ ევროპას კონტრაქტით გათვალისწინებულ მოცულობას ვერ მიაწვდიან. ევროკავშირის მიერ შეკვეთილი 2,6 მლრდ დოზიდან მიწოდებულია მხოლოდ 51,5 მლნ. ჩანს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ვაქცინაციას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება.**

# რუსული ვაქცინა ევროპის კიდევ ერთხელ გადასარჩენად

**ევროკავშირმა დაიწყო კაპიტულაციის პროცესი რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის წინაშე. ევროკავშირის მაღალჩინოსნები, რომლებიც რუსულ ვაქცინას სულ ცოტა ხნის წინათ „არასაიმედოს“, „სახიფათოსა“ და „პოლიტიზებულს“ უწოდებდნენ, ახლა „სპუტნიკ V“-ის ვაქცინაციისთვის ვარგისიანობის აღიარების პროცედურებს ახორციელებენ. ამ მხრივ კიდევ უფრო აქტიურია ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელი.**

რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდმა განაცხადა, რომ პრეპარატების ევროპულმა სააგენტომ (EMA) კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის სარეგისტრაციო დოსიეს (rolling review) თანმიმდევრული ექსპერტიზა დაიწყო.

## ბიუროკრატები კლავენ

სერტიფიკაცია სწრაფად უნდა ჩატარდეს — ევროკავშირს ხომ კატასტროფულად არ ჰყოფნის ვაქცინა?! შეგახსენებთ, რომ დღეს ევროკავშირში რეგისტრირებულია 3 ვაქცინა — **„მოდერნა“, „ფაიზერი“** და **„ასტრაზენეკა“.** პირველი თითქმის მთლიანად ხმარდება აშშ-ის მოსახლეობის ვაქცინაციას, „ფაიზერმა“ და „ასტრაზენეკამ“ კი განაცხადეს, რომ ევროპას კონტრაქტით გათვალისწინებულ მოცულობას ვერ მიაწვდიან. ევროკავშირის მიერ შეკვეთილი 2,6 მლრდ დოზიდან მიწოდებულია მხოლოდ 51,5 მლნ. ჩანს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ვაქცინაციას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება.

ყველაფრის მიუხედავად, ევრობიუროკრატები არ ჩქარობენ. თვით სერტიფიკაციის პროცესი იანვრიდან მიმდინარეობს (როცა რუსეთმა შესაბამისი დოკუმენტები შეიტანა EMA-ში). ევროკავშირის პრეზიდენტ **ურსულა ფონ დერ ლაიენის** თქმით, EMA-ს თანამშრომლებმა რუსული ვაქცინის ყველა მონაცემი დაწვრილებით უნდა შეამოწმონ და გააანალიზონ, ისევე, როგორც ეს სხვა ვაქცინის მიმართ გააკეთეს. მთლიანობაში, ამ პროცედურას შეიძლება დასჭირდეს 2-დან 4 თვემდე. „ამასთანავე, — ამბობს ფრაუ ფონ დერ ლაიენი, — ევროპას სურს, **თავისი სპეციალისტების მეშვეობით ჩაატაროს იმ ქარხნების შემოწმება, რომლებიც აწარმოებენ რუსულ ვაქცინას“.**

რა არის ზოგიერთი ევროპელისთვის სასიკვდილო დაყოვნების მიზეზი? უწინარესად — ბიზნესი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ, რომ უცხოური ვაქცინის შემოტანის დაყოვნების გამო საფრთხე ექმნება ევროკავშირის გეგმებს „კორონავირუსის პასპორტების“ გაცემის შესახებ. **თუ ევროკავშირის მილიონობით მოქალაქე გაიკეთებს რუსულ ან, მაგალითად, ჩინურ ვაქცინას, მაშინ მათაც უნდა მისცენ ასეთი პასპორტი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი უნდა გამოეთხოვოს დასავლური ვაქცინებით სხვა ქვეყნების მოქალაქეების იძულებით აცრის წყალობით თავიანთი კომპანიების გამდიდრების გეგმას.**

## პოლიტიკა

სერტიფიკაციის დაყოვნების კიდევ ერთი მიზეზი არის პოლიტიკა. იგივე **ურსულა ფონ დერ ლაიენი არ არის მზად, აღიაროს, რომ რუსმა მეცნიერებმა შეძლეს ეფექტიანი ვაქცინის დამზადება, თანაც დასავლურ კომპანიებზე სწრაფად.** „ჩვენთვის საინტერესოა, რატომ გვთავაზობს რუსეთი ვაქცინის მილიონობით დოზას, როცა თავისი მოსახლეობის ვაქცინაცია ჯერ არ დაუსრულებია“, — ამბობს ფრაუ ურსულა. თუმცა მას ეს საკითხი სერიოზულად რომ აინტერესებდეს, რჩევას პროფესიონალებს დაეკითხებოდა. ისინი კი აუხსნიდნენ, რომ რუსეთში ვაქცინაციის პროცესი რამდენიმე მიზეზის გამო მიმდინარეობს ნელა. **მათგან ერთ-ერთია ვაქცინის გაკეთების სურვილის უქონლობა, რომლის მიზეზიც, თავის მხრივ, სხვადასხვაა: საერთო უნდობლობა ვაქცინების მიმართ, აგრეთვე, შიშის უქონლობა კორონავირუსის მიმართ — აშშ-ისა და ევროპისგან განსხვავებით, რუსეთში არ არის სიკვდილის შემთხვევების დიდი რაოდენობა და არც ძალიან მკაცრი კარანტინი.**

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 50%-ს ეშინია კორონავირუსით ინფიცირების. ბოლოს, ეს არჩევანის უფლებაცაა. რუსეთის მოსახლეობის ნაწილს არ სურს, აიცრას „სპუტნიკ V“-ით იმიტომ, რომ **1-2 თვის შემდეგ ხელმისაწვდომი იქნება სხვა ვაქცინა — ჩუმაკოვის სახელობის ინსტიტუტის მიერ დამზადებული (პირობითად — ვაქცინის კლასიკური ტიპი). მას ელოდებიან ინფორმირებული მოქალაქეები, ექიმები და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.**

ევროპას კი არჩევანის ფუფუნება არ აქვს. ევროპელები უნდა დაელოდონ, როდის მიიღებენ იაფფასიან და საეჭვო „ასტრაზენეკას“ (ის ითვლება ყველაზე ცუდ ვაქცინად დასავლურ ვაქცინებს შორის) ან „ფაიზერს“, რომლის უამრავ თანამდევ უარყოფით მოვლენას დასავლური მასმედიაც კი ვერ მალავს, ან იმედი იქონიოს, რომ მთავრობა შეისყიდის რუსულ ვაქცინას.

## დეზერტირები

ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ასე ვთქვათ, დეზერტირობით არიან დაკავებულები. ისინი ხედავენ ევროპული ბიუროკრატების პასიურობას და ცდილობენ, პირდაპირი კავშირით შეისყიდონ რუსეთისგან ვაქცინები. ამისთვის ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებულ ხვრელს იყენებენ.

საერთოევროპული დისციპლინა პირველმა დაარღვია **უნგრეთმა,** რომელიც რუსეთს ვაქცინის შესყიდვაზე შეუთანხმდა. ვაქცინის რეგისტრაცია დაიწყო **სლოვაკეთმა.** სლოვაკეთის პრემიერმინისტრმა **იგორ მატოვიჩმა** იხუმრა კიდეც, — მზად ვარ, მოსკოვს „სპუტნიკ V“-ში უკრაინის ამიერკარპატები გავუცვალოო. ავსტრიის კანცლერმა **სებასტიან კურცმა** მოსკოვში დარეკა „ავსტრიისთვის ვაქცინის მიწოდებისა“ და „ავსტრიაში ვაქცინის დამამზადებელი ერთობლივი საწარმოს აშენების შესახებ“. ჩეხეთის პრემიერმა **ანჯეი ბაბიჩმა** განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, EMA-ს თანხმობის გარეშე რუსული ვაქცინის სერტიფიკაცია ჩეხეთის ანალოგიურმა სააგენტომ ჩაატაროს.

ევროდეზერტირების სიაში ჩაეწერა **ხორვატიაც,** რომელმაც რუსეთიდან „სპუტნიკ V“-ის დოკუმენტაცია გამოითხოვა. „ეს არ შეაფასოთ ევროპული პროცედურებიდან გადახვევის მცდელობად. ეს მიდგომა არ ეწინააღმდეგება ევროპულ წესებს. ჩვენ, უბრალოდ, გვჭირდება ადრინდელ ცხოვრებაში დაბრუნება“, — განაცხადა ხორვატიის ჯანდაცვის მინისტრმა **ვილი ბეროშმა.**

როგორც ჩანს, ამ სიას კიდევ დაემატება ევროპული სახელმწიფოები, თანაც — არაერთი.




> **XIX და XX საუკუნეებში რუსეთმა, სულ ცოტა, ოთხჯერ გადაარჩინა ევროპა — ნაპოლეონისგან, ბისმარკის მტაცებლური ამბიციებისგან 1875 წელს, შემდეგ I და II მსოფლიო ომში მონაწილეობით. დღეს ეს არც ისე ბევრ ევროპელს ახსოვს, მაგრამ არის იმედი, რომ «სპუტნიკ V» მეხსიერებას დაუბრუნებს ევროპის მცხოვრებლებს და ეს ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის ხელმძღვანელებმა უფრო ადრე გააცნობიერეს, ვიდრე ბრიუსელელმა მაღალჩინოსნებმა**



> **ევროპას არჩევანის ფუფუნება არ აქვს. ევროპელები უნდა დაელოდონ, როდის მიიღებენ იაფფასიან და საეჭვო «ასტრაზენეკას» (ის ითვლება ყველაზე ცუდ ვაქცინად დასავლურ ვაქცინებს შორის) ან «ფაიზერს», რომლის უამრავ თანამდევ უარყოფით მოვლენას დასავლური მასმედიაც კი ვერ მალავს, ან იმედი იქონიოს, რომ მთავრობა შეისყიდის რუსულ ვაქცინას**

## და კვლავ გადასარჩენად

დასავლელი პროპაგანდისტები განგაშს ტეხენ — მათი გაგებით, „ვაქცინური დიპლომატია“ მოსკოვს ეხმარება ევროპაში „გათიშე და იბატონე“ პოლიტიკის გატარებაში. **ამერიკული ტელეკომპანია CNBC-ის აზრით, იმ მომენტში, როცა ევროკავშირი ძალისხმევას არ იშურებს გაერთიანების წევრი 27 ქვეყნისთვის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მოსაპოვებლად, რუსული ვაქცინა აღმოსავლეთ ევროპაში შედის და ევროპაში კიდევ ერთ პოტენციურ განხეთქილებას ქმნის,** მაგრამ საქმე მხოლოდ განხეთქილებაში არ არის — „სპუტნიკ V“ რუსეთის ეფექტიან „რბილ ძალად“ იქცა. გამოდის, რომ **ევროკავშირის პოლიტიკური იმპოტენციისა და ამერიკული კომპანიების უუნარობის ფონზე, ევროპის მოქალაქეებს გადაარჩენს რუსეთი, ის რუსეთი, რომელსაც, დასავლურ მასმედიას თუ დავუჯერებთ, ევროპის დაპყრობა და „ნოვიჩოკით“ ბრიტანელების მოწამვლა სურს.**

რა თქმა უნდა, დასავლურ პროპაგანდისტებს რაღაც უნდა მოეფიქრებინათ ამ რუსული „რბილი ძალის“ წინააღმდეგ, მაგრამ მათ შეუძლიათ, გაიხსენონ ისტორია. XIX და XX საუკუნეებში რუსეთმა, სულ ცოტა, ოთხჯერ გადაარჩინა ევროპა — **ნაპოლეონისგან, ბისმარკის მტაცებლური ამბიციებისგან 1875 წელს, შემდეგ I და II მსოფლიო ომში მონაწილეობით.** დღეს ეს არც ისე ბევრ ევროპელს ახსოვს, მაგრამ არის იმედი, რომ „სპუტნიკ V“ მეხსიერებას დაუბრუნებს ევროპის მცხოვრებლებს და ეს ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის ხელმძღვანელებმა უფრო ადრე გააცნობიერეს, ვიდრე ბრიუსელელმა მაღალჩინოსნებმა.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კრემლში კავკასიის შვილი კავკასიონის რუკას დაჰყურებდა და მისი დაცვის სტრატეგიას ამუშავებდა. მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა; ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი — სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.**

# როგორ დაიცვეს სტალინმა და ბერიამ კავკასიონი

**მიმდინარე წლის 6 მარტს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა დოკუმენტური ფილმი, რომლის სცენარის ავტორია მიხეილ ბასილაძე, რეჟისორი — შალვა შენგელი, კონსულტანტი — ომარ თუშურაშვილი. სცენარის ავტორი სიფრთხილით გადმოგვცემს ფაქტებს, რომლებიც ეხება დიდი სამამულო ომის წლებს. საწყენია, რომ სცენარის ავტორი, მიუხედავად თავისი მრწამსისა და სიმართლისა, შეფარვით ცდილობს, ხარკი გადაუხადოს და სამუშაო შეუსრულოს დამკვეთს, რითაც თავს უხერხულობაში იგდებს. რაც შეეხება სცენარისთვის ხორცშესხმას, ამას უმაღლეს დონეზე ასრულებს „კონსულტანტი“ ომარ თუშურაშვილი, რომელიც არამხოლოდ კონსულტანტია, არამედ ამ ფილმის ფუძეც, რომელზეც შემდგომ აშენდა რეჟისორ-არქიტექტორის მიერ შესანიშნავად დაპროექტებული შუქსავსე შენობა, რომლის არც ერთ კუთხეში ჩრდილი არ არის.**

ფილმის ერთ ეპიზოდში ჩეკისტების მიერ სარებზე წამოცმული ორი პატრიოტის თავს შორი რაკურსით გვაჩვენებს რეჟისორი და მაყურებელს სიბრალულის განცდა ეუფლება, მაგრამ საკმარისია, ფილმის შესანიშნავმა წამყვანმა სცენარის ავტორის სიტყვები სხვა ტონალობით წარმოსთქვას, რომ მოჭრილი თავები მოღალატეების მოჭრილ თავებად წარუდგეს მაყურებელს და სიბრალულიც გაქრეს.

ეს საშინელი სანახაობა — მოჭრილი თავები — თბილისის უნივერსიტეტის წარჩინებული აღზრდილების, ასპირანტების თავებია. მათ ნუთუ არ იცოდნენ, რომ თავიანთი 50-კაციანი რაზმით წითელ არმიას ვერაფერს დააკლებდნენ? ფაქტია: ისინი დეზერტირობდნენ, ომს ემალებოდნენ, უღრან ხეობებში სოფლის ხარჯზე თავს ირჩენდნენ და სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ. ეს მაშინ, როდესაც 210 ქალიშვილი და 300-ზე მეტი ვაჟკაცი სტუდენტი უნივერსიტეტის მერხებს მოსწყდა და, როგორც მოხალისე, ფრონტს მიაშურა. ხუთი უნივერსიტეტელი გმირის ვარსკვლავით დაუბრუნდა თავის სასწავლებელსა და სამშობლოს, მათგან ერთი მოგვიანებით უნივერსიტეტის რექტორიც გახდა. **იმ თორმეტი ადამიანიდან, რომლებიც ფილმში უნივერსიტეტის ფაშისტური ორგანიზაციის წევრობისთვის დახვრეტეს, ერთ-ერთი ჩემი უახლოესი მეგობრის დედის ძმა იყო, მაგრამ ძმის ღალატს სამშობლოსადმი მისი პარტიული კარიერისთვის ხელი არ შეუშლია. მან, 75 წლისამ, საიუბილეო ყვავილებში ჩაფლულმა, დატოვა პოსტი.**

შეიმჩნევა, რომ ფილმში ასახული მოვლენების თანმიმდევრობა და სიზუსტე **ომარ თუშურაშვილის** შემოქმედებაა, მაგრამ მიჩნდება კითხვა — **ვისთვისაა საჭირო ეს მეტად რთული გათვლები და ამოცანები?** ბოლოს და ბოლოს, ყველასთვის ხომ ნათელი იქნება, ვის ვებრძოდით, ვინ დავამარცხეთ და რა საფრთხე ავაცილეთ არამხოლოდ ჩვენს დიად სახელმწიფოს, არამედ კაცობრიობას?! ვშიშობდი, ეს მასალები და სიმართლე, რომელიც ამ ფილმშია ნათქვამი და დანახული, უკვე აღარ იარსებებდა, როგორც მტკიცებულება და იქნებოდა გამქარლი ისე, როგორც სხვა ბევრი რამ.

**ბატონო ომარ თუშურაშვილო!**

იქნებ ასევე გვანახვოთ **ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ევგენი მიქელაძის** „თეთრი ძაფით ნაკერი საქმეები“. მსურდა, რამდენიმე საქმეს გავცნობოდი, მაგრამ, როცა მოგმართეთ, მითხარით, ეს საქმეები **იზა ორჯონიკიძემ** ინსტიტუტში გადაიტანაო. **ბატონო ომარ, სრულიად საიდუმლო სისხლის სამართლის საქმეებს როდის იყო, ლიტერატურის ინსტიტუტში ინახავდნენ?!** საჯაროდ გთხოვთ, შექმენით ასეთივე ფილმი ამ ადამიანებზე, რომელთა ცხოვრებაც **ბობღიაშვილებსა** და მისნაირებზე არანაკლებ აიტერესებს საზოგადოებას. თუ თქვენი ფილმი ჩრდილოკავკასიელი ხალხების მსჯელობის საგანი შეიქნა, მაშინ ნამდვილად აეხდება ფარდა სტალინის ღრმა კუთხურობას და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. რასაც ისიც დაადასტურებს, რომ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით, სრულიად საიდუმლოდ დაევალა საქართველოს სამხედრო კომისარიატს, ყველა რკინიგზის სადგურზე, სადაც სამხედრო ეშელონები ჩერდებოდა, პატრულირება განეხორციელებინათ, რათა მოხალისე ქალიშვილები ვაგონებში არ ასულიყვნენ ფრონტზე წასასვლელად. **1944 წელს 5 000 ჯარისკაცი, რომლებიც ფრონტზე უნდა გადაესროლათ, დონბასში ჩამოსვეს ვაგონებიდან და მეტალურგიულ ქარხანაში გადაანაწილეს სამუშაოდ, ამ დროს კი 500 000 ჩრდილოკავკასიელი სამშობლოს ღალატისთვის ფერგანის სტეპებში იყო გადასახლებული.**

თბილისის უნივერსიტეტის ფაშისტური ორგანიზაციის განადგურების შემდეგ ამ ორგანიზაციის გადარჩენილმა წევრებმა თავი ზემო ალვანს შეაფარეს, როგორც ფილმიდან ჩანს, საიდანაც თუშეთის მოსახლეობას ამხედრებდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ.

**ომის შემდგომ სწორედ ზემო ალვანი იყო საქართველოში მეურნეობა, რომლის ხვავმა და ბარაქამ შირაქის ველების მოსავალსაც კი გადააჭარბა. ზემო ალვანელთა სასახელოდ უნდა ითქვა, რომ ყველაზე მედგრად და სიყვარულით სტალინის სახელსა და ქანდაკებას, რომელიც ზემო ალვანის ცენტრშია აღმართული, ზემო ალვანელები იცავენ და აფასებენ. ისინი სტალინის სახით ჩასული მზის კვლავ ამოსვლას ელოდებიან.**



მოლოტოვი, ვოროშილოვი, ბერია და სტალინი

**ამჟამად, როდესაც ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიით ახალგაზრდობას ბობღიაშვილსა და მისი რაზმის — «სამანის» წევრებს ვაცნობთ, როგორც გმირებს, და ნამდვილ გმირებს ჩინ-მედლების ტარებას ვუკრძალავთ და 9 მაისს, გამარჯვების დღეს, ვაკის პარკში კვერცხებს ვესვრით, ეს არის სწორედ ერის დაკნინებისა და გათახსირების პირველი ნიშანი**

ამჟამად, როდესაც ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიით ახლაგაზრდობას ბობლიაშვილსა და მისი რაზმის — „სამანის“ წევრებს ვაცნობთ, როგორც გმირებს, და ნამდვილ გმირებს ჩინ-მედლების ტარებას ვუკრძალავთ და ვაკის პარკში 9 მაისს, გამარჯვების დღეს, კვერცხებს ვესვრით, ეს არის სწორედ ერის დაკნინებისა და გათახსირების პირველი ნიშანი.

ბობლიაშვილის რაზმი რომ დეზერტირების რაზმი იყო და არა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, ამის დასამტკიცებლად რამდენიმე ეპიზოდს ქვემოთ მოგახსენებთ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. **ალიოშა კვაშალის გმირული თავგანწირვა, 12 ჩეკისტის მიერ მიუვალ ჭიუხებში ჩასაფრებული შეიარაღებული ბანდიტების გაუვნებელყოფა, იმ გმირობის ტოლფასია, რომელიც არაერთ საბჭოთა პატრიოტს ჩაუდენია ომის მძიმე დღეებში.** ახლა კი გავეცნოთ მასალებს, როგორი თავგანწირვით იბრძოდა ქართველი ხალხი დიდ სამამულო ომში და რა პირობებში ჩაწვა 300 000 ახალგაზრდა ქართველი ბრძოლის ველზე. ფაშისტური ორგანიზაცია „სამანელთა“ ნარჩენები კი, რახით გაბრუებულნი, მღეროდნენ „რა ლამაზია თუშეთი“.

**ჰიტლერის** უშუალო ბრძანებით, კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის — იალბუზის დაპყრობა და ქედის გადალახვა დაევალა ვერმახტის 49-ე მსროლელ კორპუსს გენერალ **კონრადის** მეთაურობით. საბრძოლო დავალება ასეთი იყო: **პირველი** — საქართველოს სამხედრო გზით თბილისისთვის უნდა დაერტყათ; **მეორე** — ოსეთის სამხედრო გზით იერიში უნდა მიეტანათ ქუთაისზე; **მესამე** დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთი უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას. ამ ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო **„ედელვაისი“.**

გერმანელთა მაღალხარისხიანი შეიარაღებისა და უდიდესი გამოცდილების მქონე 97-ე და მე-4 სამთო დივიზიები კავკასიონს მოადგნენ. პირველს გენერალ-ლეიტენანტი **ჰუბერტ ლანცი** მეთაურობდა, მეორეს კი, რომელიც ტიროლელებისგან შედგებოდა, — გენერალ-მაიორი **კარლ ეგლზეერი.**

გენერალი **რუდოლფ კონრადი** ფიქრობდა, რომ ამ საბრძოლო დავალებას ადვილად შეასრულებდა, და იახლა ჰიტლერის მიერ ამიერკავკასიის გაერთიანებული რაიკომისარიატის მბრძანებლად დანიშნული პირი, რომელიც ემზადებოდა თბილისში შესასვლელად. ჰიტლერელები კავკასიონამდე კი მოვიდნენ, მაგრამ უღელტეხილზე ასვლა ძალზე გაუჭირდათ. ნერვებაწყვეტილმა „კავკასიის მბრძანებელმა“ დეპეშა აფრინა ჰიტლერთან: **„ჩვენი ჯარები კავკასიის 4-5 დღეში აღების ნაცვლად ერთ ადგილს ტკეპნიან, ეშმაკმა იცის, რას აკეთებენ. თქვენს ბრძანებას არ ასრულებენ და დროს ტყუილუბრალოდ ვკარგავთ“.** ჰიტლერი ცოფებს ყრიდა, დირექტივას დირექტივაზე იძლეოდა და თავისი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით ათასნაირი ბოდვით აყრუებდა მსოფლიოს: **„კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზს ფეხი დავადგით!“**



ვარლამ ქაქუჩაია

**კრემლში კი კავკასიის შვილი სწორედ კავკასიონის რუკას დაჰყურებდა და მისი დაცვის სტრატეგიას ამუშავებდა. მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა; ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი — სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.**

— მდგომარეობა კავკასიაში, — წარმოთქვა სტალინმა, — სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად ფრონტის ხელმძღვანელობამ და ქვედანაყოფებმა საშუალება მისცეს ჰიტლერელებს, დაეკავებინათ ცენტრალური კავკასიონის გარკვეული ნაწილი, რითაც **საშუალება მიეცა ჰიტლერს, მთელი მსოფლიო გააყრუოს კავკასიონის დაძლევაზე ტრაბახით. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდეოლოგიაა. მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ომის მიმდინარეობა დაგვანახვებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. შეკრიბეთ ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც წამოგყვებათ. ჯგუფის თითოეული წევრი მე შემახვედრეთ. გისურვებთ წარმატებებს!“**

1942 წლის 17 აგვისტოს **ვარლამ ქაქუჩაია,** შინაგან საქმეთა კომისარიატის №4 სპეციალური სამმართველოს უფროს **პავლე სუდოპლატოვის** მოადგილე, მოსკოვის ახლოს ერთ-ერთ საკომანდო პუნქტში იპოვეს და მაღალი სიხშირის ტელეფონით კომისარიატის ადმინისტრაციის უფროს **მამულოვს** დააკავშირეს. „სასწრაფოდ გამოცხადდით სამუშაო ადგილზე!“ — მიიღო ბრძანება. ქაქუჩაია სასწრაფოდ მოსკოვისკენ გაეშურა.

„ღამის 12 საათი იყო, როდესაც ბერიას კაბინეტში შევედი, — ყვება ვარლამ ქაქუჩაია, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, შეამოწმა, ნორმალურად თუ ვიყავი ჩაცმული და მითხრა: „სასწრაფოდ კრემლში — სტალინთან“. რამდენიმე წუთში სტალინის კაბინეტის კარი პირველად შევაღე და იქვე გავჩერდი. სტალინი გამომეგება და ხელით მანიშნა: „პოდოიდიტე ბლიჟე“. შემდეგ მკითხა: „სად იყავით დღეს, რას აკეთებდით, რა ნახეთ?“ დაწვრილებით მოვუყევი იმ ნაწილების საფრონტო განწყობის შესახებ, რაც ჩემი თვალით ვნახე.

— თუ იცით, რატომ გამოგიძახეთ? — მკითხა სტალინმა.

— არა, — ვუპასუხე მე.

**— კავკასიონზე მდგომარეობა კატასტროფულია, კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასი-** ▶

## იმ თორმეტი ადამიანიდან, რომლებიც ფილმში უნივერსიტეტის ფაშისტური ორგანიზაციის წევრობისთვის დახვრეტეს, ერთ-ერთი ჩემი უახლოესი მეგობრის დედის ძმა იყო, მაგრამ ძმის ღალატს სამშობლოსადმი მისი პარტიული კარიერისთვის ხელი არ შეუშლია. მან, 75 წლისამ, საიუბილეო ყვავილებში ჩაფლულმა, დატოვა პოსტი.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები

**ონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა.**

მივხვდი, რომ სტალინი ჯგუფის ყველა მონაწილეს შეხვდა და შესაბამისი დავალებაც მისცა.

— მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა.

— უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ, — ღიმილით შემისწორა და განაგრძო, — ხვალ, დილის 5 საათზე, ჩემი თვითმფრინავით გაფრინდებით თბილისში, თქვენი ხელმძღვანელი იქნება ბერია. შემდეგ ხელი ჩამომართვა და გამომემშვიდობა".

**ხუთ საათზე სტალინის თვითმფრინავმა 18 კაცით კურსი თბილისისკენ აიღო, მათ შორის იყო ლავრენტი ბერია ვაჟთან, სერგოსთან, ერთად. თვითმფრინავში, გარდა გენერალ-ლეიტენანტ ბოდინისა, რომელიც კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსად იყო დანიშნული, ყველა ქართველი იყო.** საღამოს 11 საათზე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. ტრაპთან სამხედრო სალმით გაჭიმული იდგა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **ტიულენევი**, იქვე იყვნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები — **ჩარკვიანი, ბაგიროვი, არუთინოვი.**

**მოკლე მისალმების შემდეგ, როცა დამხვდურთა დაღვრემილი სახეები შენიშნა, ბერიამ მკაცრად მიმართა მათ: „რა მოხდა? რა სახეები ჩამოგტირით? თქვენი გარეგნობითა და საქციელით ხალხს პანიკაში ჩააგდებთ. ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ ქალაქი იცლება, არ არის წყალი, არ დადის ტრამვაი, ნუთუ ტრამვაიც ომში წავიდა?"**

შტაბში გამართულ თათბირზე, რომელიც უშუალოდ ბერიას მიჰყავდა, განისაზღვრა კავკასიონის დაცვის ძირითადი მიმართულებები. პირველი, ვისაც საბრძოლო დავალება მიეცა, იყო ბერიას მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი **სეროვი,** რომელიც ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა კომისარიატის სპეციალურ შენაერთებს. მას დაევალა სოხუმის მიმართულებით გამგზავრება და ქლუხორის უღელტეხილზე საომარი მოქმედებების წარმოება.

მეორე დავალება **ვარლამ ქაქუჩაიამ** მიიღო. მას სახელმძღვანელოდ, სხვა შენაერთებითან ერთად, გადაეცა თბილისის წითელდროშოვანი პოლკი. ეს შენაერთები უნდა გამგზავრებულიყვნენ ზემო სვანეთში — ბეჩოში. თათბირი გამთენიისას დასრულდა და ფრონტზე წამსვლელი მეთაურებიც თავიანთი ვაგონებისკენ გაემართნენ (თორმეტიდან დილის ხუთ საათამდე ახალგაზრდა სერგო ბერია შტაბის დერეფნებში დასეირნობდა, რათა ხალხს დაენახა, თბილისში რომ იმყოფებოდა). გერმანელებისთვის მოულოდნელად კავკასიონზე სულ სხვა დილა თენდებოდა. ქართველ მებრძოლთა ყიჟინა აყრუებდა ჭიუხებს, მათ უკვე შეიტყვეს მაშველი ძალისა და კავკასიის დასაცავად ბერიას ჩამოსვლის ამბავი.

**„ბერია, — ყვებოდა დივიზიის მეთაური გიორგი ყურაშვილი, — სვანი მონადირეებისა და ალპინისტების თანხლებით, მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი, თითქმის ყველა ნაწილში მივიდა და ყველა ბატალიონი დაათვალიერა. დაწვრილებით შეისწავლა ფრონტის ყველა უბნის მზადყოფნა და მომარაგება, როგორც საბრძოლო მასალებით, ასევე სურსათით. ყველა წვრილმანის ცოდნა და მებრძოლთა სულიერი განწყობის ცოდნა ბერიას აძლევდა საშუალებას, დაესაბუთებინა თავისი დავალების სისწორე.**

ბერიას მიერ გაცემულ ბრძანებაში ეწერა:

**„1. სვან მებრძოლს, რომელიც მოკლავს გერმანელ ოკუპანტს, გადაეცეს ჯილდოდ 500 მანეთი და მოკლულის მთელი აღჭურვილობა იარაღის ჩათვლით;**

2. თუ მოკლული უნტერ-ოფიცერია, ჯილდო გაორმაგდეს და მიეცეს მოკლულის იარაღი;

**3. სვან მებრძოლს, რომელიც მოიტაცებს მოენეს და ტყვედ აიყვანს გერმანელ ოფიცერს, ჯილდო გაეზარდოს;**

4. განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენისათვის სპეცდანიშნულების ბატალიონის წევრები წარდგენილნი იქნან სახელმწიფო ჯილდოებსა და ორდენებზე. ასევე დაჯილდოებულნი იქნან სამახსოვრო იარაღით წარწერით: „ლ. პ. ბერია".

ბერიას წახალისებით სვანეთის მოსახლეობა აღდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხუცები, ქალები და ბავშვები ხარებით, ცხენებითა და სახედრებით ჭიუხებში საბრძოლო მასალასა და სურსათს აწვდიდნენ გმირ სვან მებრძოლებს. სვანეთში გუგუნებდა სიმღერა ბერიაზე „დარიალს კარი შეაბი, კავკასიონი შეჰკარი". სატელეფონო საუბარში სტალინმა უსაყვედურა ბერიას: „როდემდე უნდა ფრიალებდეს იალბუზზე გერმანული დროშა. გადაეცით სვან ალპინისტებს, რომ სხვა ვერავინ ჩამოაგდებს მას". ამ საუბრიდან მალე, 1943 წლის 9 თებერვალს, ყინულის გიგანტურ სამყაროს **გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა შეუტიეს.** რამდენიმესაათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ვეფხის სადარი ბექნუ ხერგიანი ნახტომით მისწვდა დროშას, ჯერ ჩამოხია, შემდეგ კი ტარი ძირშივე გადატეხა.

როგორც მეორე მსოფლიო ომში უსტალინოდ ვერ გავიმარჯვებდით, ისე ლავრენტი ბერიას გარეშე კავკასიონს ვერ დავიცავდით.

### ბრძოლა კავკასიისთვის

1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომლითაც 46-ე არმიის სარდალი **სერგაცკოვი** გაათავისუფლა თანამდებობიდან და მის ადგილას დაინიშნა გენერალ-მაიორი **კონსტანტინე ლესელიძე.** ამ პერიოდში გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ კავკასიონის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც მტერმა არცთუ დიდი წინააღმდეგობის შედეგად ჩაიგდო ხელში. არმიის სარდლად ლესელიძის დანიშვნასა და კავკასიის ფრონტის ბერიასათვის ჩაბარებას ფრონტზე სწრაფად უნდა შეეცვალა ვითარება. 242-ე და 392-ე შენაერთები გენერლების — **გიორგი ყურაშვილისა** და **ისიდორე სილაგაძის** მეთაურობით ახალ საბრძოლო დავალებებს იღებდნენ უღელტეხილის დასაბრუნებლად და მტრის გასანადგურებლად.

**ომის დამთავრების შემდეგ გენერალი გიორგი ყურაშვილი საქართველოს სამხედრო კომისრად დაინიშნა. სხვადასხვა გარემოებათა გამო დასვენების დღეებს ყველა რანგის მოხელე ადგილობრივ კურორტებზე ატარებდა. გიორგი ყურაშვილიც ჩვენს სოფელში არსებული საუცხოო წყლითა და ჰაერით დაჯილდოებულ აგარაკ „მუაშის" რეგულარული სტუმარი გახლდათ. ის სვანეთის ახალგაზრდებს გვიყვებოდა ბრძოლის ეპიზოდებს. მე ბევრი რამ მახსოვს მისი მონათხრობიდან, რომლის ფრაგმენტები ჩაწერილიც კი მაქვს თორმეტფურცლიან სასკოლო რვეულში. ჩემი მონათხრობის დიდი ნაწილი გენერალ ყურაშვილის მონათხრობზეა აგებული, თუმცა გენერლის მონაყოლი შემდგომ ბევრ ბეჭდურ და მემორიალურ ლიტერატურაშიც გამოჩნდა.**

ახალდანიშნულ სარდალს მაღალი სიხშირის ტელეფონთან უხმეს, — თქვენ სტალინი დაგელაპარაკებათ. ცოტა ხანიც და სტალინი კონსტანტინე ლესელიძეს ახალ თანამდებობას ულოცავს და წარმატებებს უსურვებს.

— იცით, ამხანაგო ლესელიძევ, როგორ იბრძოდა ნაპოლეონი ალპებში? მან პირველმა გამოიყენა მიუვალ მთებში არტილერია. უღელტეხილები გადალახა და ზურგში დაარტყა ავსტრიულ არმიას. თქვენც უნდა აიტანოთ დაშლილი ზარბაზნები მწვერვალებზე, იქ ააწყოთ და იქიდან დაარტყათ მტერს. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით.

**ჰიტლერის მიერ კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, შემაშფოთებელი იყო. ფაშისტებთან ერთად კავკასიონს უტევდა ჰიტლერის მიერ შეკოწიწებული და მსოფლიო პროპაგანდისთვის ესოდენ საჭირო „ქართული ლეგიონი", რომელიც მდინარე ბაქსანის ნაპირზე იყო გამაგრებული.**

უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებითა და მონადირეებით იყო დაკომპლექტებული, განლაგებული იყო უკიდურეს სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდა მტრის წინ წამოწევას. სვანების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი მაყუჩიანი იარაღით. ისინი მამაც სვან მონადირეებთან ერთად ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე. **მთავარი ბანაკიდან კავკასიონზე დაშიფრული ტელეგრამა მოვიდა, მოითხოვდნენ, რომ ბატალიონი და სხვა სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ დაშვებულიყვნენ ბარში და ზამთარი ბეჩოში გაეტარებინათ. მებრძოლებმა და მათმა მეთაურებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ დირექტივას და დაშიფრული ტელეგრამითვე უპასუხეს ფრონტის სამხედრო საბჭოს, რომ ისინი დაკავებულ სიმაღლეებს არ დატოვებდნენ, როგორი პირობებიც უნდა შექმნილიყო. ეს წინააღმდეგობა სამხედრო საბჭოსთვის გამაოგნებელი იყო.** პასუხად იმავე დღეს დაშიფრული ტელეგრამა მიიღეს: „გამოგზავნილ დირექტივას არ ვამტკიცებთ. თქვენთან ჩამოვლენ არმიის სარდალი ლესელიძე და **ვ. ბაქრაძე,** ადგილზე შეთანხმდით და გადაწყვიტეთ ჯარების გამოზამთრების საკითხი. ბერია".

სამი დღის შემდეგ კონსტანტინე ლესელიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ბაქრაძე (რომელიც ფრონტის საბჭოს წევრიც გახლდათ) ბეჩოს მიადგნენ. გიორგი ყურაშვილმა (დივიზიის მეთაურმა) დეტალურად ილაპარაკა უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლაზე, რომელიც კარგად ჩანდა ოპერატიულ რუკებზე.

— ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უნდა ვნახოთ ადგილზე, — განაცხადა ლესელიძემ. ბაქრაძემ გზის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან კენჭის გავლის გამო ძლიერი ტკივილები სტანჯავდა და ხანდახან გონებასაც კი კარგავდა. **ლესელიძე და ყურაშვილი ორი დღის განმავლობაში გულდასმით ათვალიერებდნენ საოცარ გამოქვაბულებს და ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწისქვეშა გასასვლელებს, რომლებიც სვან ალპინისტებსა და მონადირეებს შეექმნათ ამ ურთულეს პირობებში. კლდის ღრმა ჯურღმულებში განთავსებულ ჯარისკაცთა საცხოვრებელს, იარაღისა და სურსათის შესანახ საწყობებს რომ ათვალიერებდა, სარდალი ლესელიძე აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თუ როგორ და რა ძალამ შეძლო ამ სამუშაოს შესრულება ჭიუხების სიღმეებში.** ერთობ კმაყოფილმა და ამაყმა სარდალმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეს უნიკალური თავშესაფარი შექმნა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ხალხი მალე გაათავისუფლებდა კავკასიას ჰიტლერელებისაგან.

1943 წლის 7 მარტს ლავრენტი ბერია კვლავ ჩავიდა კავკასიონზე და მარტის ბოლომდე დარჩა ფრონტზე. მისივე ინიციატივით, სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას მე-18 არმიის სარდლად კონსტანტინე ლესელიძის დანიშვნის თაობაზე.

ჰიტლერი კავკასიონის დატოვებას არ აპირებდა. „ბლაუ III" ზესაიდუმლო ოპერაციად ითვლებოდა, სადაც ეწერა, — რადაც უნდა დაჯდომოდათ, გადაელახათ კავკასიონი და გაჭრილიყვნენ ბაქოს მიმართულებით. „კავკასიის ნავთობის გარეშე ომს ვერ მოვიგებთ!" — ისტერიკულად გაჰკიოდა ფიურერი. კავკასიისკენ დაიძრა სიკვდილის მანქანა. კავკასიისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო. 5 დღის შემდეგ კი, 1942 წლის 28 ივლისს, სტალინმა გამოსცა ბრძანება № 227, რომლის ანალოგი არ მოიძებნება მსოფლიო ომების ისტორიაში. სტალინმა ბრძანებაში მიუთითა: „ჩვენ არ გვაქვს უსაზღვრო რესურსი ჯარისა და ხალხის გამოკვებისა, ჩვენ არ გვაქვს ტერიტორია, რომელსაც საზღვარი არ აქვს, ჩვენი ჯარები პოზიციურად იხევდნენ უკან, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა, ჩვენი ხალხი — **არც ერთი ნაბიჯი უკან!"**

1. 1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე.
2. 1942 წლის 28 ივლისის სტალინის ბრძანება № 227.
3. 1943 წლის სტალინგრადის ბრძოლა.
4. 1945 წლის ბერლინის ოპერაცია.

ზემოაღნიშნული მოვლენები სტალინური გენიის ნაყოფია, რომლებიც შესულია მსოფლიო ომების ისტორიაში, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.




**ყურადღება!**

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

კლიმატური აფერა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ სილიკონის მაფია ინტერნეტს არ გაასუფთავებს ამ სკანდალთან დაკავშირებული ინფორმაციისგან, შეგიძლიათ ნახოთ ჯონ კოსტელას კვლევა THE CLIMATEGATE EMAILS-ი. ამას გარდა, არის რამდენიმე ავტორიტეტული რესურსი, რომლებიც, მრავალი წელია, ამხელს ტყუილს სახელწოდებით „კლიმატური კატასტროფა“. ეს რესურსებია: CLIMATE AUDIT-ი და WATTS UP WITH THAT-ი.**

# კლიმატგეიტი

## კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმება საუკუნის აფერაა

**ინტერნეტისა და სოციალური ქსელების ფართოდ გავრცელების საუკუნეში ადვილია ადამიანის დარწმუნება ნებისმიერ საკითხში. თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გლობალურმა ელიტამ მსოფლიო ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო რომის კლუბის მოხსენებაში, რომელიც გამყარებული იყო „პოსტინდუსტრიული საზოგადოებრიობის“ თეორიით და წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გათვლებში. მათგან ერთ-ერთია მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, შინამეურნეობების მიერ ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა აირების გამოყოფით შექმნილი სათბურის ეფექტის შედეგად გამოწვეული გლობალური დათბობის დოქტრინა.**

1970-იანი წლების დასაწყისში სათბურის ეფექტზე მსჯელობას ჰიპოთეზის სტატუსი ჰქონდა. ის არსებობდა საწინააღმდეგო ჰიპოთეზასთან — პლანეტაზე გამყინვარების დაწყებასთან — ერთად. იმართებოდა სამეცნიერო დისკუსიები დედამიწის ბიოსფეროში მიმდინარე პროცესების, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების უკეთ გასაგებად.

1980-იან წლებში ასეთი დისკუსიები უკვე იშვიათი იყო. გაუგებარი მიზეზებით წინა პლანზე წამოიწია სათბურის ეფექტისა და პლანეტაზე დათბობის პიჰოთეზამ.

**1980-იანი წლების ბოლოს ჰიპოთეზამ მიიღო „თეორიის“ სტატუსი, ხოლო პლანეტაზე კლიმატის დათბობა საზოგადოებრიობას მიაწოდეს, როგორც კლიმატური კატასტროფა. ახალი თეორიის მომხრეებს მხარში ამოუდგნენ მედიასაშუალებები და კინემატოგრაფი, რომელმაც ადამიანები აპოკალიფსური შინაარსის ფილმებით დაზაფრა.** როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, ეს იყო გრანდიოზული მოსამზადებელი სამუშაო გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე გაეროს კონფერენციისთვის, რომელიც 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა. ამ კონფერენციაზე მიიღეს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილებებზე; ანთროპოგენური და ტექნოლოგიური მოღვაწეობის შედეგად გამოწვეული კლიმატის დათბობა და კლიმატური კატასტროფა აღიქმებოდა, როგორც აქსიომა.

შემდეგ გაერომ რიო-დე-ჟანეიროში მიღებული საგზაო რუკის მიხედვით იმოქმედა: **1997 წელს შეიმუშავეს და ხელმოსაწერად გაამზადეს კიოტოს პროტოკოლი, რომელიც ითვალისწინებდა ატმოსფეროში CO2-ის გამოყოფის კონკრეტულ კვოტებს და ქვეყნისთვის განსაზღვრავდა გამოყოფის დადგენილ დონეზე გასვლის ვადებს.**

**„კლიმატური დათბობის წინააღმდეგ“ ბრძოლა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კლიმატის შესახებ 2015 წლის დეკემბერში გამართული პარიზის კონფერენცია, რომელშიც 200 სახელმწიფოს დელეგატები მონაწილეობდნენ. კონფერენციის შედეგი იყო შეთანხმება კლიმატის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა 21-ე საუკუნის შუა წლებში მავნე აირების გამონაბოლქვების შემცირებას ნულოვან დონემდე.** თუმცა, იმხანად აშშ-ის (ექსპერტთა შეფასებით, CO2-ის გამონაბოლქვის 1/5 ამ ქვეყანაზე მოდის) ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **დონალდმა ტრამპმა** განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არ მიიღებდა მონაწილეობას პარიზის შეთანხმებაში. აი **ჯო ბაიდენმა** კი თეთრ სახლში შესვლიდან მეორე დღესვე განაცხადა, რომ ამერიკა დაბრუნდება პარიზის შეთანხმებაში. მან ყველას მიანიშნა, რომ **აშშ მზად არის, სათავეში ჩაუდგეს კლიმატურ კატასტროფასთან ბრძოლის მსოფლიო მოძრაობას,** მაგრამ შეიქმნა უხერხულობა: **თებერვალში ტეხასსა და კიდევ რამდენიმე შტატში ისეთი ყინვები დაიწყო, რომლის მსგავსიც ათეული წლების განმავლობაში არ ყოფილა. დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი გაყინვის გამო, რამდენიმე ათასს კი ჯანმრთელობა დაუზიანდა. ელექტროენერგიის გარეშე დარჩა 4 მლნ ამერიკელი.**

თებერვალშივე კვლავ ამოტივტივდა თეორიები და ჰიპოთეზები, რომელთა მიხედვით დედამიწაზე ხანგრძლივი აცივება დაიწყება. **ამერიკაში, მიუხედავად მეცნიერებაზე დაწესებული დიქტატისა, საკმაოდ ბევრი მეცნიერი უარყოფს დათბობის შესახებ თეორიას. ამ თეორიას წლების განმავლობაში ებრძოდა აშშ-ის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი ფრედერიკ ზეიტცი; სიცრუის საწინააღმდეგო პეტიციას ხელი მოაწერა 17-მა ათასმა (!) ამერიკელმა მეცნიერმა.** ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, **ანდრეი კაპიცას,** ინტერვიუში: „გლობალური დათბობა და ოზონის ხვრელები — არამეცნიერული მითები“. **აკადემიკოსი კაპიცა, ისევე როგორც ზეიტცი და ათასობით სხვა მეცნიერი, ამბობს, რომ კიოტოს პროტოკოლი და პარიზის შეთანხმება არის მსოფლიო ოლიგარქიის ინტერესების სასარგებლო აფერა და ამ დოკუმენტის უკან მდგარი ტენდენციები — „კაცობრიობის საფრთხე და მისი მომავლისთვის მძიმე დარტყმა“ — სიცრუეა.**

ამასთანავე, ციფრულ სივრცეში ანადგურებენ ნებისმი-




**ამერიკაში, მიუხედავად მეცნიერებაზე დაწესებული დიქტატისა, საკმაოდ ბევრი მეცნიერი უარყოფს დათბობის შესახებ თეორიას. ამ თეორიას წლების განმავლობაში ებრძოდა აშშ-ის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი ფრედერიკ ზეიტცი; სიცრუის საწინააღმდეგო პეტიციას ხელი მოაწერა 17-მა ათასმა (!) ამერიკელმა მეცნიერმა**




ერ ინფორმაციას, რომელსაც ეჭვი შეაქვს კლიმატური დათბობის დოგმაში. აი ამის დამადასტურებელი ერთი სკანდალური მოვლენა, რომელიც 10 წლის წინათ მოხდა და რომელსაც კლიმატგეიტი (Climategate) შეარქვეს. სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის კლიმატოლოგიის განყოფილება (Climatic Research Unit. CRU), რომელიც გაეროსთან არსებული კლიმატური ცვლილებების ექსპერტების მთავრობათშორისი ჯგუფისთვის კლიმატური ინფორმაციის 3 ძირითადი მიმწოდებლიდან ერთ-ერთია.

**2009 წლის ნოემბერში უცნობმა პირებმა ინტერნეტის მეშვეობით გაავრცელეს საარქივო ფაილი, რომელიც შეიცავდა ზემოაღნიშნული კლიმატოლოგიის განყოფილებიდან მოპარულ ინფორმაციას. ამ ინფორმაციას გაეცნენ ანთროპოგენური დათბობის კრიტიკოსები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საწყისი მონაცემები ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ თეორიას, თუმცა ზოგიერთი მონაცემი დაფარული იყო, ზოგი — დამახინჯებული.**

გამომზეურდა „საჭირო“ ინფორმაციის მომზადების სამზარეულო. მაგალითად, 1999 წლის 16 ნოემბერს კლიმატოლოგიის განყოფილების დირექტორი **ფილ ჯონსი** წერდა: „მე ახლახან გამოვიყენე მაიკის ტრიუკი ჟურნალიდან Nature და მონაცემების თითოეულ რიგს დავუმატე ნამდვილი ტემპერატურები... რათა დამემალა ტემპერატურის დაცემა“. 2003 წლის 11 მარტს ჯონსი საჯაროდ დაემუქრა ჟურნალ Climate Research-ის რედაქტორს. **ჯონსის გაღიზიანება გამოიწვია იმან, რომ გამოცემა თავის ფურცლებზე ბეჭდავდა სპეციალისტების ალტერნატიულ მოსაზრებებს. გამოვლინდა განყოფილების თანამშრომელთა კავშირები მათთან, ვინც სხვა ქვეყნებში დაკავებულია „დათბობის თეორიის“ კონსტრუირებით. გაირკვა, რომ ეს არის ფართო საერთაშორისო ქსელი. დათბობის თეორიის მომხრეები მიისწრაფვოდნენ, მაგალითად, შეემცირებინათ შუა საუკუნეების დედამიწის ტემპერატურის მონაცემები, რათა თანამედროვე ტემპერატურა წარმოეჩინათ, როგორც უპრეცედენტოდ მაღალი.** კლიმატოლოგიის განყოფილების გარშემო ათასზე მეტი შემოწმება ჩატარდა, მაგრამ ყველას ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

2011 წელს კი მოხდა მეორე ინციდენტი — ინტერნეტში გავრცელდა ე.წ. ფაილი FOIA 2011, რომელიც 5000 წერილს შეიცავდა. ეს წერილები გამოქვეყნდა ვებგვერდ Sinwt.ru-ზე. ამჯერად შემოწმება თითქმის არ ყოფილა, კლიმატოლოგიის განყოფილების მავნებლობა დაუსჯელი დარჩა და CRU-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კლიმატის შესახებ პარიზის კონფერენციის მომზადებაში. **სანამ სილიკონის მაფია ინტერნეტს არ გაასუფთავებს ამ სკანდალთან დაკავშირებული ინფორმაციისგან, შეგიძლიათ ნახოთ ჯონ კოსტელას კვლევა The Climategate Emails-ი. ამას გარდა, არის რამდენიმე ავტორიტეტული რესურსი, რომლებიც, მრავალი წელია, ამხელს ტყუილს სახელწოდებით „კლიმატური კატასტროფა“. ეს რესურსებია: Climate Audit-ი და Watts up with That-ი.**

**P.S.** საინტერესო ფაქტი: **დონალდ ტრამპის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ის კლიმატური დათბობის თეორიის მომხრე იყო, სანამ კლიმატგეიტის მასალებს გაეცნობოდა (2010 წ.). ამის შემდეგ მისი პოზიცია კლიმატის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. ის აღარ ენდობოდა ამ საკითხზე ოფიციალურ თვალსაზრისს და თეთრ სახლში შესვლის შემდეგ განაცხადა, რომ აშშ გამოვიდოდა პარიზის შეთანხმებიდან.**

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

1946 წლამდე დაბადებულთა შორის ლგბტ თემს თავს მიაკუთვნებდა მხოლოდ 1,3%, 1946-1964 წლებში დაბადებულთაგან — 2%; 1964-1980 წლებში დაბადებულთაგან სექსუმცირესობის წარმომადგენელია 3,8%, 1981-1996 წლებში დაბადებულთა შორის — 9,1%, ხოლო 1996-2002 წლების თაობაში — 15,9%; გამოდის, რომ ყოველი ახალგაზრდა ამერიკელი თავს ჰომოსექსუალად, ლესბოსელად, ტრანსგენდერად ან ბისექსუალად მიიჩნევს.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ში ზომბისექსუალებმა გაიმარჯვეს

## რა ელის მსოფლიოს?

**მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები, უკვე რამდენიმე დღეა, ცდილობენ, გააანალიზონ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქეთა შორის ჩატარებული კვლევების შედეგები სექსუალურ ორიენტაციაზე.**



მათთვის, ვისაც თვალყური არ უდევნებია: **Gallup-მა აშშ-ში და Ipsos-მა ბრიტანეთში სინქრონულად ჩაატარეს გამოკითხვა და გაირკვა, რომ რაოდენობა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც თავს ლგბტ თემს მიაკუთვნებენ, მკვეთრად მოიმატა.**

**Gallup**-ი იუწყება: ჯერ კიდევ 2012 წელს იმ ამერიკელების პროცენტული რაოდენობა, რომელიც თავს ლგბტ თემის წარმომადგენლად მიიჩნევდა, 3,5%-ს შეადგენდა, 2021 წლის დასაწყისში კი ამ მაჩვენებელმა 5,6%-ს მიაღწია — 1,5-ჯერ მოიმატა.

ალსანიშნავია, რომ **1946 წლამდე დაბადებულთა შორის ლგბტ თემს თავს მიაკუთვნებდან მხოლოდ 1,3%, 1946-1964 წლებში დაბადებულთა შორის — 2%; 1964-1980 წლებში დაბადებულთაგან სექსუმცირესობის წარმომადგენელია 3,8%, 1981-1996 წლებში დაბადებულთა შორის — 9,1%, ხოლო 1996-2002 წლების თაობას შორის — 15,9%; გამოდის, რომ ყოველი ახალგაზრდა ამერიკელი თავს ჰომოსექსუალად, ლესბოსელად, ტრანსგენდერად ან ბისექსუალად მიიჩნევს.**

თუმცა დიდმა ბრიტანეთმა გაუსწრო აშშ-ს. როგორც მასმედია იუწყება Ipsos-ზე დაყრდნობით, **18-დან 24 წლამდე ბრიტანელების 50% ამბობს, რომ „განიცდის სექსუალურ ლტოლვას მხოლოდ თავისი სქესის წარმომადგენელთა მიმართ". ამ ფაქტის კომენტირებისას სპეციალურად გაწვრთნილი ექსპერტები მიესალმებიან მასებში „სექსუალური იდენტურობისკენ ბიძგს".** მაგალითად, ტრენტის უნივერსიტეტის (კანადა) სექსუალური ორიენტაციის ფსიქოლოგიის ექსპერტი **კარენ ბლერი** ასე ლაპარაკობს ლგბტ პირების მომრავლებაზე: **„თითოეული შემდგომი თაობა სულ ჰეტეროსექსუალობის მიმართ სულ უფრო ნაკლებ წნეხსა და იძულებას განიცდის"** (ვიღაცამ შეიძლება ის მიკერძოებაში დაადანაშაულოს ლგბტ თემის კუთვნილების მიზეზით, მაგრამ ამას საჯაროდ თქმის გამო ამ ვიღაცას ჰომოფობის იარლიყს მიაწებებენ, დაბლოკავენ სოციალურ ქსელებში და სამსახურიდან გააგდებენ).

სხვათა შორის, **დასავლურ წამყვან მეინსტრიმულ მედიასაშუალებებში კითხვაც არ დაუსვამთ — ბევრი ხომ არ არის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისკენ გადახრის შემთხვევა? ან — როგორ აისახება ეს შობადობის ისედაც კატასტროფულ დემოლგრაფიულ დონეზე და ხომ არ დააჩქარებს მკვიდრი მოსახლეობის დეპოპულაციას? თუმცა ასეთი კითხვების დასმის გამო ნებისმიერს გააგდებდნენ სამსახურიდან.**

აქ აღსანიშნავია ერთი რამ: **დასავლური მედია ლგბტ პირების უფლებების დაცვაზე ლაპარაკობდა და ამბობდა, რომ არანაირი გეიპროპაგანდა არ მიმდინარეობდა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წელიწადი და დასავლელი ახალგაზრდების თითქმის ნახევარი ჰომოსექსუალად, ლესბოსელად და ტრანსგენდერად იქცა. მასების ცნობიერებაში იმის ჩანერგვას, რომ ჰომოსექსუალიზმი ცუდი არ არის და გეი უნდა იყო, სულ რამდენიმე წელიწადი დასჭირდა. მომავალში კი ახალგაზრდების ცნობიერებაზე შეტევა კიდევ უფრო გაძლიერდება და გამკაცრდება.**

საქმე ის არის, რომ ამერიკაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებში ტრაგიკომიკური ნიუანსი გამოვლინდა: **მოზარდი ამერიკელების დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც თავი ლგბტ თემს მიაკუთვნეს, „უმცირესობის იდენტურობის" განსაზღვრისას ბისექსუალურობა აირჩია. ეს, შეგახსენებთ, არის ლტოლვა, როგორც საკუთარი, ისე საწინააღმდეგო სქესის მიმართ.** ეს, აგრეთვე, არის, თუ ასე შეიძლება ითქვას, სექსუმცირესობის ყველაზე ლიბერალური ფორმა, რომელიც გოგონებს „უფლებას აძლევს", უყვარდეს ბიჭები და პირიქით. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ამ „ბისექსუალების" უმრავლესობა აღიარებს, რომ მოცემულ მომენტში აქვს ჰეტეროსექსუალური ურთიერთობა (33%) ან საერთოდ არ აქვს, ნებაყოფლობით თუ იძულებით, არანაირი ურთიერთობა (55,5%). თავისი სქესის წარმომადგენელს კი ხვდება 3,7% (ეს დაახლოებით ისეთივე მაჩვენებელია, როგორიც იყო XX საუკუნეში).

**Gallup-მა აშშ-ში და Ipsos-მა ბრიტანეთში სინქრონულად ჩაატარეს გამოკითხვა. გაირკვა, რომ რაოდენობამ იმ მოქალაქეებისა, რომლებიც თავს ლგბტ თემს მიაკუთვნებენ, მკვეთრად მოიმატა**



მარტივად რომ ვთქვათ, **მოზარდებზე თავბრუდამხვევმა და გაშმაგებულმა ლგბტ აგიტპროპაგანდამ გეებად და ლესბოსელებად ბევრი, ასე ვთქვათ, ვერ „გადააფორმატა", ვერც სქესის გადაკეთებისკენ უბიძგა ბევრს, მაგრამ მიაღწია ახალგაზრდების ცნობიერებაში იმის ჩანერგვას, რომ ბიოლოგიურად ნორმალურობა „მთავარი არ არის".**

თუ შენ ნორმალური და ჩვეულებრივი ხარ, „ლაიკს" არ დაგიწერენ; სკოლაში შენზე არ იზრუნებს ფსიქოლოგი და ადმინისტრაცია; არ მიგიწვევენ კონფერენციაზე შენი უფლებების დაცვის საკითხებზე; სკოლაში შენს ნაცვლად აირჩევენ რომელიღაც „მრავალფეროვანს"; იქნები ყველასთვის უინტერესო და ყოველგვარი „სოციალური პრივილეგიის" გარეშე. და, რა თქმა უნდა, **მანტრა — ეს იმიტომ, რომ მე უჩვეულო სექსუალური იდენტურობა მაქვს — კარგად მუშაობს იმის მიზეზად, რომ არ ჩაერთო ნორმალურ ადამიანურ სასიყვარულო-ოჯახურ ურთიერთობაში. ურთიერთობის აშენება-აწყობა ხომ ყოველთვის შრომაა, თუ გნებავთ — საკუთარ თავზე მუშაობა მოწინავე სექსიდენტურობა კი მოზარდებს განუმარტავს, რომ საკუთარ თავზე მუშაობა არათუ საჭირო არ არის, არამედ არ შეიძლება; ეს მომწამვლელი გარემოცვის მხრიდან „ჰეტეროსექსუალობის იძულებაა".**

ამრიგად, **რეალური ორიენტაცია, რომელსაც ნერგავენ მოწინავე ქვეყნებში — ეს არის, ასე თქვთ, „ზომბისექსუალობა": ახალგაზრდებმა გაარკვიეს, რომ საწინააღმდეგო სქესის მოწონებისკენ სწრაფვა „მაგარი არ არის".**

**მოაღწევს კი ზომბისექსუალიზმის ტალღა ჩვენამდე — ტრადიციული ფასეულობების მიმდევარ ქვეყნებამდე? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს. ზომბისექსუალიზმი ნაწილობრივ ჩვენთან უკვე არის, ჩვენი თანამოქალაქეები ახლა უფრო ცუდად ეგუებიან ერთმანეთს, ვიდრე 100 წლის წინათ, მაგრამ ისეთ ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მით უმეტეს — რუსეთი, ეს ძალიან რთული საქმე იქნება**

ამიტომ მოზარდების ნაწილი, რომელიც ყოველგვარ ზღვარს გადადის, ველარ სწავლობს, როგორ უნდა იყოს მამაკაცი და ქალი პრაქტიკული თვალსაზრისით.

ამრიგად, **აშკარაა, სახელდობრ, ზომბისექსუალიზაცია — სექსუალურად მომზადებული ბიოლოგიურად ნორმალური ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების გადაქცევა, მყარი სოციალური კავშირების შექმნის თვალსაზრისით, უფუნქციო მარტოხელა ერთეულებად.**

რატომ უჭერენ მხარს დიდძალი ფულით ამ ნებისმიერი საზოგადოებისთვის თვითგანადგურების მექანიზმს, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ დიდძალ ფულს თავისი მიზნები დაფარული აქვს. აქ საკმარისია, გავიხსენოთ, რომ პლანეტის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი, „მაიკროსოფტის" დამფუძნებელი **ბილ გეიტსი**, მეუღლე **მელინდასთან** ერთად, აქტიურად აფინანსებს ქალთა ჯანმრთელობის პროგრამებს ღარიბ ქვეყნებში (ამ პროგრამებს კრიტიკოსები „მოსახლეობაზე კონტროლის დაწესების პროგრამას" უწოდებენ). მასვე ეკუთვნის ცნობილი ციტატა, რომელიც 2010 წელს კლიმატის შესახებ კონფერენციაზე წარმოთქვა: **„ამჟამად მსოფლიოში 6,5 მილიარდი ადამიანია. მოსახლეობამ შეიძლება 9 მილიარდამდე მოიმატოს. თუ შევძლებთ ახალი ვაქცინების დამზადებას რეპროდუქციული ჯანდაცვის სფეროში, მაშინ ჩვენ შევძლებთ მის შემცირებას 10-15%-ით** (სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ აქ სიტყვა ვაქცინაში გეიტსი გულისხმობდა სიკვდილიანობასა და ავადობის შემცირებასთან ერთად ღარიბ ქვეყნებში კონტრაცეფციის გავრცელებას, რათა მოსახლეობა სწრაფად არ გამრავლდეს).

აშკარაა, რომ **დიდძალი ფულის მქონეთა თვალსაზრისით, ამჟამად მოსახლეობის რაოდენობა ძალიან ბევრია, ამიტომ ნებისმიერი აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც ხელს შეუწყობს კაცობრიობის აღწარმოების შეჩერებას, კეთილ საქმედ მიაჩნიათ. ამიტომ წამყვან ქვეყნებში დეპოპულაციისა და დაბერების პრობლემებს (რამდენიმე ქვეყანაში ეს პრობლემა ემიგრანტების შეყვანით გვარდება) მედია გაცილებით ნაკლებ (ან საერთოდ არ უთმობს) ყურადღებას უთმობს, ვიდრე, მაგალითად, ე.წ. გლობალურ დათბობას.**

აქ ჩნდება კითხვა — მოაღწევს კი ზომბისექსუალიზმის ტალღა ჩვენამდე — ტრადიციული ფასეულობების მიმდევარ ქვეყნებამდე? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არ არსებობს. ზომბისექსუალიზმი ნაწილობრივ ჩვენთან უკვე არის, ჩვენი თანამოქალაქეები ახლა უფრო ცუდად ეგუებიან ერთმანეთს, ვიდრე 100 წლის წინათ, მაგრამ ისეთ ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მით უმეტეს — რუსეთი, ეს ძალიან რთული საქმე იქნება.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კედმი დარწმუნებით აცხადებს, რომ აშშ-ში „კაპიტალი ყიდულობს ძალაუფლებას“, რომ, „თუ ამ თავგასულ ოლიგარქებს „ადგილზე არ მოსვამენ“, ისინი თავიანთ სახელმწიფოს სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებენ“.**

# დიქტატურად გარდაქმნილი აშშ და საქართველოს პრობლემები

**ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობა იმ დონემდე მწვავდება, რომ დაპირისპირებამ შეიძლება შეიარაღებული აფეთქება გამოიწვიოს. დედამიწის გულში მიმდინარე დუღილს ჰგავს, რომელიც დროდადრო მიწისძვრას იწვევს და ვულკანურ ლავად გადმოიღვრება. მსოფლიოსთვის თავსმოხვეული მითი აშშ-ის დემოკრატიულობის, კანონიერების უზენაესობისა და სამართლიანობის შესახებ დაიმსხვრა და ისღა დარჩენიათ, რომ ეს ნაძრახი დასასრული ოფიციალურ ფორმალობად გააფორმონ.**

ასე განსჯის კრიტიკულად განწყობილი ანალიტიკოსების არცთუ მცირე რაოდენობა, რადგან, მათი აზრით, **ბაიდენის, ჰარისის, პილოსის, კლინტონის** ჯგუფს სწორედ ასეთი პერსპექტივისკენ მიჰყავს შეერთებული შტატები; მიიჩნევენ, რომ იქაური დემოკრატია ურყევია და მათი ფასეულობები განხილვას არ ექვემდებარება. ხოლო ის კრიტიკოსები, რომლებიც ამ აქსიომას არ ეთანხმებიან, უნდა განიდევნონ ქვეყნიდან და მოისპონ ისევე, როგორც შუა საუკუნეებში დევნილი მწვალებლები.

**კერპთაყვანისმცემლების დღეს გავრცელებული ვარიანტის პოზიციაა — აშშ დემოკრატიის კერპია, ამ „ახალი რელიგიის“ მიმდევარი წვრილფეხობა კი — ალაგ-ალაგ ჩადგმული სააკაშვილის რეჟიმის მსგავსი შუქურები.**

**პოლიტმეტაფორა!**

მაგრამ ისეთი გამოცდილი ანალიტიკოსისთვის, როგორიც ჩვენი მკითხველებისთვის კარგად ნაცნობი **იაკობ კედმია**, პრობლემა გაცილებით ღრმაა და სერიოზული. პერსონიფიცირება პრობლემის ჭეშმარიტ არსს ვერ აგვიხსნის.

**ტრამპი აშშ-ის პრობლემა არ არის. ტრამპი მისი სიმპტომია, — აცხადებს კედმი. ბაიდენი, პელოსი და მათი ამხანაგობაც არ არის აშშ-ის პრობლემა. ისინიც სიმპტომებია. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ პრობლემა არის ის სისტემა, რომელზეც იდგა აშშ და რომელიც ჩამონგრევისგან იცავდა მას, ამიტომ იყო, რომ ისეთმა ადამიანმა, როგორიც ტრამპია, შეძლო ხელისუფლების სათავეში მოსვლა — ამერიკელების ნახევარმა ხმა მას მისცა.**

დღეს ისეთი შემთხვევითი და ტირაჟიდან გასული მოღვაწეც კი, როგორიც ბაიდენია, თეთრ სახლში არის დამკვიდრებული. ეს იმავე მოვლენის შედეგია — ამერიკული ცხოვრების წესისა და ხელისუფლების საფუძვლების მსხვრევის შედეგი. გაცხადდა, რომ ეს საძირკველი გაცილებით მყიფე და სუსტი ყოფილა, ვიდრე აქამდე საყოველთაოდ იყო აღიარებული.

ამჟამად ცდილობენ, დაამყარონ ქსელების ძალაუფლება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ობობას მსოფლიო ქსელს, მაგრამ ქსელების ეს გიგანტი კომპანიები, რომლებიც თავიანთი მსხვერპლის სისხლსა სწოვენ, არ არიან სიცოცხლისუნარიანი, რადგან არ ძალუძთ ქვეყნის, ძალაუფლების, მსოფლიოს მართვა: ხელისუფლება და სახელმწიფო უძველესი, უმყარესი ცნებებია, ხოლო **კლინტონი, ბუში, ტრამპი, ბაიდენი** და სხვანი კერძო შემთხვევებია, ანუ, როგორც კედმი ამბობს, მხოლოდ სიმპტომები.

## მრავალფეროვანი ამერიკა: ნაციზმისკენ გადახრის საშიშროება?

სენატორები (ერთ-ერთი ქალბატონი) ჰიტლერის ციტირებას არ ერიდებიან: **„ჰიტლერი მართალი იყო, როცა აცხადებდა, რომ მომავალი მისია, ვისაც ახალგაზრდობა გაჰყვება“.**

ბაიდენი აცხადებს: **„დრეზდენი რომ დავბომბეთ, მაშინ იქ სულ 25 ათასი ადამიანი დაიღუპა. გებელსმა კი თქვა, 250 ათასიო“.**

**შვარცენეგერმა** (კალიფორნიის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა) **კაპიტოლიუმში მომხდარი არეულობა შეადარა „ბროლის ღამეს“, როცა ნაცისტურ გერმანიაში 1938 წლის 10 ნოემბერს ებრაელთა მასობრივი „პოგრომი“ გაიმართა.**

ფაშისტური გამოცდილების დამოწმება, რომელიც თუნდაც ერთი კვირის განმავლობაში იყო კონცენტრირებული შტატების პოლიტიკურ ოლიმპზე, კედმის აზრით, შემთხვევითი არ არის და ამერიკის ფეხზე წამოყენების ახალი გზის პუნქტირით მონიშნული მიმართულების მაჩვენებელს ჰგავს.

ამ დასკვნას „აშშ-ის ახალი, პროგრესული, სუპერდემოკრატიული პრეზიდენტის“ მიერ სამოქალაქო უფლებების დაცვის საკითხებში თანაშემწედ აფროამერიკელი ქალბატონის დანიშვნაც ადასტურებს.

**„მან (ამ ქალბატონმა), მგონი, 1990-იან წლებში გამოაქვეყნა ნაშრომი,** — იხსენებს იაკობ კედმი, — **რომელშიც ასაბუთებდა (გენიალური მტკიცებაა!), რომ თურმე თეთრი რასის ადამიანებს აკლიათ გარკვეული ელემენტები და ამიტომ არ არიან სრულფასოვანნი და არ შეუძლიათ, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, არ გააჩნიათ მართვის უნარი... და ამ დიდმოხელემ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები! ნაცისტური იდეის უფრო ზუსტი გამოხატვა ძნელი წარმოსადგენია!“**



იაკობ კედმი

**იმის იმედად ყოფნა, რომ აშშ-ის მოქმედება ყოველთვის სასარგებლო იქნება, ვთქვათ, ისრაელისთვის, საუდის არაბეთისთვის, ტაივანისთვის, გერმანიისთვის, იქ, სადაც შეერთებული შტატების გავლენა ძალიან ძლიერი იყო, დღეს კი, როცა მისი ჰეგემონია და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი მსოფლიო ასპარეზზე წლიდან წლამდე მცირდება, ამ იმედით ცხოვრება უაზრობაა. ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად თავიანთი სიმპათიებისა, სურს თუ არა, მოუწევს გადახედოს აშშ-თან ურთიერთობას. საქართველოსაც მოუწევს, როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა**

კედმი არ მალავს, რომ კაპიტოლიუმში შეჭრილი ნაცისტური იდეის თაყვანისმცემლების ფოტოების გამოქვეყნება კი არ არის მთავარი (მათ ეცვათ მაისურები წარწერით „ექვსი მილიონი საკმარისი არ არის!“), არამედ ის, რომ **ამ მაისურებში გამოწყობილი ანტისემიტები თავისუფლად დადიოდნენ და დადიან შეერთებულ შტატებში, ნაცისტურ პარტიას იცავს ამერიკის კანონმდებლობა, ავრცელებს თავის პროპაგანდას. „ტრაგედია ის კი არ არის, რომ ისინი კაპიტოლიუმში მივიდნენ ტრამპის მხარდასაჭერად, არამედ ის, რომ ისინი არსებობენ შეერთებულ შტატებში“.**

ამერიკის ელიტამ მოიხსნა ნიღაბი და თავისი ჭეშმარიტი სახე დაგვანახვა. კედმი გულწრფელად აღშფოთებულია იმით, რომ დღევანდელ შტატებში დაუფარავად მოუწოდებენ, გააგზავნონ ტრამპის მომხრეთა შვილები ხელახლა აღსაზრდელად საგანგებო ბანაკებში; მოითხოვენ, არ შეუშვან „ტრამპისტები“ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გაყარონ დასაქმების ადგილებიდან, დაბლოკონ მათი ანგარიშები, მოუსპონ არსებობის საშუალება. და ეს ყველაფერი განახორციელონ ცრულიბერალების აპლოდისმენტების ფონზე, როცა ადამიანებს ართმევენ სიტყვის უფლებას, რომელიც შეიძლება არ მოეწონოს სოცქსელების მავან მაგნატს ან მაგნატებს საერთოდ. ისინი ცდილობენ, ინფორმაციების ნაკადი თავიანთ გემოვნებასა და შეხედულებებს შეუფარდონ იმის მიუხედავად, რომ თავად მხოლოდ ტექნიკური საშუალებების მფლობელები არიან და არავის აღუჭურვავს ცნობების კოორდინირების უფლებით, უკანონოდ რომ აქვთ მითვისებული.

უზურპატორები!

**ცენზურის უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფოს და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მაგრამ ხელისუფლება ამ ბიჭბუჭებს არათუ არ მოუწოდებს წესრიგის დაცვისკენ, არამედ აქეზებს!**

რადგან სახელმწიფო მილიარდერების ამ ჯგუფის, ფაშიზმის ნიშნების მქონე ჩრდილოვანი ჰეგემონიის მორჩილებაში აღმოჩნდა.

იქნებ, ეს არის „ლიბერალურ-დემოკრატიული ფაშიზმი“?

**კედმი დარწმუნებით აცხადებს, რომ აშშ-ში „კაპიტალი ყიდულობს ძალაუფლებას“, რომ, „თუ ამ თავგასულ ოლიგარქებს „ადგილზე არ მოსვამენ“, ისინი თავიანთ სახელმწიფოს სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებენ“.**

## დარჩება კი აშშ მსოფლიოს მმართველ ძალად?

ეს მნიშვნელოვანი საკითხი არც საქართველოსთვის არის მეორეხარისხოვანი, მით უფრო დღეს, როცა შტატებს მოვიხსენიებთ მხოლოდ, როგორც ჩვენს მეგობარ სახელმწიფოს და უპირველეს პარტნიორს, რომელზეც სისხლხორცეულად ვართ დამოკიდებული.

ფრიად საინტერესო და გასათვალისწინებელიც კი არის, მგონი, კედმის ობიექტური პოზიცია, რომელიც მან გამოთქვა „პლანეტა PTP“-ის პოლიტიკურ თოქშოუში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს:

— **ნებისმიერი ქვეყანა,** — **აღნიშნა მან,** — **რომელიც აშშ-ზე დამოკიდებული სახელმწიფოს როლში აღმოჩნდა, იძულებულია, დაფიქრდეს, რამდენად კონსტრუქციული იქნება ეს დამოკიდებულება და რამდენად უპასუხებს იგი მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს იმ ვითარებაში, როცა შეერთებული შტატები ახალ განზომილებაში გადავა. იმის იმედად ყოფნა, რომ აშშ-ის მოქმედება ყოველთვის სასარგებლო იქნება, ვთქვათ, ისრაელისთვის, საუდის არაბეთისთვის, ტაივანისთვის, გერმანიისთვის, იქ, სადაც შეერთებული შტატების გავლენა ძალიან ძლიერი იყო, დღეს კი, როცა მისი ჰეგემონია და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი მსოფლიო ასპარეზზე წლიდან წლამდე მცირდება, ამ იმედით ცხოვრება უაზრობაა. ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად თავიანთი სიმპათიებისა, სურს თუ არა, მოუწევს, გადახედოს აშშ-თან ურთიერთობას.**

საქართველოსაც მოუწევს, როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯის გადადგმა.

ვნახოთ...

კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრა ტელეარხ „პლანეტა PTP“-ის თოქშოუში რამდენიმე ქვეყნის ჟურნალისტების ტრამპთან შეხვედრის მსვლელობისას: **ენის სიწმინდის დაცვის საკითხი, რომელიც დღევანდელი ქართული მედიასივრცის პრობლემად ჩამოგვიყალიბდა.**

კედმის შეუქეს რუსული ენის ფლობის მაღალი დონე. მან უპასუხა, რომ ეს მოსკოვის იმ სკოლის რუსული ენის პედაგოგის დამსახურებაა, რომელიც რუსულს ასწავლიდა. საბჭოთა კავშირში მასწავლებლები განსაკუთრებული პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი, განსხვავებით დღევანდელი უყურადღებობისგან. კედმის პედაგოგი იმდროინდელი უმაღლესი სახელმწიფო ორდენით იყო დაჯილდოვებული და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მასწავლებლის წოდება ჰქონდა მინიჭებული.

დღეს რა გვაქვს?

**დღეს უწიგნური პოლიტლიდერებისგან, რომლებიც გრაალის დონემდე აღვაზევეთ, ქართული ენის სიწმინდის ეფექტიანი (და არა ეფექტური) დაცვა გვჭირდება, უწინარეს ყოვლისა (და არა პირველ რიგში).**

ეს — მცირე ლირიკული გადახვევა კეთილგანწყობილი შენიშვნით...

ჭეშმარიტი და ალალმართალი დემოკრატია, როგორც ცნობილია, მხოლოდ ძველ საბერძნეთში არსებობდა. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ირჩევდნენ ადამიანებს, რომლებსაც აზროვნების უნარი ჰქონდათ, გამგებნი იყვნენ და განათლებულნი. ეს პრინციპი რომ უგულებელყვეს, დემოკრატიამ დაკარგა სიღრმისეული და ტრადიციული მნიშვნელობა. დემოკრატიამ ვერ დაიცვა საბერძნეთის სახელმწიფოებრიობა, ქალაქები.

— დემოკრატია ნიშნავს ერთი კაცის ერთ ხმას. აშშ-ში ერთი კაცი მილიონ ხმას რომ იყიდის, ესაა ვითომ დემოკრატია? — რიტორიკულ შეკითხვას სვამს კედმი და დასძენს, — **ქვეყანა, რომელშიც მხოლოდ დაბანდებული კაპიტალი განსაზღვრავს, ვინ იქნება არჩეული, შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს?! ქვეყანა, რომლის ამომრჩევლების ნახევარი პოლიტიკური თვალსაზრისით გაუნათლებელია, არ აქვს ის ცოდნა და ჩვევა, რომელიც მეორე** ▶

## საქართველო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე წარმოჩნდა, როგორც დამატებითი საცობი ამ მიმართულებაზე, ამერიკელები ამიტომ გვაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება გახსნის ამ გზას, ამიტომ ძალისხმევა, რომელიც ამიერკავკასიის ჩასაკეტად საქართველოზე დაიხარჯა, ქარს გატანებული აღმოჩნდა.

25-ე ბვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ნახევარს გააჩნია, თანასწორუფლებიანი ვერ იქნება**. სქემატურად არის დემოკრატიული, ხელოვნურია, ფორმალური. და ისეთ შედეგებს იმკის, რომელთა მოწმენიც ჩვენა ვართ.

ჩინეთში დემოკრატიაა, მაგრამ არა ამერიკული სტანდარტების. ჩინეთის სახელმწიფო ამერიკულზე უფრო ეფექტიანია. და ვითარდება, როგორც სახელმწიფო, ხოლო ამერიკის სახელმწიფო ვითარდება, როგორც მონოპოლია.

**დემოკრატია, რომელიც აშენებულია ფულისა და მოგების ინტერესების საძირკველზე, ვერ ემსახურება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რადგან ადამიანებს, რომლებიც მართავენ ამ დემოკრატიას და თამაშობენ დემოკრატიულობანას, ამოძრავებთ მხოლოდ პირადი გამორჩენის ინტერესები და არ შეუძლიათ ემსახურონ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებს. ამიტომ ეს სახელმწიფო ადრე თუ გვიან დასაღუპად არის განწირული, რისი თვითმხილველებიც დღეს ჩვენა ვართ.**

გადარჩებიან მხოლოდ ისინი, ვისაც ექნება ეფექტიანი სახელმწიფოებრიობა და უერთგულებს საერთო-ეროვნულ ინტერესებს. მონოპოლიები კი, რომლებიც მსოფლიო მონოპოლიებად ყალიბდება, სახელმწიფო ინტერესებს არად აგდებს, თრგუნავს, რასაც ამჟამად ევროპაში და აშშ-ში ვადევნებთ თვალს.

ამერიკის მსოფლიო ბატონობაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი წყლის ნაყვაა.

### როცა პრეზიდენტს ხმა ჩაუწყვიტეს

კედმისთან საუბრის დროს ლოგიკურად წამოიჭრა იმ დროს მოქმედი პრეზიდენტ ტრამპის ექაუნთების ბლოკირების თემა სოციალური ქსელების უმრავლესობაში, ფაქტი, რომელსაც, პრესის შეფასებით, ატომური ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა. როგორ და რა საშუალებით შეიძლება ამ ქსელების გაკონტროლება და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება სიტყვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით?

**ეს თემა ამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოში პირადი ცხოვრების ამსახველი ვითომდა განადგურებული ვიდეოჩანაწერების ტელესივრცეში მოულოდნელი, მაგრამ გამიზნული დემონსტრაციის გამო.**

ამ საკითხზე ლაპარაკი კედმიმ დაიწყო ისრაელის მაგალითის მოშველიებით და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ამ ქვეყანაში ისევე ჩაივლის, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, რადგან ისრაელის სახელმწიფო მსოფლიო თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილია:

— გაირკვა, რომ **სრულმა უკონტროლობამ და ანარქიამ ქსელურ სივრცეში დღევანდელ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ასეთი რამ ერთხელ უკვე მოხდა, როცა მონოპოლიების უსაზღვრო პარპაშის აღსაკვეთად საჭირო შეიქნა სახელმწიფო კონტროლის დაწესება მათ საქმიანობაზე და კანონიერების ჩარჩოებში მონოპოლიების, ასევე, ბეჭდვითი სიტყვის, საერთოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩასაყენებლად.**

კაცობრიობა ისწრაფვის შეიმუშაოს კანონიერების საფუძველზე დამყარებული რეგულატორები, რათა ქსელური კომპანიების, მით უფრო, მონოპოლიური კომპანიების საქმიანობამ არ შესძინოს მათ მფლობელებს უკიდეგანო, განუსაზღვრელი უფლებები.

ვიმეორებ: **ნებისმიერი ადამიანის უფლებების შეზღუდვა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს, მხოლოდ კანონიერების ჩარჩოებში და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სახელმწიფოს ადამიანის დაპატიმრების, სამართალში მიცემისა და ციხეში მოთავსების უფლება აქვს. სასჯელის მოხდის პერიოდში კი პატიმარს ხმის მიცემის უფლება ჩამორთმეული აქვს.**

და, საერთოდ, ადამიანის უფლებები რეგულირდება საერთო საკაცობრიო ან სახელმწიფოების კანონებით. ამ პრინციპს უნდა ემორჩილებოდეს საინფორმაციო პლატფორმების ქსელი, რომელიც თავისი არსით არის მხოლოდ ტექნიკური საშუალება და არა სახელმწიფო ინსტიტუტი, არ შეუძლია ჩაერიოს გადასაცემი ცნობების შინაარსში.

ქსელური სისტემების მიერ სიცრუის გავრცელება აუცილებლად უნდა შეიზღუდოს.

**აქვე უნდა აღვნიშნო, — ხაზგასმით აცხადებს იაკობ**

**ამერიკის ელიტამ მოიხსნა ნიღაბი და თავისი ჭეშმარიტი სახე დაგვანახვა. კედმი გულწრფელად აღშფოთებულია იმით, რომ დღევანდელ შტატებში დაუფარავად მოუწოდებენ, გაგზავნონ ტრამპის მომხრეთა შვილები ხელახლა აღსაზრდელად საგანგებო ბანაკებში; მოითხოვენ, არ შეუშვან «ტრამპისტები» საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გაყარონ დასაქმების ადგილებიდან, დაბლოკონ მათი ანგარიშები, მოუსპონ არსებობის საშუალება. და ეს ყველაფერი განახორციელონ ცრულიბერალების აპლოდისმენტების ფონზე, როცა ადამიანებს ართმევენ სიტყვის უფლებას, რომელიც შეიძლება არ მოეწონოს სოცქსელების მავან მაგნატს**



„ЗВЕЗДА С ЗВЕЗДОЮ ГОВОРИТ“

**«დემოკრატია ნიშნავს ერთი კაცის ერთ ხმას. აშშ-ში ერთი კაცი მილიონ ხმას რომ იყიდის, ესაა ვითომ დემოკრატია? ქვეყანა, რომელშიც მხოლოდ დაბანდებული კაპიტალი განსაზღვრავს, ვინ იქნება არჩეული, შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს?! ქვეყანა, რომლის ამომრჩევლების ნახევარი, პოლიტიკური თვალსაზრისით, გაუნათლებელია, არ აქვს ის ცოდნა და ჩვევა, რომელიც მეორე ნახევარს გააჩნია, თანასწორუფლებიანი ვერ იქნება»**



„ანტრე, ბატონებო, კაპიტოლიუმში!“

**კედმი, — ის, რისთვისაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება: „ისლამურმა სახელმწიფომ“ და სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ბევრ რამეს მიაღწიეს ქსელური კომპანიების მეოხებით. გამოიყენეს პლატფორმები ტერორისტული საქმიანობის გასავრცელებლად, მობილიზაციისთვის, კავშირის დასამყარებლად. ახლა მოუწევთ ამ პრობლემაზე კონცენტრირება.**

### ამიერკავკასია მსოფლიო ინტერესის კონტექსტში

ამ სტრიქონების ავტორი სხვა ქართველ ჟურნალისტებთან ერთად წლების წინათ ვაშუქებდით საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების — **ედუარდ შევარდნაძისა** და **ჰეიდარ ალიევის** ინიციატივას საქმიანი ურთიერთობის, ტრანზიტის, ვაჭრობის, ინვესტირების და ა.შ. თავისუფალ ზონად კავკასიის გადაქცევის შესახებ.

ეს თემა კვლავ დღის წესრიგში დადგა, ამჯერად რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივით. რა რისკების შემცველია აღნიშნული საკითხის შემობრუნება, რეგიონში სტაბილიზაციის დამყარების ეს იდეა რამ შეიძლება შეაფერხოს?

— ბევრს არ ესმის, ვერ გაურკვევია ამიერკავკასიის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, არ იცის, რატომ მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას აშშ და მისი მოკავშირენი სამხრეთ კავკასიის რეგიონს, — შენიშნავს კედმი.

მიზეზი ორია.

**პირველი** აშკარაა: რუსეთისა და პოსტსაბჭოთა სივრცის სამხრეთიდან შემოვლა; **მეორე** — უფრო ღრმა და არანაკლებ სერიოზული: აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ბოლო 30 წლის და, განსაკუთრებით, ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთის შეჩერებისკენ იყო და არის მიმართული. ევრაზიის სივრცის ერთი ნაწილი ჩინეთია, მეორე — ევროპა. ერთიან ეკონომიკურ სივრცედ მათი გარდაქმნისთვის არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროგრამა სახელწოდებით **„ერთი სარტყელი, ერთი გზა“**. ამ პროგრამის სამხრეთის მიმართულება კავკასიაზე გადის, ამიტომ იყო, რომ ამერიკელები ცდილობდნენ, შეექმნათ იქ ამერიკული ბაზა, რომელიც გადაუკეტავდა გზას ჩინეთიდან მომავალ პროდუქციას.

იმავეს ცდილობენ ამერიკელები ჩრდილოეთის საზღვაო ნაკადის მიმართ, იბრძვიან ევროპის დასაპყრობად, **ამიტომ აქვს დღეს რუსეთის ინიციატივას საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც ითვალისწინებს ამიერკავკასიის, როგორც შორეული აღმოსავლეთიდან ევროპაში მიმავალი მაგისტრალის, საკვანძო რეგიონის აღდგენასა და დამკვიდრებას.**

ერთი მცირე შენიშვნა: **საქართველო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე წარმოჩნდა, როგორც დამატებითი საცობი ამ მიმართულებაზე, ამიტომ გვაქცევდნენ ამერიკელები განსაკუთრებულ ყურადღებას. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება გახსნის ამ გზას, ამიტომ ძალისხმევა, რომელიც ამიერკავკასიის ჩასაკეტად საქართველოზე დაიხარჯა, ქარს გატანებული აღმოჩნდა.** ასეთია იაკობ კედმის ანალიტიკური დასკვნა.

ნიშნავს თუ არა ეს ახალი მოცემულობა, რომ აშშ-ის ინტერესი საქართველოს მიმართ განელდება, ამის თაობაზე საუბარი არ გაგრძელებულა, რაც ფრიად სამწუხაროა.

**ძველი აღმოსავლური სიბრძნის მიხედვით, ნებისმიერი საგანი, რომელიც თავისი განვითარების მაქსიმუმს მიაღწევს, საკუთარი არსის საწინააღმდეგო განზომილებაში გადადის.**

**გამონაკლისად დარჩენის უსაფუძვლო პერსპექტივა ხომ არ ელოდება საქართველოს?**

მიმოხილვა მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**დემოკრატია, რომელიც აშენებულია ფულისა და მოგების ინტერესების საძირკველზე, ვერ ემსახურება საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რადგან ადამიანებს, რომლებიც მართავენ ამ დემოკრატიას და თამაშობენ დემოკრატიულობანას, ამოძრავებთ მხოლოდ პირადი გამორჩენის ინტერესები და არ შეუძლიათ ემსახურონ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებს. ამიტომ ეს სახელმწიფო ადრე თუ გვიან დასაღუპად არის განწირული, რისი თვითმხილველებიც დღეს ჩვენა ვართ**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს რა ცეცხლში ჩავვარდიო, – ვიტყვით ხოლმე, როდესაც გაგვიჭირდება და არ ვიცით, როგორ ავიცილოთ თავიდან ჭირი. ამ „ცეცხლის“ წვას, დიდი ხანია, შეჩვეულია ჩვენი ხალხი, რომელსაც ეს „ცეცხლი“ ისტორიამ არაერთხელ დაუნთო. ვაჟა-ფშაველას თუ დავუჯერებთ, ამ „ცეცხლის გამჩაღებელი, გამაძლიერებელი ხალხი ეშმაკის გვერდისაგან ჩნდება“... ან კი რატომ არ უნდა დავუჯეროთ?! დღეს „ჩვენი ცეცხლი გაძლიერებულია და შეშად სულ უენო ხალხი უკეთია“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# როცა ხედავ, როგორ გაყრიან თვალში ნაცარს და მაინც თავს იტყუებ, დანწყევლილი ხარ, აბა, რა?!



„დაწყებულია სულიერი განწმენდა ადამიანისა“
(ილია მეორე)

**როდესაც ადამიანის სულს გაზაფხული დაუდგება, «იგი ყოველ თავის ძალ-ღონეს მიჰმართავს ერის სასიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება-სიცოცხლისთვის, რათა არსებობა თავისი ჰქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი, ჰფიქრობდეს თავისუფლად, აკეთებდეს იმას, რაც გულით სწადიან, ხოლო წადილი მისი უკვე ვიცით, როგორიც უნდა იყოს, — საითკენ მიმართული. იგი უნდა იყოს მუდამ დაუცხრომლად მოქმედი, როგორც თვით გაზაფხულია. ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა»**

**ეს რა ცეცხლში ჩავვარდიო, — ვიტყვით ხოლმე, როდესაც გაგვიჭირდება და არ ვიცით, როგორ ავიცილოთ თავიდან ჭირი. ამ „ცეცხლის“ წვას, დიდი ხანია, შეჩვეულია ჩვენი ხალხი, რომელსაც ეს „ცეცხლი“ ისტორიამ არაერთხელ დაუნთო. ვაჟა-ფშაველას თუ დავუჯერებთ, ამ „ცეცხლის გამჩაღებელი, გამაძლიერებელი ხალხი ეშმაკის გვერდისაგან ჩნდება“...**

**ან კი რატომ არ უნდა დავუჯეროთ?!**

**დღეს „ჩვენი ცეცხლი გაძლიერებულია და შეშად სულ უენო ხალხი უკეთია, იმას აქვს კიდევ განმასხვავებელი თვისება: იმას გარს შემორტყმია რაღაც საუცხოვო არსებანი – გასაგმირად დამშეულის შუბებით, როგორც იმათი მფლობელნი. ეს უცხო არსებანი, წვერ-პირ-გასისხლიანებულები, საუცხოვოდ კასკასებენ, დახტიან ავსტრალიელებივით ირგვლივ, სჩხვლეტენ და ზედ ნიშნის მოგებით დასძახიან ცეცხლში მოყოლილთ. ეს ტიტველა ხალხი იწურება სისხლით, უდგა ერთი ვაება, წივილ-კივილი, და იძახის: – გვიშველეთ, ღმერთი არავისა გწამთ! – მაგრამ ვინ არის მაშველი? ზეცა? იმასაც აღარ სცალიან, ქვეყნის ცოდვების ანგარიშს უნდება!“ („ჭრელი ამბები“, 1882წ.) აი ზუსტად ასეთია დღეს ჩვენი ცხოვრება.**

**და, საერთოდ, რა არის ცხოვრება?**

**„რას მომაგონებს ცხოვრება? საზოგადოდ, ყველანი ცხოვრებას ზღვას ამსგავსებენ. ვის არ გაუგონია, რომ ერთი მეორეს ჰკითხავდეს: „ცხოვრების ტალღებმა ხომ არ გაგიტაცეს, შეგმუსრესო?“ მე ცხოვრება ზღვას არ მომაგონებს, არამედ კუზიანს ბრმას, ჯოხზე დაბჯენილს მთხოვარა ბებერს, რომლისთვისაც ხელი-ხელში ჩაუჭიდნია ბალღს და ატარებს კარი-კარს: „გაიკითხეთ ღვთის გულისთვის ბრმა უსინათლო“ („ქვეყანაზედ რა მოვლენა რას მაგონებს“, 1886 წ.).**

ყოველი კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც, როგორც მომაკვდავთ, ის იმედი გვასულდგმულებს, რომ ის ხალხი, რომელსაც ნაციონალები გზაკვალს ურევენ, საბოლოოდ ზურგს შეაქცევს მათ. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ — მათ აქციებზე არა მხოლოდ იკლებს მხარდამჭერთა რაოდენობა, არამედ თვით ამ პარტიის მნიშვნელოვანმა ფიგურებმაც კი დატოვეს მისი რიგები ისე, როგორც ჩასაძირად განწირული გემიდან პირველები ვირთხები გარბიან; შემდეგ ამ ადამიანებმა ან ახალი პარტიები შექმნეს, ან საერთოდ გაქრნენ დროებით თუ სამუდამოდ ქვეყნის პოლიტიკური ველიდან. გაირინდნენ. ვითომ არცა ყოფილან. გრიგოლ ვაშაძე გაგახსენდა, ალბათ, ჩემო მკითხველო. ის ამას წინათ ნიკანორსაც გაახსენდა და, ალბათ, უკანასკნელადაც, — გული მწყდებაო კაცზე, „რომელთანაც პირადი მეგობრობა მქონდა, რომელიც ჩემი პარტიის ლიდერი იყო წლების განმავლობაში — გრიგოლ ვაშაძეს ვგულისხმობ. ჩემ დაცვას ვინ დაეძებს, პარტია, რომელსაც წლები ხელმძღვანელობდა, პარტია, რომელმაც პრეზიდენტად წარადგინა და, რომ არა მოპარული არჩევნები, აარჩევინა კიდეც მოსახლეობას, აი ამ პარტიის ცენტრალური ოფისის აღებაზე კაცს ხმა არ ამოუღია. მისი პირადი კაბინეტის, ყოფილის, აღებას უყურა და ხმა არ დაუძრავს, მთელი საქართველო და მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს. ყველა, ნაცმოძრაობის ყოფილი ლიდერის, გრიგოლ ვაშაძის გარდა. ამაზე მწყდება გული, მეტი არავიზე და არაფერზეო“. ჰოდა, ყოფილ თავმჯდომარეს თუ არ ამოუღია ხმა, რიგითი წევრები რას იზამენ, ფოჩიან კანფეტებს თუ აღარ დაურიგებთ, ხომ წარმოგიდგენიათ?! ვინ იცის, კიდევ რამდენია თქვენ შორის ისეთი, ვისაც გასაქცევად ცხენი ჰყავს შეკაზმული და, რაკი გასაქცევი ჯერჯერობით არსად აქვს, უბრალოდ, ხელსაყრელი მომენტის მოლოდინშია...

აი ასეთი პატრიოტები და ქვეყანაზე გულდათუთქული „მამულიშვილები“ ბაქიბუქობთ.

ისევ ვაჟა-ფშაველას მივუბრუნდეთ. **„ისტორიული წარსული, ბუნება ქართველებისა გვაიმედებს“, რომ ნაციონალიზმი ჩვენს ქვეყანაში „მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევაო“. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ: „ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მახინჯს, უჯიშოს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარმყოფელს. ხოლო სხვა ერების ვითომ და მფარველს და მოსიყვარულეს.**

**ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარია ცხოველთა ბუნებისა და მითუმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა!**

**ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმომწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამოწვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ლიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძლიდან ამომდინარე და მასში ფესვებდადგმული, — ეს მიმართულება ქარისაგან მონაბერია და უნდა ისევ ქარმა გაფანტოს. განაბნიოს. ან კი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათამყოფელთა წინაშე? არა, დიაღ, არა, ვინაიდან იმათთვის ეს გაცვეთილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ რას იზამ, როდესაც კიდევ გვხვდებიან ჩვენში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნდა უმტკიცო, ეფიცო ღმერთი და ჯვარი, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა ოცი და ორმოცი“.**

მაგრამ, როცა ხედავ, როგორ გაყრიან თვალში ნაცარს და მაინც თავს იტყუებ, დაწყევლილი ხარ, აბა, რა?!

ახლახან გამოქვეყნდა ევროსაბჭოს პრეზიდენტის 4 მთავარი გზავნილი საქართველოსთვის. აი რას აცხადებს შარლ მიშელი:

### * ევროკავშირს სურს, დარჩეს საქართველოს გვერდით

**„ჩემი დღევანდელი შეხვედრა აქ ისევე, როგორც გუშინდელი შეხვედრა მოლდოვაში და ხვალინდელი უკრაინაში, არის პარტნიორობის მესიჯი. ევროკავშირს სურს, დარჩეს საქართველოს გვერდით, დაიცვას თქვენი სუვერენობა, თქვენი ტერიტორიული მთლიანობა. ვიცით, რომ რეგიონი არის ძალიან კომპლექსური. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ამბიციებს, რომ შემდეგ რეფორმები და კოვიდ 19-ის კრიზისი, რომელიც გვიტევს აქაც და მთელ მსოფლიოში, დავასტაბილუროთ.**

**მინდა, რომ აქ ყოფნით ვისარგებლო და კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ ევროკავშირის მხრიდან მეგობრობის მესიჯი“.**

### * საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი ევროკავშირს აშფოთებს

**„როგორც თქვენ იცით, ჩემი ვიზიტი არის პოლიტიკური კრიზისის ფონზე. ეს რა თქმა უნდა, ძალიან აშფოთებს ევროკავშირსაც და მეც პირადად. ევროკავშირი მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ ინტენსიურად იმუშაონ იმაზე, რომ მოხდეს სიტუაციის განეიტრალება. ოპოზიციასა და მთავრობასთან ჩემი შეხვედრის დროს პოლიტიკურ მხარეებს პასუხისმგებლიანი მოქმედებისკენ მოვუწოდებ.**

**დღის მეორე ნახევარში მე საშუალება მექნება, შევხვდე და მქონდეს გულწრფელი და ღია საუბარი პრემიერმინისტრთან, ასევე პარლამენტის თავმჯდომარესთან და ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელებთან. ვიცი, რომ პოლიტიკური დებატები საჭიროებს აუცილებლად „ლიდერშიპს“, საჭიროებს ანგაჟირებული ყველა მხარის ჩართულობას. დარწმუნებული ვარ, საქართველოს აქვს ყველა საშუალება იმისთვის, რომ ეს გამოწვევა მიიღოს, კონსოლიდირება მოახდინოს დემოკრატიული ბაზების არა მხოლოდ იმ კავშირში, რომელიც ევროპასთან აქვს, არამედ თავისი დემოკრატიული ბაზების კონსოლიდაციაც შედგეს, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები ქვეყანაში იმისთვის, რომ საზოგადოების სურვილები განხორციელდეს, პოლიტიკური სტაბილურობა შეიქმნას, რომელიც ღია დემოკრატიით იქნება გამყარებული“.**

### * ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

**„მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო ევროკავშირის მყარი დახმარება და მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიების მთლიანობასთან დაკავშირებით. დღის მეორე ნახევარში, მე მექნება საშუალება ადმინისტრაციული დემარკაციის ხაზამდე მივიდე, „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიასთან. კიდევ ერთი შეხსენება საქართველოსთვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანობა, ძირითად ღირებულებებთან დაკავშირებით გაერთიანება. ამაში შეგიძლიათ ევროკავშირის ჩართულობის იმედი გქონდეთ“.**

### * ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ვაქცინაზე წვდომა ჰქონდეს

**„ევროკავშირი არის მთავარი დონატორი „კოვაქს პროგრამის“ და ამის წყალობით, იმედი მაქვს, რომ საქართველოში მალე იქნება ვაქცინების დისტრიბუცია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ვაქცინის დოზებზე წვდომა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ერთად“.**

აი რა განგვიცხადა მიშელმა, ანუ მიშელმა თქვა ის, რისიც, საეჭვოა, თვითონ სჯეროდეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია, ის დაიჯეროს, ჩვენ რომ დავუჯერეთ და მერე საკუთარ თავზე თავად ვიზრუნოთ, მათი მითითებების გარეშე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირი, ჩვენი „ულალატო მეგობარი“, ვერ გასცდა შეშფოთება-აღშფოთების ფარგლებს ვერც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, ვერც საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის გამო, მაგრამ კვლავ და კვლავ შეგვახსენებს, რომ ჩვენი მეგობარია. რაც შეეხება ვაქცინაციას, საქართველოში მალე იქნება ვაქცინების დისტრიბუციაო. რას ნიშნავს მალე? დროის რა მონაკვეთს? მალე ერთი დღეც შეიძლება იყოს, ერთი კვირაც, ერთი თვეც და ა.შ.

ჩვენ დალაგებული ცხოვრებაც მალე გვინდოდა, მაგრამ ამ მალეს მოლოდინში, ვინ იცის, მერამდენე გაზაფხული დადგა, გაზაფხული, რომელზეც დიდი ვაჟა-ფშაველა ამბობს, გაზაფხული იგივე სიცოცხლეაო და, „როცა ადამიანის სულს გაზაფხული უდგება, უეჭველია, მაშინ იგი უნდა ცხოველმყოფელი, სიცოცხლის მქნელი იყოსო.

### მაგრამ როდის არის ადამიანის სული ასეთი?

„ადამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის და იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. **უპირველეს ყოვლისა, სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას. იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე ახალგაზდა და ამასთან ერთად უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება“.**

**როდესაც ადამიანის სულს გაზაფხული დაუდგება, „იგი ყოველ თავის ძალ-ღონეს მიჰმართავს ერის სასიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება-სიცოცხლისთვის, რათა არსებობა თავისი ჰქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი, ჰფიქრობდეს თავისუფლად, აკეთებდეს იმას, რაც გულით სწადიან, ხოლო წადილი მისი უკვე ვიცით, როგორიც უნდა იყოს, — საითკენ მიმართული. იგი უნდა იყოს მუდამ დაუცხრომლად მოქმედი, როგორც თვით გაზაფხულია. ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა“.**

**აი ეს წერილიც:**

▶

„საზოგადოდ, ყველანი ცხოვრებას ზღვას ამსგავსებენ. ვის არ გაუგონია, რომ ერთი მეორეს ჰკითხავდეს: „ცხოვრების ტალღებმა ხომ არ გაგიტაცეს, შეგმუსრესო?“ მე ცხოვრება ზღვას არ მომაგონებს, არამედ კუზიანს ბრმას, ჯოხზე დაბჯენილს მთხოვარა ბებერს, რომლისთვისაც ხელი-ხელში ჩაუჭიდნია ბალღს და ატარებს კარი-კარს: „გაიკითხეთ ღვთის გულისთვის ბრმა უსინათლო“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საგაზაფხულო ფიქრები

გაზაფხულზე ბებერი, ვინ იცის, რა დროისა, როდინდელი ბუნება, ახალგაზრდავდება. სიჯეილე მარტო ტანისამოსზე არ ეტყობა. ათასნაირად აჭრელებული, აფერადებული სამოსელი დედამიწისა არაა მხოლოდ ნიშანი ბუნების ჯეილობისა. მზეც გაჯეილდა: სითბო და სინათლე მოიმატა — გამხნევდა, გაგულუხვდა, გათამამდა; ყველა ეს ნიშანია ახალგაზდობისა — მზე არ ჰზოგავს თავის ძალ-ღონეს და ცდილობს — რაც შეიძლება მეტად გაათბოს დედამიწა და ყოველი მასზედ არსი — სულიერი და უსულო, რათა უფრო ძლიერად აამუშაოს მასში სიცოცხლის ცხოველმყოფელი ძალა; იმედი აქვს, მის მიერ დახარჯული ძალა ტყუილად არ ჩაივლის.

დედამიწა, როგორც აშიმშილებული და ამ სიმშილისაგან ატირებული ყრმა, ხარბად სჭიდებს პირსა და ხელებს დედის ძუძუს, სწოვს სითბოს, – იმ რძეს, რითაც ჩვილი სიამოვნობს, სიყმილს იკლავს, იზრდება, ვაჟკაცდება. დიაღ, დედამიწა სწოვს მზეს სითბოს, მაცოცხლებელს ძალას, რათა შემდეგში ამ შენაძენით ასაზრდოვოს მცენარენი, ცხოველნი, დაამშვენოს, ააყვავოს, აავსოს ნაყოფით ბუნების გულ-მკერდი, უბე-კალთა. განა მარტო სითბო კმარა მისთვის, მცენარეთა და ცხოველთა ასაღორძინებლად? არა. როგორც სითბოა საჭირო, აგრედვე ნამი ცისა, შავის ღრუბლების ცრემლი, ხან მშვიდობიანად რომ დააფრქვევენ დედამიწას და ხან კი ჭექა-ქუხილით მოუვლენენ თავიანთ მოწყალებას, თითქოს ჰსურთ, გააგებინონ ყველას: აბა გვიყურეთ, რა სიკეთესა ვსჩადითო! ვინ იცის, იქნება მძინარა დედამიწას ეძახიან: ადე, გაიღვიძე, გიგზავნით მოწყალებას და, როგორც საჭიროდ დაინახო, ისე მოიხმარეო. ორივე შესაძლებელია, ხოლო ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭექა-ქუხილი ახალგაზდობის, სიჯეილის ნიშანია.

**რით იპყრობს გაზაფხული ჩვენს ყურადღებას? ნუთუ მარტო ბუნების ამწვანება-აყვავებით, კეთილ სუნნელების მოფენით?** ეს მხოლოდ გარეგანი, თვალისა და ყურის წარმტაცი თვისებაა მისი, შინაგანი მოქმედება და აზრი სულ სხვაა, — იმას თუ კარგად არ ჩაუკვირდით, ვერც კი შევამჩნევთ. ეს დაფარული აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ გაგრძობაა სიცოცხლისა. მიზანი მისი ალბად დიდებულია, თორემ ასე დიდებულად, ასე საამოდ, სულისა, და გულის დამატყვევებელ სურათებში არ იქნებოდა გახვეული!.. ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერ სიცოცხლისა; ტურფა, მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა-ცვალებადობაში არა რა არს გარეშე გაზაფხულისა.

მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვანობა: უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვიგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს.

გაზაფხული მქმნელი, მშობელია სიცოცხლისა: გაზაფხულზე ყოველი ძალა ბუნებისა, ყოველი არსი, თვით ისეთიც კი, რასაც ადამიანი, თუ არ შეიარაღებულის თვალით, ვერ დაინახავს, მიმართული, მიდრეკილია სიცოცხლის შესაქმნელად.

სიცოცხლე მინდვრად, სიცოცხლე ტყეში, სიცოცხლე ზღვაში, წყალში, სიცოცხლე ცაში, სად გაიხედავ, არ დაინახო შთამომავლობაზე ზრუნვა. ყველგან ვხედავთ შთამოებას. ფუტკარი რა სათქმელია, ჭიანჭველასაც კი აუფუებია თავის ციხე-დარბაზი მემკვიდრეთა სიუხვით. ტრედს ნუ იტყვი, ჭივჭავსაც კი გამოუჩეკია ოთხი თუ ხუთი ბარტყი, — შეუმატნია სიცოცხლისათვის სარდოდ ოთხი თუ ხუთი არსება ეს სულ გაზაფხულის ბრალი, მისი ოინია.

წადი, დახედე მინდვრად ჭირნახულს, გადაიხედე ვენახებში. დააცქერდი ყოველ მცენარეს ტყე-ველზე, მთასა და ბარსა. რა ამბავი ხდება? შექმნა სარდოსი ცხოველთათვის. მაშასადამე გაზაფხული მარტო ცხოველებს კი არ ამრავლებს, ამ ცხოველებს სასიცოცხლო მასალასაც უმზადებს, აძლევს, აწვდის ხელგაშლილი.

იმიტომ არის გაზაფხული ლამაზი, და ლამაზი რომ არ იყოს, ამოდენა მადლს, სიკეთეს, ხომ არ დასტოვებდა დედამიწაზე, არც ასე გულიანად, თავგამოდებით აგალობებდა ბულბულს.

ისე არადროს არ დამშვენებულა, არ აბიბინებულა ველმინდორი, როგორც გაზაფხულზე. ისე არადროს არა ხარობს და მწვანობს ტყე, როგორც გაზაფხულზე. ისე არადროს არა მხიარულობენ საერთოდ ცხოველნი, ფრინველნი, როგორც ამ დროს. ამავე დროს აუშლია ფაფარი პატარა მდინარეს, მიულია მრისხანე სახე, აღარ ეტევა კალაპოტში, გადუხეთქია აქეთ-იქით ნაპირები და მოსდებია ჭალა-მინდვრებს.

ყველა ყველაფერი, სადაც კი თვალი და ყური მიუწვდება ადამიანს, გელაპარაკება შემდეგს: მე ცოცხალი ვარ, ცოცხალი და მინდა კვალად ვიცოცხლო; სიცოცხლე ჩემი უნდა იყოს დაუსრულებელიო.

ეს დრო ბუნების უაღრესი ბედნიერების დროა. ვფიქრობ ბუნება, როგორც გაზაფხულზე, ისე არა დროს არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად.

**ნუთუ ადამიანის სულს კი არა აქვს თავისი გაზაფხული? ადამიანიც არის და ადამიანიც; კაციც არის და კაციც, ყველა ერთნაირ გონებრივ სიმაღლეზე არა სდგას, ყველა ერთნაირად არ არის განვითარებული, ყველა ერთნაირის თვალით არ უცქერის ცხოვრების ავკარგს. ყველას ერთნაირად არ აჯავრებს საზარალო. არ ახარებს სასარგებლო. როცა ადამიანის სულის გაზაფხულზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, მაშინ ვერ დავივიწყებთ სიცოცხლეს, ვინაიდგან გაზაფხული იგივე სიცოცხლეა, და, როცა ადამიანის სულს გაზაფხული უდგება, უეჭველია მაშინ იგი უნდა ცხოველმყოფელი, სიცოცხლის მქნელი იყოს.**

**როდის არის ადამიანის სული ასეთი?** იქნებ მაშინ, როცა ადამიანი ოთხკედელ შუაა შემწყვდეული, ხელფეხზე ხუნდები აქვს? შეიძლება განა ამისთანა ადამიანის სულმა გაზაფხულის სიამოვნება იგრძნოს? — ამ სიამოვნებას [იგრძნობს], თუ თვით დატყვევებულს შეგნებული, შესისხლხორცებული აქვს ის რწმენა, ის აზრი, რისთვისაც მას დაადვეს [ხუნდები ფეხებზე და ხელებზე], როცა მან იცის, სიმართლისათვის ვიტანჯვიო, მაგრამ ამგვარი გაზაფხული სულისა მხოლოდ სხვისთვის იქნება მაგალითის მიმცემი, სხვას, ვისაც ხელ-ფეხი თავისუფალი აქვს, გაჰხდის სიცოცხლის მოზიარედ. მაღალი, ქვეყნის მოყვარე სული შეიძლება მხოლოდ იქმნეს სიცოცხლის მქნელად და სრულის სიმშვენიერით მოგვევლინოს, მხოლოდ თუ თავისუფალია იგი. **ადამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის, და იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე ახალგაზდა და ამასთან ერთად უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება.**

ხომ ჰხედავთ გაზაფხულზე ბუნებას, როგორ თავისუფლად იწყებს მუშაობას. ამოჰხეთქს მიწიდან აუარებელი მცენარე — ბალახი, ყვავილი, სძოვს მას ცხვარი და ძროხა, მაგრამ მაინც მოდის ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, იწურება ხეები ფოთლებით, მოდის შხაპუნა თუ ჟუჟუნა წვიმა და ვერავის ძალუძს მისი შეჩერება. ათბობს მზე მცენარეთ, ცხოველთ და ვის შეუძლიან შეასუსტოს მის მიერ გამოგზავნილი სხივების სიძლიერე? **ყოველი მოვლენა, ყოველი ძალი ბუნებისა ცალ-ცალკე და ერთად, ცდილობს, მიეშველოს სიცოცხლეს, სრულყოფს სიცოცხლეს. ასეთივეა სული ადამიანისა, როცა მას დაუდგება გაზაფხული. იგი ყოველ თავის ძალ-ღონეს მიჰმართავს ერის სასიცოცხლოდ, ცხოვრების ბედნიერება-სიცოცხლისთვის, რათა არსებობა თავისი ჰქმნას რაც შეიძლება ნაყოფიერი, ჰფიქრობდეს თავისუფლად, აკეთებდეს იმას, რაც გულით სწადიან, ხოლო წადილი მისი უკვე ვიცით, როგორიც უნდა იყოს, — საითკენ მიმართული. იგი უნდა იყოს მუდამ დაუცხრომლად მოქმედი, როგორც თვით გაზაფხულია. ამიტომ ყოველი საქვეყნო მოღვაწე, ყოველი ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანი ყოფილა და არის გაზაფხულის მსგავსის სულისა.** მხოლოდ მათ განუცდიათ გაზაფხული სულისა. **პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იკმაყოფილებს;** შეიძლება ფიქრობდეს, მე განვიცდი გაზაფხულს სულისასო, მაგრამ დიდად მოტყუებული იქნება, რადგან **ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვილია ადამიანებს. იგი სიცოცხლეს, როგორც მთელს, არაფერს ჰმატებს, მხოლოდ დაკლებით აკლებს. იგი განიცდის ისეთსავე გაზაფხულს სულისას, როგორც ყოველი ცხოველი, როცა იგი მაძღარია და მსუქანი.**

შეიძლება განა ძალიან მსუქანი ღორიც, ტალახში გდებით რომ ანელებს მხურვალებას თავის ლეშისას, რათა განცხრომა იგრძნოს, ვიცნათ ვითომც მას ეგრძნოს გაზაფხული სულისა; ადამიანთა უმრავლესობაც განიცდის ასეთსავე დიადობას, როგორც ღორი, მაგრამ **ნუთუ საზღვარი აღარ უნდა იყოს სულით გაზაფხულისა და კუჭით გაზაფხულის მფლობელთა შორის?** მე, რამდენადაც შემეძლო, დავახასიათე მოკლედ გაზაფხული თვითეული ადამიანის სულისა, სხვა თქვენ გთხოვთ, წარმოადგინოთ, თუ **როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა.**

უწყიდეთ მხოლოდ, ეს იქნება მსგავსი ბუნების გაზაფხულისა, მისი განსახიერება და გამომხატველი მთა და ბარის, ცისა და დედამიწისა.

**გაზაფხული ერის სულისა უმშვენიერესს სურათს დაგვიყენებდა ერის სულისას.**

1915 წ.

«ადამიანი თუ არა ჰგრძნობს თავს ბედნიერად, ვერც სულის გაზაფხულობას განიცდის, და იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა, სული უნდა ჰგრძნობდეს ბედნიერებას. იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა ჰყვაოდეს, უნდა მწვანობდეს, უნდა იყოს ცხოველმყოფელი, მქნელი სიცოცხლისა, ცოცხალ არსებათა მომცემი თუ აღმომცენებელი, მაშასადამე ახალგაზდა და ამასთან ერთად უსათუოდ თავისუფალი, როგორც გაზაფხულზე ბუნება»



ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“ — გაზაფხულის, სიცოცხლის, სიყვარულის ტრიუმფი

«ნუთუ საზღვარი აღარ უნდა იყოს სულით გაზაფხულისა და კუჭით გაზაფხულის მფლობელთა შორის? მე, რამდენადაც შემეძლო, დავახასიათე მოკლედ გაზაფხული თვითეული ადამიანის სულისა, სხვა თქვენ გთხოვთ, წარმოადგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს გაზაფხული ერის სულისა»

«პატარა, ვიწრო გრძნობისა და ტვინის ადამიანი, თუ იგი მდიდარია, თავს ბედნიერად ჰრაცხს, რადგან ყოველგვარ მოთხოვნილებას ცხოველურს, ფიზიკურს იკმაყოფილებს. ამგვარი ადამიანი მხოლოდ გამანადგურებელია იმისა, რაც გაზაფხულის შემოქმედების წყალობით მიგვილია ადამიანებს»

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ელიზაბეტ II-ის ნათესავი ციხეში მიაბრძანეს

**გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით ბრიტანეთის სასამართლომ 10 თვით აღუკვეთა თავისუფლება ინგლისის დედოფლის 34 წლის დისწულის შვილიშვილს სტრატმორსისა და კინგქორნის გრაფს საიმონ ბოუზა-ლაიონს, — იუწყება The Guardian.** პასუხისგებაში მიცემული ლორდთა პალატის წევრია. დაზარალებულმა განაცხადა, რომ ინციდენტი მოხდა შარშან, თებერვალში გრაფის შოტლანდიურ საგვარეულო სასახლეში. მთვრალი ახალგაზრდა კაცი შევიდა ოთახში, სადაც ქალიშვილს ეძინა და მისთვის ტანსაცმლის შემოძარცვას შეეცადა. ქალიშვილი 20 წუთის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა და, როგორც იქნა, გააძევა ოთახიდან. მალევე მეგობრებს გაანდო ეს ამბავი. გრაფმა ბოდიში მოუხადა მას, მის მშობლებსა და კოლეგებს. თავისი საქციელი სიმთვრალეს მიაწერა და აღნიშნა, რომ ეს გარემოება მას არ ამართლებს.

ელიზაბეტ II-ს გული დაწყვიტეს მისმა სხვა ნათესავებმაც, მათ შორის, პრინცმა **ჰარიმ** და მისმა ცოლმა **მეგან მარკლმა.** მათ დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება სამეფო ოჯახიდან გასვლის შესახებ.



## აშშ-ში 50 წლის განმავლობაში ლგბტ წარმომადგენელთა რაოდენობა არნახულად გაიზარდა

**და ახლო მომავალში კიდევ უფრო მოიმატებს. 24 თებერვალს გელაპის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები და დაადასტურა, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ლგბტ-თემის წევრებად მიიჩნევენ თავს, მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

მკვლევარები გვარწმუნებენ, რომ, მაგალითად, ბისექსუალების რაოდენობამ 38-ჯერ მოიმატა. 2020 წელს 5,6 პროცენტით გაიზარდა ამერიკელი ლგბტ-ელების საერთო რაოდენობა. ეს 4,5 პროცენტით აჭარბებს 2017 წლის მონაცემებს და 4,1 პროცენტით 2016 წლისაზე მეტია. 2012-დან 2015 წლამდე პერიოდში 3,5 პროცენტიდან 3,9 პროცენტამდე მეტმა ამერიკელმა განაცხადა, რომ ლგბტ-ს წარმომადგენელია.

„ასეთი ზრდა კვლავაც გაგრძელდება", — იუწყება გელაპის ინსტიტუტი.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## პედოფილია და ინცესტი, რომელთა შესახებაც საფრანგეთის მაღალ საზოგადოებაში კრინტს არ ძრავენ

### ბრალმდებელი და

ოფიციალური მონაცემებით, შვიდ მილიონამდე ადამიანი დაზარალდა პედოფილიის ან ინცესტის გამო. როგორც წესი, კლასში ორ-სამ მოსწავლეზე ძალადობენ თავიანთ ოჯახებში, მაგრამ ამას მხოლოდ 10 პროცენტი აღიარებს, უდიდესი უმრავლესობა მთელი ცხოვრება დუმილს ამჯობინებს.

ახლახან დიდი სკანდალი აგორდა **ოლივიე დიუამელის** გარშემო, რომელიც საფრანგეთის მთავარი ექსპერტია კონსტიტუციური სამართლის დარგში.



მას ბრალად წაუყენეს გერზე ძალადობა 1980-იან წლებში. საქმე გახსნა მსხვერპლის დამ, ადვოკატმა **კამილა კუშნერმა.** წიგნში, რომელიც მან გამოსცა, მოთხრობილია, რომ დიუამელი, მათი მამინაცვალი, სისტემატიურად აუპატიურებდა მის ტყუპისცალ ძმას. ამ პუბლიკაციას ასობით აღიარება მოჰყვა სოციალურ ქსელებში.



ოლივიე დიუამელი



ბერნარ კუშნერი

კამილა კუშნერის ოჯახი საფრანგეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მამა **ბერნარ კუშნერი** საფრანგეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და საზოგადოება „ექიმები საზღვრების გარეშე" თანადამფუძნებელია. დედა — **ეველინ პიზიე** ცნობილი აქტივისტი, საფრანგეთის ფემინიზმის ხატი და **ფიდელ კასტროს** ყოფილი საყვარელია. ჰყავდათ სამი შვილი: უფროსი ძმა **ჟულიენი** და ტყუპი — კამილა და ვიქტორი.

1980-იანებში პიზიე გაეყარა კუშნერს და ცოლად გაჰყვა მემარცხენე ბომონდის წარმომადგენელ ოლივიე დიუამელს, რომელიც პიზიეს შვილებს საკუთარი შვილებივით ზრდიდა და თავს ევლებოდა.



ეველინ პიზიე



მარი-ფრანს პიზიე

### ბნელი მხარე

1986 წელს ეველინ პიზიეს მამამ თავი მოიკლა. 1988-ში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე დედამისმაც. ეველინი დეპრესიაში ჩავარდა. მიეძალა ალკოჰოლს. ბავშვების ბიოლოგიური მამა ჩაფლული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში და იშვიათად ნახულობდა თავის შვილებს. ბავშვებს, როგორც ვთქვით, მამინაცვალი ზრდიდა და უვლიდა.

კამილა და ვიქტორი 14 წლისანი როცა გახდნენ, ძმამ დას გაანდო, რომ მამინაცვალი მასზე ძალადობდა, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში და შეევედრა, საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი, რადგან ძალიან რცხვენოდა. დიუმელი ბავშვებს არწმუნებდა, რომ დედისთვის ამის გამხელა არ შეიძლებოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. მოვა დრო და ყველაფერს ვეტყვითო.




კამილა კუშნერის წიგნი

მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 2008-ში კამილამ უფროს ძმასთან ერთად დაარწმუნა ვიქტორი, გაემხილა დედისთვის მომხდარი ფაქტი.

ეველინი ფრიად შეწუხდა, მაგრამ ქმარს დაუჭირა მხარი — ვიქტორს არავინ აძალებდაო.

კამილა კუშნერის თქმით, ოჯახის ახლობელი ადამიანები, მაღალი თანამდებობის პერსონები, საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი ხდებოდა.

მხოლოდ უმცროსმა დამ **ეველინმა, მარი-ფრანს პიზიემ,** ხმა ამოიღო და დიუამელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. დას ქმართან გაყრას ურჩევდა, მაგრამ ვერ დაიყოლია. ამ ნიადაგზე დები ერთმანეთს სამუდამოდ დაცილდნენ.

2011-ში მარი-ფრანს პიზიე დაიღუპა. იგი აუზის ფსკერზე დამხრჩვალი იპოვეს. მიიჩნიეს, რომ თავი მოიკლა და საქმე დახურეს.

მარი-ფრანსის დაღუპვის მიზეზის გამოძიებისას პირველად ამოტივტივდა ინცესტი: დაღუპულის მეგობარმა ქალიშვილმა გამომძიებლებს მიანიშნა, რომ დების დაცილება დიუმელთან არის დაკავშირებული. დაიწყო წინასწარი გამოძიება, მაგრამ მალევე შეწყვიტეს. მათ შორის ვიქტორის სურვილის გათვალისწინებითაც, რადგან იგი უკვე დაოჯახებული იყო, ზრდიდა შვილებს და საიდუმლოების გასაჯაროებას ერიდებოდა.

2017-ში გარდაიცვალა ეველინ პიზიე. კამილა კუშნერმა გადაწყვიტა, თავი დაეხსნა „დიდი ოჯახის" კლანჭებისგან, რომელიც იცავდა დუმილის კოდექსს — ომერტას — და შეუდგა წიგნის წერას.

წიგნი გამოცემისთანავე გაყიდვის „ტოპში" შევიდა. დიუამელი ყველა თანამდებობიდან გადადგა.

წიგნმა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, რადგან აღწერა საფრანგეთის ელიტაში გავრცელებული მოვლენები, „ტელევიზიის ადამიანების" ცხოვრების ბნელით მოცული მხარეები.

**რომან „დიდი ოჯახის" გმირები მხოლოდ ავტორის ნათესავები არ არიან, ისინი საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკოსები, ადვოკატები და მეცნიერები გახლავან, რომლებსაც პირი აქვთ შეკრული. აღნიშნული გამოცემით კამილამ „დიდ ოჯახს" დააღწია თავი. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა სხვებიც იმავეს გაკეთებას...**

ტეხასის გუბერნატორი ძაღლთან ერთად მანქანით სეირნობს ბუნებაში. გამოხტა კოიოტი და შეეცადა, ძაღლს თავს დასხმოდა. გუბერნატორმა შტატის მიერ გაცემული პისტოლეტიდან ესროლა ცხოველს და გზა განაგრძო. გუბერნატორმა 38-იანი კალიბრის ვაზნაზე 50 ცენტი დახარჯა. მკვდარ კოიოტს კი ყვავ-ყორნები ჭამენ.

ეკონომიკის შუქ-ჩრდილები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «პროგრესული» და «თანამედროვე» კალიფორნია და «ჩამორჩენილი» და «კონსერვატიული» ტეხასი




**კალიფორნიის გუბერნატორი თავის ძაღლთან ერთად ბუნებაში სეირნობს. უცებ საიდანღაც გამოვარდება კოიოტი და თავს დაესხმება ძაღლს, შემდეგ გუბერნატორსაც უკბენს. გუბერნატორს სურს, რაღაც მოიმოქმედოს, მაგრამ გაახსენდება ფილმი „ბემბი“ და ხვდება, რომ უნდა გაჩერდეს, რადგან კოიოტის საქციელი ბუნებრივია.**

გუბერნატორმა გამოიძახა ცხოველებზე ზედამხედველობის სამსახური. სამსახურმა დაიჭირა კოიოტი და შტატს 200 დოლარის ანგარიში წარუდგინა ცხოველის ჯანმრთელობის შემოწმების გამო — ჰქონდა თუ არა მას რამე დაავადება, აგრეთვე, 500 დოლარის ანგარიში კოიოტის „გადასახლებისთვის“. შემდეგ გუბერნატორმა დაურეკა ვეტერინარს, მან წაიღო მკვდარი ძაღლი და შტატს წარუდგინა 200 დოლარის ანგარიში ცხოველის გამოკვლევისთვის, ჰქონდა თუ არა მას რამე დაავადება.

გუბერნატორი წავიდა საავადმყოფოში და გადაიხადა 3500 დოლარი გამოკვლევისთვის, ხომ არ გადაედო რამე ინფექცია კოიოტისგან, აგრეთვე, ჭრილობის გადახვევისთვის. ბილიკი, სადაც შემთხვევა მოხდა, დაიკეტა 6 თვით, სანამ მეთევზეობისა და ნადირობის კალიფორნიის დეპარტამენტი ჩაატარებს 100 ათასი დოლარის ღირებულების გამოკვლევას, რათა დარწმუნდეს, რომ ამ რაიონში აღარ ბინადრობენ საშიში ცხოველები.

**გუბერნატორმა შტატის ფონდიდან დახარჯა 50 ათასი დოლარი «კოიოტების უკეთ გაცნობის პროგრამაზე», საკანონმდებლო ორგანომ დახარჯა 2 მლნ დოლარი იმის შესასწავლად, უკეთესად როგორ უმკურნალონ ცოფს და როგორ ამოიძირკვოს ეს დაავადება მსოფლიოში... ცხოველების მიმართ ეთიკური მოპყრობის ორგანიზაციამ (PETA) გააპროტესტა კოიოტის «გადასახლება», სასამართლოში სარჩელი შეიტანა შტატის წინააღმდეგ და 5 მლნ დოლარი მოითხოვა**

გუბერნატორმა შტატის ფონდიდან დახარჯა 50 ათასი დოლარი „კოიოტების უკეთ გაცნობის პროგრამაზე“, საკანონმდებლო ორგანომ დახარჯა 2 მლნ დოლარი იმის შესასწავლად, უკეთესად როგორ უმკურნალონ ცოფს და როგორ ამოიძირკვოს ეს დაავადება მსოფლიოში. გუბერნატორის პირადი მცველი დაითხოვეს, რადგან ვერ აღკვეთა კოიოტის თავდასხა, შტატმა დახარჯა 150 ათასი დოლარი ახალი პირადი მცველის დაქირავებისა და იმისთვის, რომ მცველს შეასწავლონ კოიოტებთან ბრძოლა. ცხოველების მიმართ ეთიკური მოპყრობის ორგანიზაციამ (PETA) გააპროტესტა კოიოტის „გადასახლება“, სასამართლოში სარჩელი შეიტანა შტატის წინააღმდეგ და 5 მლნ დოლარი მოითხოვა.

ტეხასის გუბერნატორი ძაღლთან ერთად მანქანით სეირნობს ბუნებაში. გამოხტა კოიოტი და შეეცადა, ძაღლს თავს დასხმოდა. გუბერნატორმა შტატის მიერ გაცემული პისტოლეტიდან ესროლა ცხოველს და გზა განაგრძო. გუბერნატორმა 38-იანი კალიბრის ვაზნაზე 50 ცენტი დახარჯა. მკვდარ კოიოტს კი ყვავ-ყორნები ჭამენ.

აი, რატომ არის დაცემულ-დაკნინებული კალიფორნია, ტეხასი კი — არა.

**Saddleriverrange.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინელმა**

**P.S. ჩვენი დღევანდელი ყოფა კალიფორნიაში შექმნილ ვითარებას ხომ არ გაგონებთ?**

# 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2019 წლის დონეს ვერ დაუბრუნდება

**კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაარტყა, რაზეც უკვე ოფიციალური სტატისტიკაც მეტყველებს. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6,1%-ით შემცირდა. ეკონომიკის შემცირება ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ფირმები ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ქმნიან, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ამ ყველაფერს ნაკლები მუშახელი სჭირდება, ანუ გამოდის, რომ უმუშევრობა იზრდება.**




**როგორც ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, 2020 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონემ საქართველოში 20,4%-მდე მოიმატა, ხოლო წლიურ ჭრილში — 3,8 პროცენტული პუნქტით. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი დიდია, სავარაუდოა, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია. უმუშევრობასთან ერთად მოსახლეობას კიდევ ერთი პრობლემა ლარის სახით დაემატა. გასულ წელს ლარი დოლართან რეკორდულად გაუფასურდა**

როგორც ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, 2020 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონემ საქართველოში 20,4%-მდე მოიმატა, ხოლო წლიურ ჭრილში — 3,8 პროცენტული პუნქტით. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი დიდია, სავარაუდოა, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია. უმუშევრობასთან ერთად მოსახლეობას კიდევ ერთი პრობლემა ლარის სახით დაემატა. გასულ წელს ლარი დოლართან რეკორდულად გაუფასურდა.

2020 წლის მარტში ერთი ამერიკული დოლარის ღირებულება 3,58 ლარს შეადგენდა. ასევე ისიც ფაქტია, რომ ლარი მიმდინარე წელსაც გაუფასურებულია და ერთი დოლარი დაახლოებით 3,29-დან 3,32 ლარის ფარგლებში ღირს. გაუფასურებული ლარი ქვეყანაში არსებული ფასების დონის ზრდაზე მოქმედებს. საქართველოში ძირითადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების 70%-ზე მეტი იმპორტირებულია. როცა ქვეყნის ძირითადი მოხმარების საქონელი იმპორტირებულია, ეს ნიშნავს, რომ გვჭირდება უცხოური ვალუტა, კონკრეტულად კი დოლარი, რათა ქვეყანაში შემოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტი. დოლარის შესაძენად კი გვჭირდება ლარი. ხოლო, როცა ლარი უფასურდება, ეს ნიშნავს, რომ დოლარი ძვირდება, რაც, ამასთანავე, ნიშნავს, რომ უცხოური პროდუქტი გვიძვირდება. ეს კი ფასების საერთო დონეზეც აისახება. 2021 წლის იანვარში 2020 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1,1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,8 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ინფლაციის დაბალი დონისა, რეალურად მოსახლეობას ცხოვრება მაინც გაუძვირდა, რადგან ამ ერთი წლის განმავლობაში ფასები საკვებ პროდუქტებზე მაინც მნიშვნელოვნადაა მომატებული. მაგალითად, ამ წლის განმავლობაში 27,3%-ით გაძვირდა **ზეთი**, 10,4%-ით — **თევზეული**, 9.1%-ით — **რძე, ყველი** და **კვერცხი**, ხოლო **პური** და **პურპროდუქტები** — 7,5%-ით. ეს ის პროდუქტებია, რომლებიც ყოველდღიურად არსებობისთვის გვჭირდება. ჯერ კიდევ 2019 წელს, როცა ინფლაცია 6,2% იყო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გვითხრა, რომ საქონელზე ფასები ლარის გაუფასურების გამო გაიზარდა. შესაბამისად, დღეს საქართველოში არის მდგომარეობა, როცა მოსახლეობას შემოსავლები უმცირდება, ხოლო ფასები პირველადი მოხმარების პროდუქტებზე იზრდება. ეს კი კეთილდღეობის შემცირებას ნიშნავს. ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას ის სტატისტიკაც ასახავს, რომლის მიხედვითაც, 2020 წელს საქართველოში პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობამ 958 317 პირი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში სულ 3,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, სამწუხაროდ, იმედის ნაპერწკალი მაინცდამაინც არც აქ იგრძნობა. თუ სხვადასხვა ორგანიზაციის პროგნოზებს დავეყრდნობით, 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა ისევ შემცირდება. მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტი „ისეტი“ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ეკონომიკის 3,5%-იან დაცემას ვარაუდობს. საქართველოს საბიუჯეტო ოფისი კი ელის, რომ პირველ კვარტალში ეკონომიკა 4,6%-ით შემცირდება.

საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკა ვერ აღდგება. ეს იმას ნიშნავს, რომ 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2019 წლის დონეს ვერ დაუბრუნდება.

**ნოდარ სირბილაძე**
**bpn.ge**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2000 წელს ასტრონომები აკვირდებოდნენ 5 პლანეტის: მარსის, სატურნის, ვენერას, მერკურისა და იუპიტერის აღლუმს. 2011 წელს კი აღლუმში მონაწილეობდა 3 პლანეტა: იუპიტერი, მერკური და ვენერა.

**პლანეტების გამუდმებით მოძრაობა, გრავიტაციის ძალა და ვარსკვლავების ევოლუცია სხვადასხვა ასტრონომიული მოვლენის მიზეზია. მათგან რამდენიმეს დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება. სხვა მოვლენებზე კი, რომლებიც რამდენიმე საუკუნის წინათ მოხდა, მოწმობს დედამიწასთან ახლოს ჩაფრენილი კომეტები. გაეცანით ყველაზე იშვიათ და საოცარ ასტრონომიულ მოვლენებს.**



# შვიდი საოცარი ასტრონომიული მოვლენა



## ჰეილ-ბოპის კომეტა

ჰეილ-ბოპის კომეტა ყველაზე კაშკაშა კომეტად ითვლება. ის 1000-ჯერ მეტად კაშკაშაა კომეტა ჰალეაზე. მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება. მეცნიერთა გამოთვლებით, მზის გარშემო კომეტის შემოვლის დრო 2392 წელიწადია. კომეტა 1995 წლის 23 ივნისს აღმოაჩინეს ამერიკელმა ასტრონომებმა — **ალან ჰეილმა** და **ტომას ბოპმა.** ყველაზე ახლო დისტანცია, რომლითაც მან ჩაუფრინა დედამიწას, 193 მლნ კმ-ია. კომეტის ორბიტა ძალიან რთული დასადგენია, ამიტომ მეცნიერებმა ჯერჯერობით არ იციან, კიდევ როდის შევძლებთ მის დანახვას.



## კომეტა ჰალეა

კომეტა ჰალეა დედამიწას უახლოვდება ყოველ 75-76 წლის შემდეგ. სახელი ეწოდა ინგლისელი ასტრონომის — **ედმუნდ ჰალეას** პატივსაცემად, რომელმაც ის 1531 წელს აღმოაჩინა. კომეტა მოძრაობს ეპლიპტიკურ ორბიტაზე. არის ერთ-ერთი კაშკაშა კომეტა მზის სისტემაში. მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება. კომეტის სიგრძე 14 კმ-ია, სიგანე — 8 კმ. მისი ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია ყინულოვანი წარმონაქმნით. კომეტა ჰალეამ მზეს ბოლოს 1986 წელს ჩაუქროლა, მის გამოჩენას 2061 წელს ელოდებიან.



## ვენერას მოძრაობა მზის დისკოზე

ამ ასტრონომიულ მოვლენაზე დაკვირვება მაშინ შეიძლება, როცა ვენერა მოძრაობს დედამიწასა და მზეს შორის და ფარავს მზის დისკოს პაწაწინა ნაწილს. ამ მომენტში ვენერა მოჩანს, როგორც პატარა შავი ლაქა, რომელიც მზეზე გადაადგილდება.

ეს მოვლენა მეორდება ყოველ 8 წელიწადში, ოღონდ ყოველ ჯერზე ვენერა სხვადასხვა ადგილას მოძრაობს. ერთსა და იმავე ტრაექტორიას ვენერა ყოველ 112 წელიწადში გადის. მისი ბოლო მოძრაობა მზის დისკოზე 2012 წელ აღინიშნა.



## დიდი თეთრი ლაქა

ყოველ 30 წელიწადში სატურნის ატმოსფეროში პერიოდულად წარმოიქმნება შტორმები. ამ მოვლენას უწოდებენ დიდ თეთრ ლაქას, რომლის სიგრძე შეიძლება რამდენიმე ათას კმ-ს აღწევდეს. ამ მოვლენის წარმოქმნის მიზეზად მეცნიერები თვლიან ენერგიის რაღაც წყაროს, რომელიც ეჯახება პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენებს.

გამოთვლილია, რომ სატურნის ატმოსფეროში ასეთი შტორმისას ყოველ წამში ჩნდება 10 ელვა. თითოეული ელვა აორთქლებს ტენს 16 ათასი კმ-ის რადიუსში და, როგორც კი ყველაფერი აორთქლდება, ელვა ხშირდება და ძლიერდება. ამ ელვის ძალა დედამიწის ელვაზე 10 ათასჯერ ძლიერია.



## პლანეტების აღლუმი

ეს ასტრონომიული მოვლენა — ერთ ზოდიაქურ თანავარსკვლავედში პლანეტების დაახლოება — იშვიათია. მეცნიერთა პროგნოზით, პლანეტების შემდეგი აღლუმი მარსის, მერკურის, ვენერას, იუპიტერის, სატურნისა და მთვარის მონაწილეობით 2040 წელს მოხდება.

2000 წელს ასტრონომები აკვირდებოდნენ 5 პლანეტის — მარსის, სატურნის, ვენერას, მერკურისა და იუპიტერის აღლუმს. 2011 წელს კი აღლუმში მონაწილეობდა 3 პლანეტა: იუპიტერი, მერკური და ვენერა.



## ცისფერი მთვარე

„ცისფერ მთვარეს“ უწოდებენ მეორე სავსემთვარეობას ერთი კალენდარული თვის განმავლობაში. ასეთი რამ კი 2 წელიწადში ერთხელ ხდება. ორ სავსემთვარეობას შორის სხვაობა 29 დღეა, ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ ეს მოვლენა ორჯერ დავინახოთ 1 თვეში, თუმცა ეს ალიან იშვიათად ხდება.

სინამდვილეში ტერმინ „ცისფერ მთვარეს“ ცოტა რამ აქვს საერთო მოვლენის ფერთან, თუმცა გარკვეული ოპტიმალური ეფექტის გამო მთვარე ზოგჯერ ცისფერი ჩანს. მაგალითად, 1883 წელს ინდონეზიაში ვულკან კრაკატაუს ამოფრქვევის შემდეგ ატმოსფეროში იყო ბევრი ვულკანური ფერფლი, რომლის გამოც მთვარე ცისფრად მოჩანდა.



## მზის სრული დაბნელება

მზის დაბნელება წელიწადში რამდენიმეჯერ ხდება, მაგრამ მზის სრული დაბნელება იშვიათია. მოვლენის არსი მდგომარეობს მთვარის მიერ მზის სრულ დაფარვაში დედამიწისგან. ბოლოს ასეთი რამ მოხდა 2012 წელს. მეცნიერთა გამოთვლებით, მზის სრული დაბნელება 138 წლის შემდეგ მოხდება.

მთვარე უფრო ახლოს არის მზესთან, ვიდრე დედამიწა. ამის გამო დედამიწაზე მცხოვრებთ აქვთ საშუალება, დააკვირდნენ ამ ასტრონომიულ მოვლენას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**სტეფ კარის, რომელსაც „ოქროს ბიჭუნა“ შეარქვეს, მწვრთნელები იყენებენ, როგორც კოზირს, რადგან შესანიშნავად ისვრის სამქულიანებს. კლეი ტომპსონთან წყვილში მან სეზონში ყველაზე მეტი შედეგიანი სამქულიანების სროლის რეკორდი დაამყარა — ტომპსონმა და კარიმ 483 სამქულიანი ჩააგდეს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტეფ კარი — NBA-ს «ოქროს ბიჭუნა»


აიეშა და სტეფ კარები

**უორდელ სტეფენ (სტეფ) კარი, აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) კლუბ „გოლდენ სტეიტ „უორირზის“ მოთამაშე და NBA-ს ორგზის ჩემპიონი, 1988 წლის 14 მარტს დაიბადა ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონში, მაგრამ ბავშვობა ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტში გაატარა.**

სტეფი ძმასთან, **სეტთან,** ერთად ხშირად ესწრებოდა ადგილობრივი საკალათბურთო გუნდის — „შარლოტ ჰორნეტსის“ მატჩებს, რადგან ამ გუნდში თამაშობდა მათი მამა — **დელ კარი,** რომელიც 16 წლის განმავლობაში იყო ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კალათბურთელი, შემდეგ — კომენტატორი. სტეფის დედა, **სონია,** ვირჯინიის შტატის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდის წევრი იყო. მშობლებმა სპორტსმენის გენები შვილებს გადასცეს — სტეფის მსგავსად მისი ძმაც პროფესიონალი კალათბურთელია, ამჟამად „ფილადელფია 76“-ში თამაშობს.

სტეფ კარის სურდა, იმ უნივერსიტეტში ჩაებარებინა, რომელშიც დედამისმა ისწავლა, მაგრამ სასწავლებელმა დამწყებ სპორტსმენს სტიპენდია არ დაუნიშნა, და სტეფი აღმოჩნდა დევიდსონის კოლეჯში, რომლის საკალათბურთო გუნდში 104 მატჩი ჩაატარა და საუკეთესო ახალბედას ტიტული დაიმსახურა. შემდეგ 2 სეზონში კი ის საუკეთესო მოთამაშე იყო. 2008 წელს კი აშშ-ის სტუდენტური ჩემპიონატის საუკეთესოთა მეორე გუნდში დაასახელეს. 2009 წელს სტეფ კარი სან-ფრანცისკოს „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ („ოქროს შტატის მეომრები“) მოთამაშე გახდა. პროფესიონალურ კალათბურთში მოხვედრის ოცნების ასრულების შემდეგ სტეფი შეუპოვრად ვარჯიშობდა და შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. 2010 წელს „ლოს-ანჯელეს კლიპერსის“ წინააღმდეგ მატჩში 36 ქულა მოაგროვა, 2013 წელს კი „ნიუ-იორკ ნიქსთან“ 11 სამქულიანი ჩააგდო 13 სროლიდან. 2012-2013 წლების სეზონის 78 მატჩში სტეფმა 272 სამქულიანი ჩააგდო და მოხსნა **რეი ალენის** მიერ 2005-2006 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი.



სტეფ კარის, რომელსაც „ოქროს ბიჭუნა“ შეარქვეს, მწვრთნელები იყენებენ, როგორც კოზირს, რადგან შესანიშნავად ისვრის სამქულიანებს. კლეი ტომპსონთან წყვილში მან სეზონში ყველაზე მეტი შედეგიანი სამქულიანების სროლის რეკორდი დაამყარა — ტომპსონმა და კარიმ 483 სამქულიანი ჩააგდეს.

2014-2015 წლებში გუნდი, რომელშიც სტეფი თამაშობს, შესანიშნავად ასპარეზობდა. ამ სეზონში სტეფმა NBA-ს ყველაზე ფასეული მოთამაშის ტიტული მოიპოვა. 2017 წელს ნაციონალურმა საკალათბურთო ასოციაციამ წარმატების პიკს მიაღწია და გუნდმა კარის 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა 201 მლნ დოლარზე.

2018 წელს კარი ყველაზე შედეგიან მოთამაშედ აღიარეს, თაყვანისმცემლები და ექსპერტები მას თანამედროვე კალათბურთის ვარსკვლავად მიიჩნევენ. მისი უნარი, ზუსტად ისროლოს სამქულიანი, გუნდისთვის ხშირად გადამწყვეტია.

„გოლდენ სტეიტ უორიორზისთან“ ერთად კარი 5-ჯერ გავიდა NBA-ს ფინალში. 2019-2020 წლის სეზონში სტეფმა ხელი მოიტეხა და უამრავი მატჩი გამოტოვა, მაგრამ **2021 წლის იანვრის დასაწყისში შედეგიანობის პირადი** რეკორდი დაამყარა „პორტლენდთან“ მატჩში, როცა 62 ქულა მოიპოვა.


სტეფ კარის ოჯახი



კარი და ნეიმარი


სტეფენ კარი ბავშვობაში



**სტეფ კარის მიღწევები:**

* წლის საუკეთესო მოთამაშე SoCon-ის კონფერენციაში — 2008-2009 წწ.
* NCAA-ს ყველაზე შედეგიანი მოთამაშე — 2009 წ.
* მსოფლიო ჩემპიონი აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში — 2010 წ.
* რეკორდსმენი სამქულიან სროლებში — 2013, 2015, 2016 წწ.
* მსოფლიო ჩემპიონი აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში — 2014 წ.
* ყველა ვარსკვლავის მატჩის მონაწილე — 2014-2019 წწ.
* სამქულიანი სროლების კონკურსში გამარჯვებული — 2015 წ.
* NBA-ს ყველაზე შედეგიანი მოთამაშე — 2016 წ.
* NBA-ს ყველაზე ფასეული მოთამაშე — 2015, 2018 წწ;
* NBA-ს ჩემპიონი — 2015, 2018, 2018 წწ.

კარი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია და ამიტომ მისი საზოგადოებრივ მოღვაწეობას ხშირად აშუქებენ ჟურნალისტები. მან ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელ ნეიმართან ერთად მხარი დაუჭირა პორტუგალიურ ენაზე თარგმნილ წიგნს „მამბას მენტალიტეტი“ (ეძღვნება ავიაკატასტროფაში დაღუპული კალათბურთელის, **კობი ბრაიანტს,** და ეს მყისვე გააშუქეს ცნობილმა გამოცემებმა.

კარი თანამშრომლობს ბრენდ Under Armour-თან, რომელმაც კალათბურთელისთვის დაამზადა სამი ფეხსაცმელი სახელწოდებით Curry. ეს ფეხსაცმელი პროფესიონალი კალათბურთელისთვის საუკეთესოდ ითვლება.

## პირადი ცხოვრება

2011 წელს სტეფი დაქორწინდა **აიეშა კარიზე,** რომელიც სოციალურ ქსელ „ინსტაგრამში“ პოპულარული ბლოგერია — მილიონობით გამომწერი ჰყავს. სტეფსა და აიშას 3 შვილი ჰყავთ. 2012 წელს დაიბადა გოგონა **რაილი,** 2015-ში — **რაიანი,** ხოლო 2018-ში — ვაჟი **კენონი.**






სტეფ კარი და ლებრონ ჯეიმსი

# ვიქტორ რცხილაძე 80 წლისაა

**«საქართველო და მსოფლიოს» რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ ვიქტორ რცხილაძეს 80 წლის იუბილეს!**



**ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძე დაიბადა 1941 წლის 10 მარტს თბილისში. 1963 წელს იგი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს. 1974 და 1976 წლებში ერთ-ერთი დამაარსებელია „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო“ და „ჰელსინკის ჯგუფისა“, რის გამოც მას კვლავ აპატიმრებენ და სუკ-ის საპყრობილეში ზუსტად ერთი წლის ყოფნის შემდეგ, ტაშკენტის ციხის გავლით, ასახლებენ ყაზახეთში, კერბელის ოლქში.**

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ იგი თანამშრომლობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჟურნალ „საღვთისმეტყველო კრებულთან “, რომელსაც ედო გრიფი „სამსახურებრივი მოხმარებისთვის“. 1988 წელს ვიქტორ რცხილაძე აფუძნებს არაფორმალურ ორგანიზაციას „წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქართველ ქრისტიანთა კავშირი“ და მერაბ კოსტავასთან ერთად გამოსცემს დისიდენტურ ჟურნალს „ძელი ჭეშმარიტი“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, მას იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც ლექციებს კითხულობს თეოლოგიის ისტორიაზე. 1992 წელს იგი აარსებს ჟურნალ „რელიგიას“, რომლის მთავარ რედაქტორადაც გვევლინება.

ვიქტორ რცხილაძე ავტორია მრავალი წიგნისა და თარგმანისა. მის ორიგინალურ ნაშრომთა შორისაა ექვსასგვერდიანი „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“. მასში რელიგიის ფილოსოფიასთან ერთად მოცემულია საქართველოს ისტორიის კრიზისული მომენტების განხილვა. ასევე მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობს მისი „მე-20 საუკუნის გერმანელი მოაზროვნეები ღვთის არსებობის შესახებ“ და სხვ. რაც შეეხება თარგმანებს, ვიქტორ რცხილაძე, ძირითადად, გერმანული ენიდან თარგმნის, რომელთა რიგში არიან ისეთი ავტორები, როგორც **რომანო გუარდინი, ჰანს ზედლმაირი, ვოლფჰარტ პანენბერგი, იოანეს ჰესენი** და სხვები. ასევე გერმანულიდან თარგმნა **სიორენ კირკეგორის** „შიშის ცნება“, **არტურ შოპენჰაუერის** „სამყარო, ვითარცა ნება და წარმოდგენა“; სულ ახლახან ქართველი მკითხველი **გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ ჰეგელის** „რელიგიის ფილოსოფიის“ სრული თარგმანით დაასაჩუქრა. გარდა გერმანული ენიდან თარგმანებისა, რუსული ენიდან თარგმნა ისეთი დიდი ფილოსოფოსი, როგორიც არის **ალექსეი ლოსევი.** კერძოდ, ლოსევის „მითის დიალექტიკა“ და სხვ. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **სერგი ავალიანი** შემდეგნაირად ახასიათებს ვიქტორ რცხილაძეს: „მე არ მეგულება მეორე მკვლევარი მე-20 საუკუნის ქართულ აზროვნებაში, რომელიც ისე ზედმიწევნით იცნობს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, ისე ღრმად ერკვეოდეს რელიგიურ მოძღვრებებში, როგორც ჩვენი ავტორი“.




# ჰონკონგის სასამართლომ დაადასტურა, რომ ჰომოსექსუალიზმი ნორმიდან გადახრაა

**ჰონკონგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ლგბტ თემის წარმომადგენლის სარჩელი ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმძღვანელოში ჰომოსექსუალიზმის კლასიფიკაციის გაუქმების შესახებ.**

აღნიშნულ სახელმძღვანელოში ჰომოსექსუალიზმი ფსიქიკური (ფსიქოსექსუალური) გადახრების სიაშია.

სასამართლომ დაადასტურა, რომ ასეთი კლასიფიკაცია, შეცდომა კი არა, მეცნიერული განმარტებაა.

**Politikus.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# «ეს ანტიდემოკრატიული, არასამართლიანი და მიუღებელია!»

## «ფიდესი» ევროპის სახალხო პარტიას ტოვებს



**უნგრული პარტია „ფიდესის“ (უნგრეთის მოქალაქეთა კავშირი) დეპუტატებმა ევროპარლამენტში უდიდესი ფრაქცია ევროპის სახალხო პარტიის რიგებს დატოვებენ, — ეს „ფიდესის“ ხელმძღვანელმა, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროპის სახალხო პარტიის ფრაქციის ლიდერ მანფრედ ვებერს აცნობა.**

ეს არის „ფიდესის“ პასუხი ევროპის სახალხო პარტიის გადაწყვეტილებაზე, კენჭი ეყარათ „ფიდესისთვის“ ფრაქციის წევრობის დროებით შეჩერებაზე.

**მანფრედ ვებერისთვის** გაგზავნილ წერილში **ვიქტორ ორბანი** წერს, რომ იმ მომენტში, როცა ასიათასობით ევროპელი ჰოსპიტალიზებულია და ექიმები დაავადებულთა სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან, ევროპის სახალხო პარტია ცდილობს, შეზღუდოს ევროპარლამენტში კანონიერი გზით არჩეული „ფიდესის“ წარმომადგენლების მოღვაწეობა.

„ეს ანტიდემოკრატიულია, არასამართლიანი და მიუღებელია!“ — ხაზგასმით აღნიშნა ვიქტორ ორბანმა.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**



# უკრაინა ეკონომიკურად ყველაზე არათავისუფალი ქვეყანაა

**Fraser Instituto-ს ეკონომიკური თავისუფლების სარეიტინგო სიაში უკრაინა ერთადერთი ევროპული სახელმწიფოა, რომელიც ეკონომიკურად არათავისუფალი ქვეყნების სიაში მოხვდა.** სარეიტინგო სიაში უკრაინამ სამი საფეხურით წინ წაიწია, 135-დან 138-მდე. უმნიშვნელო გაუმჯობესებაა ისეთ მაჩვენებლებში, როგორიც არის მთავრობის ზომა და საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება, მაგრამ ცუდ მდგომარეობაშია სასამართლო სისტემა და რეგულირება. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ე.წ. საიმედო ფულისა (159 ადგილი მსოფლიოში) და რეგულირების (125 ადგილი) მიმართულებებით.

**news.front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ისრაელში PTIZER-ის ვაქცინით ხანდაზმულთა სიკვდილის შემთხვევები 40-ჯერ მეტია კოვიდ-19-ით გარდაცვალებაზე



**ვაქცინა Ptizer-მა ისრაელში დაახლოებით 40-ჯერ მეტი ხანდაზმული ადამიანი იმსხვერპლა, ვიდრე კორონავირუსმა. დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა Ptizer-ი თვით ვირუსზე უსაფრთხო არ არის. ახალი ანალიზი სიკვდილიანობისა, რომელიც დაკავშირებულია ვაქცინის გამოყენებასთან, მიუთითებს იმაზე, რომ მას სერიოზული ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს.**

ექს-მარსელის ტროპიკული დაავადებების უნივერსიტეტის ექიმ **ერვე სელიგმანისა** და ინჟინერ **ხაიმ იატიკის** კვლევის შედეგებმა, რომელიც ისრაელის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა, აჩვენა, რომ Ptizer-ის ვაქცინამ ვაქცინაციის 5 კვირის განმავლობაში 40-ჯერ მეტი ხანდაზმული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე კორონავირუსს შეეძლო მოეკლა. ახალგაზრდებშიც ვაქცინით გარდაცვალების მაჩვენებელი გაცილებით მეტია კოვიდ-19-ით გარდაცვალების მაჩვენებელზე.

**Aftershock.news-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009